

ნოღაიდელი კერძო არბიტრაჟის ამოქმედების გადავადებას ითხოვს A6



გენპროკურატურა კონტროლის პალატის დასკვნით არ ინტერესდება A7



საქართველოში რაგბი მასობრივი უნდა გახდეს B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 21 აპრილი, 2005 წელი. №90 (950)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### არჩევნების გამართვაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლება იღებს



ოპოზიცია კი საარჩევნო კანონპროექტის საკუთარ ვერსიას სპეციალურ პრესკონფერენციას უძღვნის.

A2

## უცხოეთი

### სამთავრობო კრიზისი იტალიაში - სილვიო ბერლუსკონი გადადგა

ოთხშაბათს საღამოს პრემიერ-მინისტრმა გადადგომის თხოვნა პრეზიდენტ კარლო აძელიო ჩამპის გადასცა.

A5



იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი" ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 21/4 | 22/4 | 23/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 27 | 23 | 28 |
| ქუთაისი | 27 | 26 | 29 |
| ბათუმი | 24 | 21 | 28 |
| სოხუმი | 25 | 26 | 26 |
| ფოთი | 26 | 24 | 29 |
| თელავი | 27 | 23 | 27 |
| ზუგდიდი | 27 | 27 | 29 |
| გორი | 23 | 21 | 24 |
| ახმეტა | 27 | 24 | 28 |
| ჭიათურა | 25 | 23 | 27 |
| გაგრა | 24 | 23 | 23 |
| სამტრედია | 27 | 25 | 29 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8225 |
| ევრო | 2.3760 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4881 |
| რუბლი | 0.0657 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | მეცნიერება | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# მუსლიმანი მესხების რეპატრიაციის პრობლემები: ამოცანები და მოქმედებები

*ამ ეტაპზე მუსლიმანი მესხების რეპატრიაციის პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა, რომელიც ქართული სახელმწიფოს წინაშე დგას. ის საჭიროებს სამართლიან, რეალისტურ და დაბალანსებულ მიდგომას. პრაქტიკულად, აქამდე ქართული სახელმწიფო ატარებდა პრობლემისთვის თავის არიდების, მისი გადადების პოლიტიკას. შესაძლოა, ეს ნაწილობრივ გასაგები პოზიციაც იყო ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების ფონზე, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა გვიბიძგებს იქითკენ, რომ ხელისუფლებამ უფრო მკაფიო პოზიცია დაიკავოს და კონკრეტული ნაბიჯები გადადგას პრობლემის გადასაჭრელად.*
*იმისათვის, რომ ამ საკითხში წარმატებული პოლიტიკა განხორციელდეს, ის უნდა დაეყრდნოს გარკვეულ პრინციპებს და სამოქმედო გეგმას, რომელიც ამოცანების გააზრებას და თანმიმდევრულ გადაჭრას მოემსახურება. ქვემოთ მოკლედ იქნება ჩამოყალიბებული ის, თუ, ჩემი აზრით, რაში უნდა მდგომარეობდეს ეს პრინციპები და კონკრეტული ამოცანები. ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებები გარკვეული შეჯამებაა იმ კვლევებისა და დისკუსიებისა, რომელშიც ამ სტრიქონების ავტორი ბოლო წლების მანძილზე მონაწილეობდა, ამ საკითხზე მომუშავე ექსპერტებთან ერთად.*

გია ნოდია
*მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი*

### ზოგადი პრინციპები

**1. *სამართლიანობა.***

ძალდატანებითი დეპორტაციის აქტი, რომელიც განხორციელდა მაჰმადიანი მესხების მიმართ 1944 წელს, იყო დანაშაული კაცობრიობის წინაშე, რომელსაც არანაირი გამართლება არა შეიძლება ჰქონდეს. დეპორტირებული მოსახლეობის და მათი შთამომავლობის რეპატრიაციის მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის პრინციპს ეფუძნება.

**2. *მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა.***

მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა 1944 წლის დეპორტაციაზე მთლიანად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ რეჟიმს ეკისრება. თუ დღეს რომელიმე სახელმწიფო შეიძლება, რაიმე ფორმით გაიზიაროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა დეპორტაციის ფაქტზე, ეს ის ქვეყანაა, რომელიც ფორმალურად ან ფსიქოლოგიურად საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეა.

გაგრძელება B1 გვერდზე

# საბრძოლო არა, მაგრამ პოლიტიკური ნაღმები პარლამენტში მრავლად არის

გიორგი ასანიშვილი

*ანონიმური შეტყობინება საკანონმდებლო ორგანოს დანაღმვის თაობაზე, საბედნიეროდ, მცდარი აღმოჩნდა და სამშაბათს პარლამენტში არანაირი ბომბი არ აფეთქებულა. სამაგიეროდ, გუშინ თავად დეპუტატები იყვნენ "ფეთქებად" გუნებაზე და, მანდატურის სამსახურის სიმარჯვე რომ არა, არავინ იცის, პარლამენტართა აგრესიას რა შედეგი მოჰყვებოდა და პოლიტიკური ნაღმების განეიტრალება მოხერხდებოდა თუ არა.*

სხდომათა დარბაზში სიტუაცია პირველად მაშინ დაიძაბა, როდესაც დავით გამყრელიძემ საპარლამენტო უმრავლესობა ღირსებისა და პასუხისმგებლობის არქონაში დაადანაშაულა. "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერის განცხადებამ, რომ სახელისუფლებო ფრაქცია მთავრობის ყველა ნება-სურვილს უსიტყვოდ ურტყამს შტამპს, უმრავლესობის წევრები ძალზე გააღიზიანა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*პარლამენტართა შეხლა-შემოხლამ სხდომის ნაყოფიერებაზე გავლენა ვერ იქონია.*

# პუტინს კრიტიკის მოსმენა კიდევ ერთხელ უწევს

### აშშ-ს ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობებით კმაყოფილია - რამდენად კმაყოფილი თვად პუტინი?

ხათუნა გაბიევი

**"რეგიონისა და მთლიანად მსოფლიოსათვის უკეთესი იქნება, თუკი რუსეთი დემოკრატიულ ღირებულებებს დაიცავს, ერთგული იქნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და დასავლური, ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისადმი ექნება სწრაფვა,"** - განაცხადა მოსკოვში ვიზიტით მყოფმა კონდოლიზა რაისმა. რუსეთისადმი უმთავრესი გზავნილი კი, ამერიკელი მაღალჩინოსნის თქმით, იმ პრობლემატური საკითხების წინ წამოწევაა, რომელთა დაძლევაც დემოკრატიისაკენ სავალ რთულ გზაზე აუცილებელია. ნაკლოვან მხარეებზე მითითება და ხმამაღლა საუბარი, კრიტიკა კი არა, ამერიკელთა მხრიდან მეგობრული ჟესტია, მიიჩნევს რაისი. უკანასკნელი წლების განმავლობაში პრაქტიკად ქცეული, სწორედ, ამ მინიშნებების დამსახურებაა ის, რომ უკვე შეიძლება აშშ-რუსეთის ურთიერთობების დადებით ჭრილში განხილვა.

გაგრძელება A5 გვერდზე



*კონდოლიზა რაისის და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა ასე დაიწყო.*

# შამბას ტიროლში მოგზაურობას არ პატიობენ

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

*აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბასა და საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის ბესლან ბუთბას სამხრეთ ტიროლში ვიზიტმა აფხაზეთში დიდი სკანდალი გამოიწვია.*

სერგეი შამბა იძულებული გახდა, ამ თემასთან დაკავშირებით სპეციალური პრესკონფერენცია მოეწვია. **"არ არის საჭირო, ყველაფერში რაღაც ფარული მხარე ვეძებოთ. სამხრეთ ტიროლში ჩვენ ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებამ ჩაგვიყვანა,"** - განუცხადა შამბამ ჟურნალისტებს.

სკანდალი უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის სტანისლავ ლაკობას განცხადებას მოჰყვა. ლაკობამ საჯაროდ განაცხადა, რომ აფხაზი ჩინოვნიკების სამხრეთ ტიროლში ვიზიტი აფხაზეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებული არ ყოფილა და ამის შესახებ სოხუმში არ იცოდნენ. უფრო მეტიც, მისი თქმით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, სადაც ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესთან დაკავშირებული საკითხები განიხილებოდა, იტალიაში ვიზიტზე საუბარიც კი არ ყოფილა. აღნიშნული განცხადება ლაკობამ შამბასა და ბუთბას სოხუმში დაბრუნების შემდეგაც გაიმეორა.

შამბას განცხადებით, მისი და ბუთბას ტიროლში ვიზიტის ერთადერთი მიზანი სამხრეთ ტიროლელთა ეკონომიკური და სამეურნეო გამოცდილების გაზიარება იყო. კერძოდ კი, საუბარია მევენახეობასა და ტურიზმზე, რაშიც სამხრეთ ტიროლმა მართლაც დიდ წარმატებებს მიაღწია. ამავე დროს, შამბამ ვერ შეძლო იმის განმარტება, თუ რატომ არის დაკავებული სამეურნეო საკითხებით საგარეო საქმეთა მინისტრი, მაშინ, როცა ამისთვის სოფლის მეურნეობის უწყება არსებობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სუუამ-ი ერთი "უ"-ს გარეშე

### თუმცა, ახალი წევრების პერსპექტივით

ნინო გომართელი

*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გუშინ ოფიციალური ვიზიტით უკრაინას ეწვია. მან შეხვედრები გამართა პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოსთან, პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოსთან, უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარესთან ვლადიმირ ლიტვინთან და საგარეო უწყების ხელმძღვანელთან ბორის ტარასიუკთან.*
*საუბრები, ძირითადად, კიშინიოვში დღეს დაგეგმილ სუუამი-ს სამიტს შეეხებოდა. ხუთი სახელმწიფოს - საქართველოს, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის და მოლდოვას გამაერთიანებელი ორგანიზაციის გააქტიურება დიდი ხანია, რაც საქართველოსა და უკრაინას შორის აქტიური მსჯელობის და კონსულტაციების საგანი გახდა.*
*ამჟამად, აღნიშნული ორგანიზაცია პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ უახლოეს მომავალში დსთ-ს სივრცეში წამყვანი რეგიონული სტრუქტურის როლი შეასრულოს. თუმცა, როგორც ჩანს, სუუამ-ს ერთი "უ", და, შესაბამისად, სახელმწიფო მოაკლდება - უზბეკეთი აცხადებს, რომ კიშინიოვში დაგეგმილ სამიტში მონაწილეობას არ მიიღებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგები

*გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის პირველადი მონაცემები გამოაქვეყნა. ამ ეტაპზე დამუშავებულია 30 400 აბიტურიენტის მოთხოვნა და დამუშავების სტადიაშია 900. აბიტურიენტების მიერ გაკეთებული განაცხადების შედეგად, პრაქტიკულად, საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების მიერ შეთავაზებულ ყველა სპეციალობაზე ჩამოყალიბდა მაღალი კონკურსი. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღარ იარსებებს განსაკუთრებით გამორჩეული, "ტოპ-სპეციალობები".*

ნინო ბერელიძე

გაკეთებული განაცხადების მიხედვით, ახალგაზრდები, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ირჩევენ ისეთ სპეციალობებს, რომლებიც, ძირითადად, ორიენტირებულია ქვეყნის სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე. აბიტურიენტები უპირატესობას ისეთ სპეციალობებს აძლევენ, როგორიცაა ინფორმატიკა (ინფორმატიკის ფაკულტეტის 1100 ადგილზე, ჯამური განაცხადით, 5984 აბიტურიენტმა გამოთქვა სწავლის სურვილი), ინგლისური ენა და ლიტერატურა (514 ადგილზე ჯამური განაცხადი 6032-მა აბიტურიენტმა გააკეთა), ტრანსპორტისა (332 და 1197) და ტურიზმის ფაკულტეტებს (377 და 6062). ამგვარი ტენდენცია საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ზრდითა და დიდი სატრანზიტო პროექტების განვითარების პერსპექტივით შეიძლება აიხსნას.

განათლების რეფორმის დინამიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ახალგაზრდების გაზრდილი დაინტერესება ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობების მიმართ. ამ სპეციალობებზე ბოლო წლებში კონკურსი არ იყო და რიგ შემთხვევებში, ადგილების "შევსებაც" ჭირდა.

განათლების სამინისტროს შეფასებით, ამ სპეციალობების შესწავლა მნიშვნელოვანი რეზერვი იქნება ქვეყნის პედაგოგიური კორპუსისათვის. შესაბამისად, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შემდგომი პროგრესისათვის. ამ სპეციალობებით დაინტერესება ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას დღევანდელი და მომავლის ("რეფორმისეული") მასწავლებლის შემოქმედებითი თავისუფლებითა და მატერიალურ-ფინანსური პირობების გაუმჯობესებით (ახალი სასწავლო წლიდან განსაზღვრულია მასწავლებლების ხელფასების 80 პროცენტით გაზრდა). აბიტურიენტთა რეგისტრაციის სტატისტიკა ამ ფაკულტეტებზე ადასტურებს, რომ მიმდინარე განათლების რეფორმის დინამიკა ოპტიმიზმის რეალურ საფუძველს იძლევა (ქართული ენა და ლიტერატურა: ადგილების რაოდენობა 503, ჯამური განაცხადი - 4993, ისტორია: 576 ადგილზე ჯამური განაცხადია 6599).

აბიტურიენტების განაცხადებმა არ გაამართლა ვარაუდი იმის შესახებ, თითქოს ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა საბუნებისმეტყველო და მათემატიკური პროფილის ფაკულტეტებს მიმზიდველობას დაუკარგავდა. ფაქტი სახეზეა : უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტებს ამგვარი საკონკურსო კონტინგენტი არ ჰყოლია (მათემატიკის ფაკულტეტის 271 ადგილზე - 1033 განაცხადი, ფიზიკის ფაკულტეტის 237 ადგილზე - 414 განაცხადი, ბიოლოგიის ფაკულტეტის 80 ადგილზე - 201, ქიმიის ფაკულტეტის 189 ადგილზე - 617, გეოგრაფიის ფაკულტეტის 140 ადგილზე - 1359 განაცხადი).

აბიტურიენტების სახელოვნებო და სპორტული სპეციალობებით (სახელოვნებო სპეციალობების 1208 ადგილზე განაცხადი 7620, სპორტი - 360 ადგილზე განაცხადი 1751) დაინტერესება შეიძლება აიხსნას ტრადიციებითა და იმ ბოლოდროინდელი თვალსაჩინო წარმატებებით მსოფლიო არენაზე, რაც ქართველმა საშემსრულებლო ხელოვნებისა და სპორტის წარმომადგენლებმა გამოავლინეს.

საქართველოს ათი უმსხვილესი უნივერსიტეტიდან აბიტურიენტების განცხადებების საფუძველზე გამოიკვეთა "ლიდერი": მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ადგილების რაოდენობა გაცილებით მეტია (3 552), ვიდრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2 962), ერთ ადგილზე კონკურენცია თსუ-ში საშუალოდ 13 აბიტურიენტია, სტუ-ში კი - 4. დანარჩენ რვა უნივერსიტეტში საკონკურსო პირობები თითქმის თანაბარია.

აბიტურიენტების არჩევანი ნათელს ხდის სპეციალობების გამსხვილებისა და ფართო პროფილის განათლების აუცილებლობასაც. მაგალითად, სპეციალობა "გეოგრაფია" დიდი მოთხოვნით სარგებლობს, ხოლო სპეციალობა "გეოლოგია-ჰიდროლოგია" - საერთოდ არაა პოპულარული. აქედან გამომდინარე, სასწავლებლებს მუშაობა მოუწევთ იმაზე, რომ მოხდეს ვიწრო სპეციალობების პოპულარიზაცია და, რაც შეიძლება, სრული ინფორმაციის მიწოდება აბიტურიენტებისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტუდენტებს პირველ ეტაპზე უჭირთ ვიწრო პროფილური ორიენტაცია, ყველაფერი ამის გათვალისწინება, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მომავალში ამგვარი სპეციალობებით დაინტერესებას გაზრდის.

**P.S.** ივნისის ბოლომდე ფუნქციონირებას განაგრძობს ერთი სარეგისტრაციო პუნქტი (თბილისი, ტოვსტონოგოვის №2 ტელ. 99 60 00), რომელიც უზრუნველყოფს იმ აბიტურიენტების რეგისტრაციას, რომლებსაც საპატიო მიზეზი (ავადმყოფობა, ან უცხოეთში ყოფნა) ჰქონდათ და დროულად ვერ გაიარეს რეგისტრაცია პუნქტებში. მათ დასჭირდებათ სათანადო საბუთის თან ქონა. დღეიდან ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, სრული ინფორმაცია მიიღოს განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე: www. mes.gov.ge ასევე შეფასების ცენტრის ვებ-გვერდზე www.naec.ge

# შემოწმებები გრძელდება

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სამედიცინო ხარისხის ინსპექტირების შედეგები გამოაქვეყნეს. როგორც ითქვა, ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა 12 დაწესებულებაში ყოფილა, რომელთა ხელმძღვანელებიდან 3 უკვე გათავისუფლებულია, დანარჩენებს სამინისტროს რეკომენდაციით მალე მოხსნიან.*



*მინისტრის ინფორმაციით, სამედიცინო ხარისხის ინსპექტირებას ზოგიერთი ხელმძღვანელის გათავისუფლება მოჰყვა.*

ყოველ შემთხვევაში, ასეთი განცხადება გააკეთა მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა. შავ სიაში მოხვდნენ: შპს "რუსთავის ნარკოლოგიური დისპანსერის" დირექტორი მთვარაძე, მარნეულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრის დირექტორი შუბითიძე, შპს "ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის" დირექტორი კუხალაშვილი, შპს "ზუგდიდის მოზრდილთა პოლიკლინიკის" დირექტორი კეიდია, ს/ს "დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკის" დირექტორი ცინცაძე, შპს "თბილისის № 5 სამშობიარო სახლის" დირექტორი თავამაიშვილი, მარნეულის შპს "სამშობიარო სახლის" დირექტორი პატარიძე, შპს "ყვარლის რაისაავადმყოფოს" დირექტორი ერგეშიძე, შპს "ახმეტის რაიონის პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანების" დირექტორი ტერტერაშვილი, ს/ს "ახალციხის რაიონული საავადმყოფოს" შიდსის ლაბორატორიის გამგე ქაფიანიძე, შპს "№ 4 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი და დანელიას" დირექტორი ულიხანოვა.

მე-12 დაწესებულება, ჯერჯერობით, სიაში არ არის, მაგრამ ლადო ჭიპაშვილის თქმით, ეს არის იმერეთის ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც იგი დღეს-ხვალ ეწვევა და მის ხელმძღვანელს შერისხული კოლეგების კვალს გაუყენებს.

ძირითადი დარღვევებია ლიცენზიის უქონლობა, არასწორი მკურნალობა, დოკუმენტაციის არასწორი გაფორმება და ა.შ.

ჭიპაშვილის განცხადებით, დარღვევები კიდევ ბევრგანაა, მაგრამ აღნიშნულ დაწესებულებებში ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. მინისტრი ყველას აფრთხილებს, რომ შემოწმებები გაგრძელდება.

*24 საათი*

# რამდენი ღატაკი და ღარიბია საქართველოში?

**ჯანდაცვის სამინისტრო ახალი პროექტის განხორციელებისათვის ემზადება**

მაია მოსიაშვილი

ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სამინისტრო სოციალურად დაუცველ ოჯახთა იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამის პირველ ეტაპს იწყებს. ამ პროგრამის წარსადგენად გუშინ სამინისტროს წარმომადგენლები პრეზიდენტის რწმუნებულს ქვემო ქართლში - ზურაბ მელიქიშვილს და ამავე მხარის გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს შეხვდნენ.

**"სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა პრეზიდენტის ინიციატივით ხორციელდება და ის უკვე ნოემბრიდან უნდა ამუშავდეს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმე, რომელშიც ყველა საკრებულო აქტიურად უნდა ჩაერთოს. მონაცემთა ბაზა მოემსახურება ჯანდაცვის, განათლების, ენერგომომარაგების და სხვა პროგრამებს. ყველა ადგილობრივ მმართველობით ორგანოს შეეძლება ამ ბაზის გამოყენება, რათა მათი სოციალური პროგრამები უფრო ეფექტური გახდეს,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა.

ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა ოთხ კატეგორიად იყოფა, აქედან ღატაკია - 10 პროცენტი, ღარიბი - 40, არაღარიბი (მოწყვლადი) - 35 და შეძლებული - 15.

**"სახელმწიფოსგან დახმარებას პირველ წიგში მიიღებენ ღატაკი ადამიანები, რომლებიც "ჩრდილოვან შიმშილს" განიცდიან. მათი რეალური რაოდენობის დასადგენად აღრიცხვის ობიექტად აღებული იქნება ოჯახი და არა კონკრეტული ადამიანები, რომლებიც ოჯახის შემადგენლობაში შედიან, ანუ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას დაექვემდებარება ოჯახი. რეგისტრაციის სამართლებრივი პროცესი ორ ეტაპიანია: ოჯახის განაცხადის მიღება და მისი დამუშავება, რაც გულისხმობს მონაცემების იდენტიფიკაციას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას, განსაზღვრული მეთოდოლოგიით, კეთილდღეობის ინდექსის შესაბამისად,"** - ასე გააცნო პროგრამა დამხვდურებს დასაქმების ახლადშექმნილი სააგენტოს წარმომადგენელმა მორის წამალაშვილმა.

სიღარიბის დაძლევის პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს დაევალათ. ზურაბ მელიქიშვილმა მათ აქტიურობისკენ მოუწოდა და საკომუნიკაციო პუნქტების შექმნის ვადად 15 მაისი დაუსახელა. ამ დროისათვის ყველა სოფელსა თუ რაიონულ ცენტრში უნდა იყოს ადგილი, სადაც ოჯახები საკუთარ განაცხადებს ჩააბარებენ, დასაქმების სააგენტომ კი მათი იდენტიფიკაცია ნოემბრამდე უნდა მოახერხოს.

# ინვალიდები ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ

*მეათე დღეა, რაც სახალხო დამცველის ოფისთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შიმშილობის აქციას მართავენ. ისინი ხელისუფლებისაგან დისკრიმინაციული პოლიტიკის შეცვლას, ხოლო ფინანსთა სამინისტროსაგან - კუთვნილი თანხის დაბრუნებას ითხოვენ. რამდენიმე დღის წინ მათი პრობლემებით პარლამენტარები დაინტერესდნენ. გუშინ კი, მათ მხარდასაჭერად, სახალხო დამცველის ოფისში ომბუდსმენი და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. დღეს პარლამენტში ფინანსთა მინისტრს ვალერი ჩეჩელაშვილს ელოდებიან. სავარაუდოდ, ოპოზიციური პარტიები მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებენ.*

თამარ დვალი

თანხა, რომლის დაბრუნებასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ფინანსთა სამინისტროსგან ითხოვენ, 691 ათას ლარს შეადგენს. უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1998-1999 წლებში დაგროვილი დავალიანება "ინვალიდთა ლიგას" დაბრუნებოდა, თუმცა წელიწადნახევარია, ინვალიდები კანონის აღსრულებას ამაოდ ელიან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ინვალიდთა საკითხების მაკოორდინირებელი სახელმწიფო ორგანოს შექმნას მოითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმით იმუქრებიან.

ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე მხარდაჭერა გუშინ "წინ, საქართველოს", "ლეიბორისტული პარტიის", "ტრადიციონალისტების" და "საქართველოს კონსერვატორების" წარმომადგენლებმა ხელმოწერებით დააფიქსირეს.

ომბუდსმენის ოფისში შეკრებილთა შეფასებით, ინვალიდების მიერ წამოყენებული ყველა მოთხოვნა სამართლიანია. სოზარ სუბარი აქციის მონაწილეებს მათი საკითხის პარლამენტის ხვალინდელ სხდომაზე გატანას დაჰპირდა. პარლამენტარი ზვიად ძიძიგური კი ინვალიდების ინტერესების დაცვას საკონსტიტუციო სასამართლოში აპირებს.

**"აღმაშფოთებელია, როდესაც ხელისუფლება დამატებით პრობლემებს უქმნის ადამიანებს, რომელთა დაცვაც მის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ არავითარი კონცეფცია არ არსებობს, თუ როგორ უნდა მოხდეს ინვალიდების უფლებების დაცვა და მათი ინტეგრაცია, ჩვენს ხელისუფლებას საერთოდ არ აღელვებს,"** - განაცხადა "კონსერვატორების" ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა. მისივე თქმით, მათი პარტია, ინვალიდთა ლიგასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს, რათა ბიუჯეტში არსებული ანტიკონსტიტუციური მუხლი გაუქმდეს.

**"ბიუჯეტში არის სასამართლო აღსრულების ფონდი, რომელიც აკეთებს ლიმიტირებას, თუ რა რაოდენობის თანხა უნდა გადაიხადოს სახელმწიფომ იმ თანხიდან, რომელიც სასამართლო პროცესების გზით აქვს წაგებული. მიმაჩნია, რომ ეს კონსტიტუციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. ამ შემთხვევაში ინვალიდებს ეუბნებიან - თანხას ვერ დაგიბრუნებთ, რადგან პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიებაო, რაც აბსურდია. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს და თუ პროკურატურა რამე დამატებით გამოძიებას აწარმოებს, ეს ცალკე თემაა და სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შეხებაში არ არის. ხვალ პარლამენტის სხდომაზე ვალერი ჩეჩელაშვილს ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს. რადგანაც, ფინანსთა მინისტრი ვალდებულია, შეასრულოს სასამართლო გადაწყვეტილება და ეს ჩეჩელაშვილმა არ გააკეთა, ჩვენ მისი პასუხისმგებლობის საკითხს ვსვამთ,"** - განაცხადეს "კონსერვატორებმა".

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლება გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისგან გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილთა აღწერის პროცესში აფხაზური სტრუქტურებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას მოითხოვს.

ამის შესახებ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა გუშინ სოხუმში, საქართველოში გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან ნავიდ ჰუსეინთან შეხვედრაზე განაცხადა.

ბაგაფშის თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება გალის რაიონში დევნილთა ზუსტი რაოდენობის დადგენის აუცილებლობას ადასტურებს და იმედოვნებს, რომ აღწერის შემდეგ ოფიციალურ თბილისს გალში დაბრუნებული დევნილების რაოდენობასთან დაკავშირებით "სპეკულაციური განცხადებების საფუძველი აღარ ექნება."

მისივე თქმით, სოხუმის ხელისუფლება მზადაა, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ითანამშრომლოს და ოფიციალური სტრუქტურებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით, აქტიურად ჩაერთოს დევნილთა აღწერაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით შერეული სამშვიდობო კომისიის სხდომა მაისის შუა რიცხვებში გაიმართება. მთავარ თემად ისევ კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია რჩება.

კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკის განცხადებით, სამშვიდობო ძალებმა უნდა წარმოადგინონ პროგრამა, თუ როგორ უნდა წარიმართოს დემილიტარიზაციის პროცესი. ძევარას რეზერვისტთა ბაზის გაუქმებამ ქართულ მხარეს საშუალება მისცა, დემილიტარიზაციის საკითხებში მეტად პრინციპული იყოს.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ პარალელურად მიმდინარეობს ქართულ-ოსური საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობა, რომელიც ე.წ. მესამე სარეაბილიტაციო პროგრამას იხილავს და რომელშიც საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე გუშინ "მადრიდის კლუბის" დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

დელეგაციას ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტი ლენერტ მერი ხელმძღვანელობს. ვიზიტის მიზანია საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციები და იმ პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა, სადაც კლუბის პროექტები ამუშავდება.

შეხვედრაზე "მადრიდის კლუბის" წარმომადგენლები ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის "აიპაპის" განხორციელების საკითხს განიხილავდნენ. საუბარი შეეხებოდა ასევე "აიპაპის" განხორციელებაზე მომუშავე სახელმწიფო კომისიისა და "მადრიდის კლუბის" თანამშრომლობის შესაძლო ფორმატსაც. **ინტერ-პრესი**

# პოლიციის აკადემია ახალი სასწავლო პროექტის პრეზენტაციას აწყობს

პოლიციის აკადემიაში დღეს ქართულ ენაზე მომზადებული პირველი მულტიმედიური სასწავლო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართება, რომელიც იარაღისა და ძალის გამოყენების უნარ-ჩვევების შესწავლას შეეხება.

მულტიმედიურ პროგრამას ახლავს დამხმარე სახელმძღვანელოები აკადემიის მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის.

აღნიშნული მოდულები განსხვავებული რაოდენობით ადაპტირებული და იმპლემენტირებულია ბულგარეთში, ჩეხეთში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მონღოლეთში, ტაილანდში, სლოვაკეთსა და უკრაინაში.

შს პოლიციის აკადემიაში მოდულთა ადაპტირებისა და დანერგვისათვის უკვე არსებობს ხელსაყრელი წინაპირობა - 2004 წლის 20-24 სექტემბერს ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივის ექსპერტთა (ილზე რუკერე - ლატვია, ივანა დუფკოვა - ჩეხეთი) მიერ შსს პოლიციის აკადემიაში მოეწყო რამდენიმე მოდულის პრეზენტაცია.

ტრეინინგები პოლიციის აკადემიის მასწავლებლებისთვის ამჟამადაც მიმდინარეობს.

*პრაიმ-ნიუსი*




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# არჩევნების გამართვაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლება იღებს

*სავარაუდოდ, მიმდინარე კვირის ბოლოს საქართველოს პარლამენტი, სამივე მოსმენით, საარჩევნო კოდექსში შესწორებებს მიიღებს, რის შედეგადაც ქვეყანაში თვისობრივად ახალი ტიპის საარჩევნო ადმინისტრაციები შეიქმნება. ოფიციალურად, საარჩევნო კომისიები და, უპირველესად, ცენტრალური საარჩევნო კომისია პროფესიული ნიშნით, ანუ პარტიული წნეხისაგან თავისუფალი ადამიანებით დაკომპლექტდება.*

თამარ მჭედლიშვილი

თუმცა, რეალურად, ცესკო-ს წევრობის მსურველი საკმაოდ მნიშვნელოვან "კაპიტალს" უნდა ფლობდეს და ეს "კაპიტალი" "ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო წარმომადგენლობის და ამ პარტიის ლიდერის - საქართველოს პრეზიდენტის კეთილგანწყობაა. ასე რომ, ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ელიტა მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას საარჩევნო ადმინისტრაციების საქმიანობასა და თავად არჩევნების ბედზე.

გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მეორე მოსმენით კენჭი უყარა და მოიწონა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელიც უმრავლესობის მიერაა შემუშავებული. შესაბამისად, იგი პლენარულ სხდომაზე გასატანად მზად არის.

როგორც მოსალოდნელი იყო, კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ არ გაითვალისწინა საპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნა და მის ერთობლივ ალტერნატიულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა. ეს კი ოპოზიციისთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან სხდომის დაწყების წინ ისინი უკვე აცხადებდნენ, რომ უმრავლესობა მათ წინადადებებს არ გაითვალისწინებდა და არც ერთ ოპოზიციურ პარტიას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წევრის დანიშვნის უფლებას არ მისცემდა.

ამის მიუხედავად, გუშინ "კონსერვატორებმა", "ახალმა მემარჯვენეებმა", "რესპუბლიკელებმა" და "მრეწველებმა" მაინც გაიბრძოლეს - იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის დაწყებამდე მათ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც საკუთარი კანონპროექტი წარმოადგინეს (საგულისხმო დეტალი: ამ პრესკონფერენციაზე რესპუბლიკური პარტიის პოზიცია იურისტმა დავით უსუფაშვილმა გამოხატა).

ამ პროექტის თანახმად, ცესკო-ს წევრობის კანდიდატების პარლამენტში წარდგენის უფლება აქვთ: პრეზიდენტს, იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც ყველა დონეზე გამართულ პროპორციულ არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერი გადალახეს (მათ შორის: "ნაციონალური მოძრაობა", "მემარჯვენე ოპოზიცია", ლეიბორისტული პარტია, "თავისუფლება", "ერთობა", ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია). პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ამ კანონპროექტის პრეზენტაცია უკვე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე



*ოპოზიციამ საკუთარი ვარიანტის პრეზენტაციას სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა.*

გაიმართა, თუმცა, უშედეგოდ - საპარლამენტო უმრავლესობას პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და ეს თავად ოპოზიციონერებმაც შესანიშნავად იცოდნენ.

იმ ურთიერთშელაპარაკებებს და ლოკალურ კონფლიქტებს კი, რომელიც სხდომის მსვლელობის დროს პერიოდულად წარმოიშვებოდა ხოლმე, გაგრძელება არ მოჰყოლია. მეტიც, ისინი დეპუტატებმა თავად გაანეიტრალეს. მაგალითად, უმრავლესობის ერთ ლიდერს გიგა ბოკერიას სულაც არ სწყენია, როცა "მემარჯვენე" კოკა გუნცაძემ იგი ვიტალი ხაზარაძეს შეადარა. სიმართლე რომ ითქვას, გუშინ არც "მემარჯვენეები" დარჩნენ შეურაცხყოფილები, როცა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ისინი კვლავ წინა ხელისუფლებასთან ალიანსში დაადანაშაულა.

საბოლოოდ კი ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც საპარლამენტო უმრავლესობას სურდა - ვინ უნდა იყოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, ამას საქართველოს პრეზიდენტი გადაწყვეტს. თავად ცესკო-ს წევრთა შერჩევის პროცედურა კი ასეთი იქნება: ცესკო-ს თავმჯდომარესა და ექვს წევრს, პრეზიდენტის წარდგინებით, პარლამენტი აირჩევს. როგორც კანონპროექტი გვამცნობს, კანდიდატურების შერჩევა ღია კონკურსის გზით, ტესტირების საფუძველზე მოხდება. სპეციალურად ამისთვის შეიქმნება საკონკურსო კომისია.

# შამბას ტიროლში მოგზაურობას არ პატიობენ

პირველი გვერდიდან

"სამხრეთ ტიროლის საკითხზე" პირველად მაშინ ალაპარაკდნენ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ იტალიის შემადგენლობაში მყოფი ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ავტონომიის მოდელის გამოყენება სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ურთიერთობაშია შესაძლებელი.

ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილე აფხაზეთის დელეგაციის სამხრეთ ტიროლში ჩასვლა ბევრმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად ფედერალიზმის გამოცდილების გაზიარების ერთგვარ მზადყოფნად აღიქვა. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე შამბას არაეფექტურ მუშაობაზე. საქართველოსთან ურთიერთობისას აფხაზეთის საგარეო უწყება ახალი იდეების გენერირებას არ ახდენს და მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებისა და ქართული მხარის მიერ დადგენილი წესებით მოქმედებს - ასეთია შამბას მოწინააღმდეგეთა პრეტენზიების ძირითადი არსი.

ტიროლის ინციდენტთან დაკავშირებით ოპოზიციის რეაქცია გასაოცარია. უფრო სწორად, რეაქცია საერთოდ არ არის. ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრად სერგეი შამბას დანიშვნა ხაჯიმბას მიერ შემოთავაზებული კონსენსუსი იყო, ხაჯიმბა კი დღესდღეობით ხელისუფლებაში ახალ ოპოზიციურ ბლოკს წარმოადგენს.

კერძო საუბრებში ოპოზიციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ შამბა, უბრალოდ, გაწირეს. **"შამბა ბაგაფშსა და მის გუნდს "არ აწყობს". მათ კარგად იცოდნენ, თუ რა მოჰყვებოდა შამბას ტიროლში ვიზიტს და, ამიტომ, განგებ გაუშვეს იგი იტალიაში. როგორც ჩანს, ამ ფაქტს შამბას შემდგომი კრიტიკისთვის გამოიყენებენ,"** - აცხადებენ ოპოზიციის წარმომადგენლები.

თავად ხაჯიმბას კი, რომელიც, სხვათა შორის, საგარეო პოლიტიკას კურირებს, ამ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. გაჩნდა პრეტენზიები, რომ აფხაზეთის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები შეუთანხმებლად მოქმედებენ. გაურკვეველია მთავარი საკითხი - იცოდა თუ არა ბაგაფშმა შამბას ტიროლში გამგზავრების შესახებ? ზოგიერთ სანდო წყაროს ამ კითხვაზე დადებითი პასუხი აქვს, ზოგს - უარყოფითი.

# შეხვედრა "შლაინინგის პროცესის" ფარგლებში

22-29 აპრილს ინგლისის ქალაქ ოქსფორდში, ე.წ. "შლაინინგის პროცესის" ფარგლებში, მორიგი, რიგით მე-14 ქართულ-აფხაზური დიალოგი შედგება. შეხვედრა ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" ინიციატივით და ევროკავშირის დაფინანსებით გაიმართება.

ქართული მხრიდან "შლაინინგის პროცესის" ფარგლებში მიმდინარე ქართულ-აფხაზური დიალოგის კოორდინატორის, პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის ინფორმაციით, აფხაზური მხრიდან დიალოგში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა, აფხაზური პარლამენტის თავდაცვისა და უშიროების კომიტეტის თავმჯდომარე გარი სამანბა, გალის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე რუსლან ქიშმარია.

ზაქარეიშვილის ინფორმაციით, ქართული მხრიდან შეხვედრას, სავარაუდოდ, პარლამენტარი ნიკა გვარამია, იურისტი თინათინ ხიდაშელი, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანია დაესწრებიან.

*ინტერ-პრესი*

# საბრძოლო არა, მაგრამ პოლიტიკური ნაღმები პარლამენტში მრავლად არის

პირველი გვერდიდან

**"მემარჯვენეებმა" ტაკიმასხარაობის დემონსტრირება მოახდინეს. რამდენჯერაც გამყრელიძეს ნერვები მოეშლება, იმდენჯერ უნდა ვისმინოთ მისი ლანძღვა-გინება?"** - სიტყვა მიადევნა მაია ნადირაძემ სხდომათა დარბაზიდან მიმავალ "გამჩმახებელს" და არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ **"მემარჯვენეებს" შეუძლიათ, შენობათა ფერებზეც კი დაუსრულებლად იდავონ."**

მთელი ეს ალიაქოთი კი იმან გამოიწვია, რომ ოპოზიციონერთა სურვილის საწინააღმდეგოდ, მთავრობა დაჟინებით ითხოვდა, საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანას, რომლითაც კერძო არბიტრაჟს საგადასახადო დავების გადაწყვეტის უფლება ჩამოერთმეოდა. აღმასრულებელი ხელისუფლების ამ მოთხოვნას კი საპარლამენტო უმრავლესობა მთლიანად იზიარებდა.

**"არბიტრაჟმა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე უნდა იმსჯელოს და არა საგადასახადოზე,"** - ამტკიცებდა უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია.

**"არბიტრაჟისთვის საგადასახადო დავების გარჩევის უფლების შენარჩუნება სახელმწიფოსთვის ფისკალური თვითმკვლელობის ტოლფასია,"** - ბოკერიას კვერს უკრავდა ნიკა გვარამია, რომელიც იმასაც აღიარებდა, რომ, თავის დროზე, საგადასახადო კოდექსში ამ დებულების შეტანით, მთავრობამ და საპარლამენტო უმრავლესობამ შეცდომა დაუშვა.

თუმცა ბოლოს, ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ, სახელისუფლებო ფრაქციამ ნაწილობრივ მაინც გაითვალისწინა "მემარჯვენე ოპოზიციის" მოთხოვნა: პარლამენტის მიერ გუშინ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის მიხედვით, არბიტრაჟის ინსტიტუტზე ორთვიანი მორატორიუმი ცხადდება და ამ ხნის განმავლობაში კანონმდებლობა ისე უნდა დაიხვეწოს, რომ მომავალში არც სახელმწიფო დაზარალდეს და არც მეწარმე.

"ტაკიმასხარაობისა" და "ულირსობის" თემის ამოწურვის შემდეგ, საპარლამენტო მუშაობა, თითქოს, წყნარ რეჟიმში უნდა გადასულიყო, მაგრამ მოხდა პირიქით: რამდენიმე წუთის შემდეგ დეპუტატები უფრო მძაფრად წაეკიდნენ ერთმანეთს.

ახალი კონფლიქტის მიზეზად რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია "202"-ის ეთერში ბეჟან გუნავასა და ნაზი არონიას შორის გამართული დებატები იქცა. მაშინ გუნავამ არონიას პასუხი მოსთხოვა იმაზე, თუ რატომ ხდება, რომ ზუგდიდში ჩატარებულ ტენდერებში ყოველთვის მისი (არონიას) მეუღლე იმარჯვებს და, შესაბამისად, გზის საფარის შეკეთებაზე სახელმწიფო შეკვეთებს მხოლოდ ის იღებს (ნაზი არონიას მეუღლე ზუგდიდში საგზაო სამმართველოს უფროსია და ასფალტის ქარხანას ფლობს).

ტელესტუდიაში დეპუტატებს შორის დაწყებული დავა გუშინ პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაგრძელდა და, როგორც ბეჟან გუნავა აცხადებს, არონიამ მას დებატების დროს "არაკაცური მოქცევა" დააბრალა. მათ კამათში დავით კირკიტაძეც ჩაერთო და **"ვირიშვილო, ყურებს დაგახევ!"** - ამ სიტყვებით გამოექომაგა მანდილოსან დეპუტატს. **"ვის უბედავ, ბიჭო, მაგას?"** - აენთო შეურაცხყოფილი გუნავა და ყოფილ თანაფრაქციელზე გაიწია, მაგრამ მანდატურის სამსახურის მუშაკებმა შეაკავეს. **"კირკიტაძე ჩემს წონით კატეგორიაში არ არის,"** - მოგვიანებით, ჟურნალისტებთან საუბარში, თავს იმშვიდებდა ბეჟან გუნავა.

ასეთი აყალმაყალის მიუხედავად, პარლამენტის გუშინდელ მუშაობას უნაყოფო მაინც არ ეთქმის: გარდა იმისა, რომ დეპუტატებმა, სხვადასხვა მოსმენით, 50-მდე კანონპროექტი მიიღეს, მთავარი, ალბათ, მაინც ის იყო, რომ ელჩების როტაცია უმტკივნეულოდ მოხდა. კერძოდ, შვეიცარიის კონფედერაციიდან გამოიწვიეს ალექსანდრე ჩიკვაიძე (მისივე განცხადების საფუძველზე), ეუთოდან და ვენაში განლაგებული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან - გიგა ბურდული, ბენილუქსის ქვეყნებიდან და ევროკავშირიდან - კონსტანტინე ზალდასტანიშვილი. პარალელურად, რუსეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დამტკიცდა ირაკლი ჩუბინიშვილი (117 მომხრე, 1 წინააღმდეგი), ზალდასტანიშვილის ადგილზე კი - სალომე სამადაშვილი.

**"გული მწყდება, რომ ასეთი კარგი მოადგილე აღარ მეყოლება, მაგრამ მიხარია, რომ ქვეყანას კარგი ელჩი ეყოლება,"** - ასე გამოემშვიდობა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის აწ უკვე ყოფილ მოადგილეს კოტე გაბაშვილი.

კიდევ უფრო "ამაღელვებელი" იყო "კონსერვატორთა" წარმომადგენლის გამოსვლა. სალომე სამადაშვილის ელჩად "გამწესებას" ბიძინა გუჯაბიძეც მიესალმება, ოღონდ, "მერკანტილური" მოსაზრებით: **"საპარლამენტო უმრავლესობას ერთი ძალიან კარგი წევრი გამოაკლდება".**

გუშინვე პარლამენტში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომისია (თავმჯდომარე ელდარ შენგელაია), რომელიც სახელმწიფო გერბში ცვლილებების შეტანის საკითხზე იმუშავებს: განზრახულია, რომ გერბზე არსებულ წარწერას "ძალა ერთობაშია", წინ და უკან, ჯვრები დაემატოს.

# სუუამ-ი ერთი "უ"-ს გარეშე

პირველი გვერდიდან

**"საქართველო და უკრაინა მომხრეები არიან იმისა, რომ სუუამ-ში ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებიც ჩაერთონ,"** - განაცხადა გუშინ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ, ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ტარასიუკმა.

**"ჩვენ განვიხილეთ ორგანიზაციის სახელწოდების შესაძლო შეცვლის საკითხი, ასევე მისი სრულფასოვან საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის შესაძლებლობები,"** - აცხადებს ბორის ტარასიუკი, რომლის მტკიცებითაც, იმ შემთხვევაში, თუ სუუამის საქმიანობაში, ფორმატსა და სახელწოდებაში კარდინალური ცვლილებების განხორციელება მოხერხდება, ეს ამ ორგანიზაციაში სხვა ქვეყნების ჩართვის საწინდარი იქნება.

სალომე ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ სუუამ-ი, შესაძლოა, უკრაინისა და საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი უმთავრესი ფორუმი გახდეს, ხოლო უკრაინას შეუძლია, აღმოსავლეთ-ევროპულ რეგიონში არაფორმალური ლიდერის როლი შეასრულოს. მანვე ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული როლი ფორმალიზებული არ უნდა გახდეს.

სუუამი-ს სამიტში მონაწილეობის მიღებას გეგმავენ რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბაშესკუ, პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი და ბალტიის ქვეყნების რიგი სახელმწიფოების ხელმძღვანელები.

სუუამი 1997 წელს შეიქმნა და პირველად მხოლოდ ოთხ ქვეყანას - საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და მოლდოვას აერთიანებდა. მოგვიანებით, 1999 წელს მას უზბეკეთი შეუერთდა, თუმცა ბოლო წლებში სუუამს უზებეკეთი სათანადო ყურადღებას არ უთმობს და ორგანიზაციის ეგიდით გამართულ შეხვედრებში მონაწილეობას არ იღებს.

მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაცია საქართველო-რუსეთის საზღვარზე საერთაშორისო მონიტორინგის განახლებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი საზღვარზე უკრაინელი დამკვირვებლების განლაგებას არ გამორიცხავს. **"ამ პროექტში უკრაინის მონაწილეობის საკითხი სალომე ზურაბიშვილთან ადრეც განვიხილეთ. უკრაინის მხრიდან არის პოლიტიკური ნება და მზადყოფნა, რომ საქმეში ჩავერთოთ,"** - განაცხადა ერთობლივ პრესკონფერენციაზე ტარასიუკმა.

მისივე თქმით, ამ საკითხისადმი დაინტერესება გამოთქვა საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა და **"დაინტერესებაა ასევე ევროკავშირის მხრიდანაც."**

**"საქართველოსა და უკრაინას შორის საპარლამენტო დონეზე საუბარი შედეგიანი და კონსტრუქციულია,"** - განაცხადა უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარემ ვლადიმირ ლიტვინმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრაზე.

შეხვედრის მსვლელობისას ზურაბიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა ორი ქვეყნის ლიდერთა პოლიტიკური კონსულტაციების ინტენსივობისა და ეკონომიკური ეფექტურობის თანდათანობითი ზრდა. თანამშრომლობის მიმართულებების განხილვისას, ლიტვინმა და საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილეს საერთაშორისო ორგანიზაციებში მოქმედებათა კოორდინაციის მნიშვნელობაზე. ეს, უმეტესწილად, სუუამის ფარგლებში ორი ქვეყნის ურთიერთქმედებას ეხებოდა.

**"ჩვენ ვცხოვრობდით ისეთ მსოფლიოში, სადაც ძლიერი მეზობელი რეგიონში დომინანტი იყო, მაგრამ ახლა, პატარა მეზობლებს შესაძლებლობა აქვთ, რეგიონული პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენა მოახდინონ,"** - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. ამასთან, მან უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარეს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელის საქართველოში მოწვევა გადასცა.

უკრაინაში ვიზიტის დასრულების შემდეგ, სალომე ზურაბიშვილი კიშინიოვში გაემგზავრება, სადაც სუუამის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.

# სამინისტროებში ახალი საკადრო თამაში იწყება

### ანუ არჩევანი შენ, არადანი - მე

ჟაბა ანანიძე
შორენა ბოგირაიშვილი
ბათუმიდან

ბოლო დროს საჯარო მოხელეების საკონკურსო წესით დანიშვნა აჭარაშიც გააქტიურდა. უმუშევრობის ფონზე სახელისუფლებო წრეებში მოხვედრის მსურველი ბევრია, მოსახვედრთა წინასწარ განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი სია კი ძალიან ცოტა. ვის გაუმართლებს, შესაძლოა, არც არავინ იცოდეს, მაგრამ ასეთი გრძელი პროცესი აჭარის პოლიტიკურ წარსულს ჯერ არ ახსოვს. საზოგადოების უმრავლესობა მაინც სკეპტიკურადაა განწყობილი. განწყობის თემა და რეპლიკა არ გაახლებულა - "კონკურსს ფორმალურად ატარებენ, სავარძლები უკვე დაკავებულია."

აჭარის ხელისუფლების ოფიციალური დანაპირები, რომ აჭარას, აჭარის რევოლუციის წლისთავისთვის კონკურსის წესით არჩეული ახალი ხელისუფლება ეყოლებოდა, დაპირებად რჩება. მაისი მალე მოვა, კონკურსის წესით არჩევანი კი მხოლოდ ბათუმის მერიამ გააკეთა. მინისტრთა საბჭო და სხვა სახელისუფლებო, თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები კონკურსის ჩატარებას დაუდგენელი მიზეზებით აჭიანურებენ. მაგალითად, 2004 წლის ბოლოს აჭარის ეკონომიკის სამინისტრო აცხადებდა, რომ კონკურსს იანვარში ჩაატარებდა. იანვრის დასასრულს მიზეზად შესაბამისი კომისიის შექმნა სახელდებოდა, უკვე საგაზაფხულოდ კი ისევ მოვალეობის შემსრულებელი კომპეტენტური პირები აცხადებენ, რომ სირთულე აჭარის იუსტიციის დეპარტამენტმა იურიდიული შემოწმების გამო შექმნა. მსგავსი მიზეზებით სხვა სამინისტროებიც სარგებლობენ.

იუსტიციის დეპარტამენტში გადაბრალების ეს ფორმა, რა თქმა უნდა, აღიზიანებთ და მათივე მონაცემებით ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებამ რეგისტრაცია გასული წლის 12 დეკემბერს გაიარა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ - 29, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ - 15, ხოლო განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 13 დეკემბერს გაიარა. საკონკურსო წესით საჯარო მოხელეთა სამსახურში მიღება ასევე გათვალისწინებულია რაიონული მმართველობებში. მათ საკონკურსო კომისიის დებულება უკვე მიიღეს, ხოლო დროებით მოვალეობების შესრულებას როდის შეელევიან, ამას ვერავინ აკონკრეტებს.

საინტერესოა, რატომ იწელება საკონკურსო დრო, ან საერთოდ რელურია თუ არა იგი და რა ან ვინ იცავს კონკურსანტს. ამაზე სამინისტროებს ერთგვაროვანი პასუხი აქვთ - საკონკურსო დებულება ჯერ კიდევ დასახვეწია, თან ახალი სტრუქტურის ორგანიზაციების და განყოფილებების შექმნა არ დასრულებულა. ამ დებულებების მიხედვით კი, კონკურსი ზეპირი, გასაუბრების ფორმით ტარდება. თითოეულ კონკურსანტს რამდენიმე კითხვას უსვამს კომისია, რომელიც შესაბამისი უწყების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით და მოქმედი ჟურნალისტებითაა დაკომპლექტებული. კონკურსანტები ერთმანეთის პასუხს ვერ ისმენენ და საბოლოოდ არც ის იციან, თუ რა კრიტერიუმით აარჩევენ თანამდებობაზე პირს, რომელიც მას კონკურენციას უწევდა. მსგავსი შეკითხვები ჯერ კიდევ ბათუმის მერიაში გამართულ კონკურსზე გაჩნდა, რადგან კომისიის შეკითხვები ზერელე და ფორმალური ხასიათისა იყო, თან გასაუბრების ამგვარმა ფორმამ მაშინდელი მონაწილეები დაარწმუნა, რომ მათი კონკურსში მონაწილეობა, უბრალოდ, დემოკრატიული შერჩევის დასადასტურებლად სჭირდებათ. თანამდებობები კი უკვე გაყიდულია, ან ნათესაობის და მეგობრობის წესის დაცვით ან უამისოდ (ჩვენ კონკრეტული დარღვევის ფაქტებიც გაგვაჩნია, თუმცა ამჯერად თავს შევიკავებთ).

კონკურსი მაინც ჩატარდა. ქალაქის მერია, შესაბამისად, ახალი თუ ძველი კადრებით დაკომპლექტდა. ახალი რუბიკონის გადალახვა ამჯერად აჭარის განათლების სამინისტრომ განიზრახა. იგი კონკურსს 12 მაისიდან 24 განყოფილებისთვის ჩაატარებს. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს 21-დან 65 წლამდე ასაკის ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას. კონკურსის მონაწილემ უნდა იცოდეს ასევე: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ", საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", " ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-3 თავი და "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2004 წლის 17 აგვისტოს დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ". აგრეთვე სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც შესაბამისი განყოფილებისთვისაა მიზანშეწონილი.

აჭარის მთავრობის იურიდიულ სამსახურში აცხადებენ, რომ კანონი საჯარო სამსახურის შესახებ საჯარო დაწესებულებებს სულაც არ ავალდებულებს კონკურსის წესით მოქალაქეთა მიღებას და ეს თავად საჯარო სამსახურების გადასაწყვეტია. მათ ასევე შეუძლიათ, მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით გაათბონ სავარძლები, სანამ ფორმალური თუ რეალური კონკურსი არ ჩატარდება. **"კონკურსის ჩატარება გასაუბრების ფორმით მისაღებია, რადგან არც ერთ კანონში კონკურსის ფორმების დაკონკრეტება არ ხდება, ხოლო ვინმეს გაყალბება თუ უნდა, მაინც გააყალბებს. კონკურსანტებს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება დაეხმარებათ. არსებობს ასევე საპრეტენზიო კომისიაც, რომელიც შესაძლო დარღვევებს განიხილავს. ნაწილობრივ გეთანხმებით იმაშიც, რომ შრომის უფლებების დაცვის სამართალი ამ მხრივ დასაცავია, რადგან კონკურსანტს იურიდიული გარანტიები თითქმის არ გააჩნია. რაც შეეხება საკონკურსო პირობების დროის გაწელვას, ეს ალბათ ამ უწყებებში ახალი სტრუქტურების შექმნითაა განპირობებული,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში იურისტმა სულიკო შვენთიძემ.

ვნახოთ, რომელი უმუშევრობით დაღლილი იქნება ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილი და როგორ დაატრიალებენ ჯერ კიდევ ახალი სტრუქტურის საარჩევნო კარუსელს.



# ჩვენს პატარა ქალაქში მსოფლიოს დირექტორი ჩამოდის

მამუკა ხერხეულიძე

ყველა იმ ქართველს, ვინც თავს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების უფლებას აძლევს საჯაროდ, მსოფლიო პოლიტიკური რუკა უნდა ეკიდოს თავთან და ხშირად უნდა დახედოს ხოლმე; გაიხსენოს, თუ სად ვართ, რამხელა ვართ, თან დღეს ვინ ვართ; გაიხსენოს არა მარტო წარსული, არამედ აწმყოც, რა ჯოჯოხეთური იმპერიიდან ვაპირებთ თავის დაღწევას, რა მემკვიდრეობა გვერგო ორსაუკუნოვანი მონობისაგან - ჩამოთვლა არ ღირს, ცუდ ხასიათზე დავდგებით.

და მაინც, ყოველ დილას მიხარია, რომ ბავშვობის ოცნება მისრულდება: ოჯახში მუდმივად მესმოდა, რომ დაპყრობილი ვიყავით, და მამაჩემის და მისი მეგობრების საუბრების მერე, ძილის წინ, ბევრჯერ მიოცნებია, ვინმე ძლიერი ძმაკაცი სახელმწიფო გამოსჩენოდა ჩვენს პატარა, მაგრამ ყველაზე მაგარ ქვეყანას.

ცოტა რომ წამოვიზარდე, უკვე ვიცოდი, რომ ის არსებობს, ულამაზესი ვარსკვლავებიანი დროშის, ტომ სოიერის, ჟუვაჩკის, ლევი შტრაუსის, კოკა-კოლას, ჯაზის, კინოს, კალათბურთის, როლს-როისის, ცათამბჯენების და ჰიპების სამშობლო. ვიცოდი, რომ არსებობს მსოფლიოს არაოფიციალური დედაქალაქი ნიუ-იორკი, სადაც მთელი მსოფლიოს კაი ტიპები ჩადიოდნენ და რჩებოდნენ. ვიცოდი, რომ საბჭოთა კავშირი ყველაზე მეტად ამ ქვეყანას ვერ იტანდა - ეშინოდა და აუხდა კიდეც, და რომ არა მეორე მსოფლიო ომში მისი ჩარევა, რა მოხდებოდა, კაცმა არ იცის. კიდევ მახსოვს, დედა როცა ომს იხსენებდა, აუცილებლად ამერიკულ პროდუქტებს ასახელებდა, უცნაურ, ლამაზად შეფუთულ ფხვნილებს, რომელიც საჭმელად იქცეოდა. ომის მერე დანგრეული ევროპა მერსედესივით როგორ დააბრაბუსეს - ეს ბოლოს ჩემი თვალითაც ვნახე. კიდევ ცოტა რომ წამოვიზარდე, ჩემი კერპი მუსიკაში ჯიმი ჰენდრიქსი გახდა - თმებიც მოვუშვი, კინოში ჩაპლინი მიყვარდა, ხოლო ლიტერატურაში - ისევ მარკ ტვენი (დღემდე ასეა) და უილიამ ფოლკნერი, ჰემინგუეიც - ეს "ც" კარგია, არა?!

ცოტაც და აკრძალული, ნახევრადჩახშობილი რადიო თავისუფლების ან ამერიკის ხმის მოსმენა დავიწყე. იქიდან იმედიანი მესიჯები მოდიოდა, ისმოდა დოქტორ კისინჯერის, კარტერის, ნიქსონის, ბზეჟინსკის და ბოლოს რეიგანის გვარები, ამ უკანასკნელმა კი პირველად დაარქვა რუსეთს თავისი სახელი - ბოროტების იმპერია; ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოსაგან განსხვავებით, ერთ ადგილს კი არ უთამაშებდა რუსეთს. ამის შემდეგ კი, ერთ დღესაც, საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჩვენთვის, დიდხნიანი, გენეტიკურად პატიმრებისათვის, სრულიად მოულოდნელად.

დამოუკიდებლობა ვერ შევირგეთ. როგორც ყოველთვის, იყო სამშობლოს ღალატი ანუ სამოქალაქო ომი. იქ დაღუპულები ერთად წვანან სასაფლაოებზე და ქვეყანაში საუკეთესო ტერიტორიებს მაინც დამპყრობლის ჯარები განაგებენ. მე კი შუა თებერვალში, მაგარი მზიანი, ციტრუსებითა და პალმებით გადამწვანებული, თოლიებიანი სანაპირო დავტოვე, მსოფლიოში ყველაზე მაგარი ქალაქი, რაც კი ოდესმე მინახავს, და როცა ძილში შეღწევას ვწვალობ, ამ სურათს ამოვაგდებ ხოლმე, და მგონია, რომ დედაქალაქი სოხუმში უნდა გადავიტანოთ, ჩვენი ბრწყინვალე დაბრუნების აღსანიშნავად.

ახლა კი ჩემს პატარა ქალაქში მსოფლიოს არაოფიციალური დირექტორი ჩამოდის, ჩემი საიმედო ქვეყნის პრეზიდენტი, სახელმწიფოსი, რომლის კონსტიტუციაში ასეთი პოეტური ჩანაწერია, ადამიანს აქვს ბედნიერებისაკენ ლტოლვის უფლება და მიხარია, რომ რვაასწლიანი ინტერვალის შემდეგ საქართველოს რეალური უსაფრთხოების გარანტია - ნატოში შესვლა, ტერიტორიული მთლიანობის და დამპყრობლის ჯარების გაყვანა უნდა გადაწყდეს. მიხარია, რომ ჯორჯ ბუში ჩემ მიერ არჩეულ ახალგაზრდა პრეზიდენტთან სალაპარაკოდ ჩამოდის და მისმა გუნდმა ის ნობელზე წარადგინა.

საქართველოში პოლიტიკა ფეხბურთივით იცის ყველამ. ფეხბურთი რა დღეშიც იყო, ისიც ვიცით. ასეა პოლიტიკაც. მაგრამ ჩვენ ხომ არავინ გვასწავლის, ასე დაწერე, ისე დაწერე, ან - ზოგისთვის უფრო მართებულიც იქნებოდა - სულ ნუ დაწერო. მეც უამრავი რამ არ მომწონს, მაგრამ რაღაც გვარებს ნუ გადავაყოლებთ საქართველოს. ზოგადად ჰაი-ვეიზე ვართ, როგორც ამერიკელები ამბობენ, მთავარ გზაზე.

ყველამ ერთად ის მაინც შევძლოთ ბალტიისპირეთივით, გავერთიანდეთ მთავარში, პირველად, რომ ჯერ რუსეთის ჯარები გავიყვანოთ, შემდეგ გადავიდეთ სხვა საკითხებზე და ცხოვრებაში ერთხელ მაინც ბოლომდე ავიღოთ პასუხისმგებლობა. ნუ გვეშინია წარუმატებლობის; გასაგებია, ქვეყანასავით მოქალაქეც წარუმატებელობის კომპლექსით არის დაავადებული 800 წელია, მაგრამ ეს ნავსი უკვე ხომ გავტეხეთ, ჯერ თბილისში, მერე კი ბათუმში, გვჯეროდეს გამარჯვების!

**P.S.** პატივისცემით, პაციფისტებს: კაცმა შვილს პისტოლეტი აჩუქა, მეორე დღეს ჰკითხა, სად არისო, იმან უპასუხა, ნახე, რა მაგარ საათში გავცვალეო. მამამ ჰკითხა: სახლში რომ შემოგივარდებიან, ცოლს და დედას ჯერ რომ მოგ.......ნ და მერე მოგიკლავენ, შენ რას ეტყვი, - ოთხის ნახევარიაო?

# ვაკანსია

ამერიკული კომპანია Peocter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში, შპს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე.

**აუცილებელი მოთხოვნები**

ა) ასაკი - 24 წლამდე.
ბ) განათლება - უმაღლესი.
გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლებისმქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94 18 94.

**ელ-ფოსტაზე: hr@arti.ge**

# იმერეთის ბიუჯეტი მკაცრი ადმინისტრირების ხარჯზე ივსება

მაია მესხიშვილი
ქუთაისიდან

ბოლო პერიოდში ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექცია იმერეთის პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ეპიცენტრშია. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული ინსპექციის უფროსს დავით ჯავახაძეს იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის პოსტზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უწევს რეკომენდაციას.

**"ბატონ ზურაბთან ჩვენ გვაქვს კონსტრუქციული თანამშრომლობა. წინა შაბათს ჩვენ გვქონდა მასთან თათბირი, სადაც განვიხილეთ კვარტლის შედეგები და შესაბამისი გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული. ფაქტობრივად, ყველა ოპერაციას დღეს ჩვენ პრემიერის დავალების შესაბამისად ვახორციელებთ, მაგრამ ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ბატონ ზურაბს ჩემთვის რწმუნებულობა ან სხვა რამ შემოეთავაზებინა",** - აცხადებს ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსი დავით ჯავახაძე "24 საათთან" საუბარში.

პრემიერ-მინისტრის დავალების შესაბამისად, ჯავახაძის უწყებამ რეგიონში კომპლექსური შემოწმება მოაწყო, რომლის დროსაც განსაკუთრებული აქცენტი ზესტაფონის რაიონზე დაისვა. საქმე ის გახლავთ, რომ ორიოდე კვირის წინ ქუთაისში ვიზიტად მყოფ ნოღაიდელს ზესტაფონის გამგებელთან მწვავე საუბარი მოუხდა დახურულ კარს მიღმა. კერძოდ, რაიონის ხელმძღვანელობამ ქვეყნის ხელისუფლებას მწირ შემოსავლებზე შესჩივლა და რაიონის კეთილმოწყობისთვის ფინანსური დახმარება ცენტრალური ბიუჯეტიდან მოითხოვა.

**"ნამდვილად არაა კორექტული ამ რაიონის ხელმძღვანელობის მხრიდან ის, რომ პრემიერ-მინისტრს მოსთხოვონ თანხა, რადგან ზესტაფონს, შემოსავლების კუთხით, ყველაზე კარგი მდგომარეობა აქვს იმერეთში. ამას გარდა, სულ რაღაც ორსაათიანი შემოწმების შედეგად ქუთაისის ინსპექციამ ამ რაიონში 30 000 ლარის საგადასახადო ბაზა აღმოაჩინა დამატებით",** - აცხადებს დავით ჯავახაძე.

ეს 30 000 ლარი 60 სამართალდარღვევის ოქმის საჯარიმო თანხებმა შეადგინა, რომელიც ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ სალარო აპარატების მუშაობის შემოწმების შედეგად გამოვლინდა. ზესტაფონთან ერთად ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ ანალოგიური შემოწმება თერჯოლისა და ხარაგაულის რაიონებშიც ჩაატარა, სადაც, კვარტლის მონაცემებით, ადგილობრივი ბიუჯეტები, პირველ შემთხვევაში, 4000 ლარით, მეორე შემთხვევაში კი - 5700 ლარით გაირღვა. მიმდინარე პერიოდში, იმერეთის მასშტაბით, საგადასახადო შემოსავლების დანაკლისი კიდევ სამი რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტებში აღინიშნება. წყალტუბოს ბიუჯეტი 4000 ლარით გაირღვა, ჭიათურაში - 25 000 ლარით. სამტრედიაში კი კოლაფსური სიტუაცია შეიქმნა, რადგან, ახალი საგადასახადო კოდექსით, ფილიალები გაუქმდა. სამტრედიის ბიუჯეტს კი, ძირითადად, სწორედ რკინიგზის ფილიალები ავსებდნენ.

ფილიალების გაუქმებით ყოველთვიურად 200 000 ლარი მოაკლდა ქუთაისის ადგილობრივ ბიუჯეტსაც, თუმცა, მკაცრი ადმინისტრირების გზით, ქალაქის ბიუჯეტი პირველ კვარტალში 400 000 ლარის გადაჭარბებით შესრულდა. მკაცრი ღონისძიებების შედეგად ქუთაისის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული 20 000 გადამხდელიდან 18 000 დაყადაღებულია. ამას გარდა, 50 პროცენტიანი ზრდით დაგეგმილი ბიუჯეტის შესასრულებლად, ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია დროდადრო სპეციალურ ღონისძიებებსაც მიმართავს. მაგალითად, ქალაქის ცენტრში განთავსებული მაღაზიების ინვენტარიზაციის შედეგად თითოეულ მაღაზიას შვიდი ათასი ლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

**"გატარებული ღონისძიების შედეგად ამ სფეროდან შემოსავალი გაათმაგდა. ამ ეტაპზე ჩვენ ტანსაცმლის მაღაზიები შევამოწმეთ და ფაქტობრივად, ქალაქში არსებული ყველა ელიტარული მაღაზია დავაჯარიმეთ. ანალოგიურ შემოწმებას ჩვენ გავაგრძელებთ, ოღონდ ამჯერად - ორგტექნიკისა და ფქვილის საბითუმო მაღაზიებში,"** - აცხადებს დავით ჯავახაძე.

ფქვილის საბითუმო მაღაზიების შემოწმებამდე ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ პურის მრეწველობის სფერო შეისწავლა. ოცამდე პურის საცხობის შემოწმების შედეგად აღნიშნულ სფეროში საგადასახადო ბაზა შვიდჯერ გაიზარდა.

მკაცრი ადმინისტრირებით ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექცია ქვეყნის მასშტაბით გამოირჩევა. მაგალითად, პირველ კვარტალში ქვეყნის საგადასახადო უწყების მიერ 900 კამერალური აქტია შედგენილი, აქედან 800 - ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის სახელზე მოდის. კამერალური აქტი სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე დგება, რომლითაც ხდება გადამხდელზე თანხის დარიცხვა.

მთლიანობაში ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციას პირველი კვარტლის გეგმა 104,2 პროცენტით აქვს შესრულებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მასშტაბით ბიუჯეტში 9 მილიონ 990 ათასი ლარია მობილიზებული.



დავით ჯავახაძე

# ევროკავშირი ახალი ფორმით დაგვეხმარება

ვერიკო თევზაძე

"EENPI" - ასე ჰქვია ევროკავშირის დახმარების ახალ პროგრამას, რომელიც 2007 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება. იგი "ტასისის" პროგრამას შეცვლის. როგორც "24 საათს" ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა ნიკო ნადირაშვილმა განუცხადა, "EENPI", ანუ ევროპული სამეზობლო თანამშრომლობის ინსტრუმენტი, წინანდელისაგან მკვეთრად განსხვავდება.

თუ "ტასისი" ორიენტირებული იყო მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, ახალი სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნები განსხვავებულ კონტინგენტს წარმოადგენენ. ამ ორ პროგრამას შორის ის განსხვავებაც არსებობს, რომ ტასისი 90 პროცენტის ფარგლებში ტექნიკურ დახმარებას გასცემდა, ხოლო "EENPI" მიმღებ ქვეყანას ( ამ შემთხვევაში საქართველოს) უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს - იმის საშუალებას, რომ დახმარების მისთვის სასურველი ფორმა აირჩიოს.

ახალი პროგრამის შესახებ ქართულ მხარესთან გუშინ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ევროკომისიის ევროპული დახმარების პროგრამის ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის დირექტორატის დირექტორი რიჩარდ ვებერი. იგი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძეს შეხვდა.

ნიკო ნადირაშვილის ინფორმაციით, "EENPI" არის საქართველოში ევროკავშირის პოლიტიკის გაგრძელება, მხარდაჭერა ამ პოლიტიკის განსახორციელებლად.

ჯერჯერობით უცნობია, რა მოცულობის დახმარებას გულისხმობს ევროპული სამეზობლო თანამშრომლობის პროგრამა. ნიკო ნადირაშვილის განმარტებით, "ტასისის" პროგრამა და ევროკავშირის სხვა სახის დახმარებები საქართველოში ყოველწლიურად 20-დან 50 მილიონ ლარამდე მერყეობდა. "EENPI", მინიმუმ, იგივე მოცულობის დახმარებას შემოგვთავაზებს, შესაძლოა, ეს მოცულობა გაიზარდოს კიდეც.

როგორც ნადირაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რუსეთისადმი ევროკავშირის დახმარების წილი, ორმხრივი ურთიერთობების ჩარჩოებში, მკვეთრად შემცირდა, თანაც, იგი მხოლოდ ტექნიკური დახმარებით შემოიფარგლება.

რიჩარდ ვებერის 20 აპრილის ნახევარდღიანი ვიზიტი თბილისში გაცნობით ხასიათს ატარებდა.

# პანკისის ხეობამ დენი მიიღო

პანკისის ხეობის ენერგომომარაგებასთან დაკავშირებით ადგილობრივ მოსახლეობაში ვნებათაღელვა ჩაცხრა. როგორც დუისის გამგებელმა ჯარაფ ხანგოშვილმა "მედიანიუსს" განუცხადა, მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, რადგან ხადორჰესზე წყლის დონემ მოიმატა და ჰესი 12 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ეს კი საშუალებას იძლევა, ხეობის მოსახლეობას დენი გრაფიკით მიეწოდოს. ჯარაფ ხანგოშვილის თქმით, პანკისის მოსახლეობას დენი დღეგამოშვებით მიეწოდება - დილიდან პირველ საათამდე ან საღამოს ექვსი საათიდან. "მოსახლეობაში უკმაყოფილება მაინც შეინიშნება, რადგან ხალხს დენის ხილვა ყოველდღე სურს, რისთვისაც მზად არიან, ელექტროენერგიის საფასური გადაიხადონ," - აცხადებს დუისის გამგებელი. ხანგოშვილის ინფორმაციით, 19 აპრილს ხეობის ადმინისტრაცია რაიონის ენერგოკომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა. კომპანიაში აცხადებენ, რომ პანკისის ხეობაში ელექტროენერგიის 24-საათიანი მომარაგება გამრიცხველიანების შემდეგ მოხდება, რაც ჯარაფ ხანგოშვილის თქმით, ამჟამად შეუძლებელია. "თუკი ვითარება კიდევ უფრო არ გაუმჯობესდება, პანკისის ხეობაში საპროტესტო აქციები შესაძლოა, ისევ განახლდეს," - აცხადებს გამგებელი.

*მედიანიუსი*

# განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტში:

- ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის სამმართველოს უფროსის ერთი საშტატო ერთეული, თანამდებობრივი სარგო 800 ლარი თვეში;

იმავე სამმართველოში:
- მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული, თანამდებობრივი სარგო 650 ლარი თვეში;
- უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული, თანამდებობრივი სარგო 600 ლარი თვეში;
- სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული, თანამდებობრივი სარგო 500 ლარი თვეში.

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს. კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ, როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და არ შესრულებიათ საჯარო სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე კონკურსანტს მოეთხოვება:
- უმაღლესი ეკონომიკური განათლება;
- საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების ცოდნა, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- იცნობდეს სახელმწიფო სექტორში საერთაშორისო ბურალტრული სტანდარტების მეთოდოლოგიას (IPSAS);
- ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში მუშაობის არანაკლები ორი წლის გამოცდილება;
- ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერულ პროგრამასთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

სპეციალისტებს მოეთხოვებათ (მთავარ სპეციალისტს, უფროს სპეციალისტს, სპეციალისტს):
- უმაღლესი ეკონომიკური განათლება;
- საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების ცოდნა, სასურველია ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- იცნობდეს სახელმწიფო სექტორში საერთაშორისო ბურალტრული სტანდარტების მეთოდოლოგიას (IPSAS);
- ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერულ პროგრამასთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

კონკურსს ატარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საკონკურსო-საატესტაციო სპეციალიზებული კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის მონაცემთა საფუძველზე.

კონკურსის მონაწილეები გაივლიან ატესტაციას სპეციალური პროგრამის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის კადრებთან მუშაობის სამმართველოში, წერილობით განცხადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია, წერილობით განცხადებასთან ერთად;
2. განათლებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. ორი ფოტოსურათი 3X4 ზომით.

საბუთების მიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორი კვირის ვადაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე; ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N 1 საქართველოს ფინანსთა სამინისტოს სახაზინო სამსახური.

ტელეფონი: 36-46-04; 33-48-95.

საჯარო სამსახურის ბიურო

# ქ. თბილისის მერიის მიმართვა დედაქალაქის მოსახლეობისადმი

***ძვირფასო თბილისელებო!***

მოგმართავთ თხოვნით "ჭიაკოკონობის" ტრადიციასთან დაკავშირებით თავი შეიკავოთ ავტოსაბურავებისა და რეზინის ნაკეთობების დაწვისგან. ამ დროს გამოიყოფა ადამიანის ჯამრთელობისათვის საშიში ტოქსიკური, მაღალკარცეროგენული ნივთიერებები, რომელიც იწვევს სხვადასხვა დაავადებებს.

აგრეთვე მივმართავთ დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული ***ავტოტექმომსახურების ობიექტების ხელმძღვანელებს!***

არ დაუშვათ ავტოსაბურავებისა და ნარჩენების გადაყრა თქვენს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში და განსაკუთრებით ბავშვებში მათ გავრცელებას. გთხოვთ, უზრუნველყოთ ხელშეკრულების გაფორმება ნარჩენების შემგროვებელ ლიცენზირებულ სამსახურებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მიმართ გატარებული იქნება ადმინისტრაციული და სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

***გაუფრთხილდით თქვენი და თქვენი შვილების ჯანმრთელობას!***

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი**

# პუტინს კრიტიკის მოსმენა კიდევ ერთხელ უწევს

პირველი გვერდიდან

კონდოლიზა რაისმა რუსეთს დსთ-ს სივრცის ქვეყნებთან ურთიერთობების გადახედვისკენაც მოუწოდა. მისი თქმით, რუსეთი არ უნდა შეუშინდეს საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე დემოკრატიულ ცვლილებებს, რომელიც თავისთავად რევოლუციას არ გულისხმობს. თუ ზოგადად რუსეთთან ურთიერთობების შეფასება დადებითი იყო აშშ-ს მხრიდან, გარკვეული მინიშნებები, თანაც მკაცრი, სუსტ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე მაინც გაკეთდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აშშ-ს სტრატეგიული მტერი არ არის, პირიქით, მოკავშირეცაა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა თუ ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისათვის მაინც აუცილებელ პირობად რჩება რუსეთის დემოკრატიული განვითარება.

რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ-ს მხრიდან რუსეთისადმი თითის დაქნევის პარალელურად, რუსული მასმედიის აზრით, გარკვეულ რევერანსებს ადგილი მაინც ჰქონდა. კერძოდ, ამერიკელთა ქება რუსეთმა ბუშერში ქმედებების გამო დაიმსახურა. რაისის თქმით, რუსეთ-ირანის თანამშრომლობა ოფიციალურ თეირანს არ აძლევს ჭეშმარიტი მიზნების განხორციელების საშუალებას. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ისიც აღნიშნა, რომ ამერიკელ სენატორთა ჯგუფისაგან განსხვავებით, იგი, ისევე როგორც პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, არ არის "დიდი რვიანიდან" რუსეთის ჩამოცილების მომხრე. **"მე ვიცი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მძიმე დროება დადგა. რუსმა ხალხმა დაიწყო საბაზრო და ეკონომიკური განვითარების მორგება. ჩვენ კარგად ვუწყით, თუ რამდენი ძირეული ცვლილება განხორციელდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. მე პატივს ვცემ რუსი ხალხის სიძლიერესა და შესაძლებლობებს. ამ ქვეყანას დიდი, ნათელი მომავალი აქვს. სხვადასხვა ორგანიზაციებისგან რუსეთის ჩამოცილება უგუნურება იქნებოდა,"** - აღნიშნა კონდოლიზა რაისმა. დსთ-ს სივრცეზე რუსეთის მიერ გავლენის შენარჩუნების მცდელობას რაც შეეხება, რაისის თქმით, იგი ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს. თუმცა, ეს განსაკუთრებით ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე ეკონომიკური პოზიციების გამყარებას შეეხება. **"ეს თამაშია, სადაც დამარცხებულნი არ არსებობენ,"** - აღნიშნა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა.

როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლებისათვის მაინც, ერთგვარად შიშისმომგვრელი იყო აშშ-ს მკაცრი სახელმწიფო მდივნის ვიზიტი და ამიტომ მისი ნებისმიერი ფრაზის წარმოჩენა დადებით ჭრილში ამჯობინეს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. რადიო "ეხო მოსკვის" მიხედვით, კონდოლიზა რაისი რუსეთში "დემოკრატიის ექსპორტის" აუცილებლობას ვერ ხედავს. რაისის თქმით, "ფერად რევოლუციებში" აშშ-ს როლი მხოლოდ "ხალხის ნების გამოხატვის მხარდაჭერით" შემოიფარგლებოდა. **"ხალხი გრძნობს, რომ მას მეტი თავისუფლება სჭირდება, რაც პირდაპირ კავშირშია დემოკრატიულ განვითარებასთან. ხალხს უნდა ჰქონდეს საკუთარი სურვილის თავისუფლად გამოხატვის საშუალება და მაშინ ის დემოკრატიის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს. ეს იყო და ეს საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში,"** - განაცხადა კონდოლიზა რაისმა. **"ჩვენ არ გვეშინია რუსეთის მომავლის, მან აირჩია თავისი გზა და ჩვენ პატივს ვცემთ მის არჩევანს. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ურთიერთობები გაუმჯობესდება და რუსეთი შეძლებს თავისი პოტენციალის სრულად გამოყენებას, თუკი გაამყარებს დემოკრატიას,"** - დაამატა მან.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან შეხვედრის მთავარი თემები რუსეთში დემოკრატიული ღირებულებების განვითარება, დსთ-ს სივრცეზე უკანასკნელ ხანს გახშირებული "ხავერდოვანი" რევოლუციებისადმი დამოკიდებულება და რუსეთის ბირთვული ობიექტების ინსპექტირების საკითხები იყო. რაისის თქმით, ინსპექტირება სუვერენიტეტის კი არა, თანამშრომლობის საკითხია. რუსული მხარე კი ამტკიცებს, რომ რუსეთის ბირთვულ ობიექტებზე ამერიკელ ექსპერტთა ჩასვლაზე საუბარიც კი ზედმეტია. არადა, ბრატისლავას სამიტზე მიღწეული შეთანხმება, რუსული წყაროების თანახმად, ბევრმა, სწორედ, ინსპექციაზე რუსეთის თანხმობად აღიქვა. ვაშინგტონს ამ საკითხთან დაკავშირებით რეალური შეშფოთების საფუძველი მართლაც აქვს. რუსეთის მიერ ვენესუელისთვის იარაღის მიწოდებას რომ თავი დავანებოთ, ახლოვდება დრო, როცა რუსეთი "დიდ რვიანში" ხელმძღვანელობას გადაიბარებს. მოლაპარაკებების შემდეგ რაისმა იმედი გამოთქვა, რომ მაისში რუსეთში ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს მაინც მოხდება ბირთვული ობიექტების ინსპექტირებასთან დაკავშირებით გარკვეული პროგრესის მიღწევა.



აშშ-ს სახელმწიფო მდივანი რუსეთში კანონის უზენაესობის საკითხითაც დაინტერესდა. მისი თქმით, აშშ განაგრძობს ნავთობკომპანია "იუკოსის" საქმისთვის თვალყურის დევნებას. **"ჩნდება კითხვები სასამართლოებისა და კანონის უზენაესობის შესახებ. ვიცი, რომ განაჩენს სასამართლო მალე გამოიტანს. ჩვენ, როგორც ინვესტორები, მთლიანად საერთაშორისო საინვესტიციო საზოგადოება თვალყურს მივადევნებთ, შეიძლება თუ არა რუსეთში კანონის უზენაესობა ოპტიმისტურად აღიქვა,"** - აღნიშნა კონდოლიზა რაისმა. გარდა ამისა, ამერიკელმა მაღალჩინოსანმა რუსეთის ხელისუფლებას ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, ფაქტობრივად, არარსებულ მექანიზმზეც მიუთითა. რაისის თქმით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღების აუცილებელ პირობად ამ ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხების დახვეწაა.

ამერიკელ დიპლომატს, რასაკვირველია, არც პრესის თავისუფლების შეზღუდვის საკითხის განვრცობა დავიწყებია რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან შეხვედრისას. სერგეი ლავროვმა კი ამ თემის განხილვისთვის პრესის უფლებების დარღვევის კონკრეტული მაგალითების მოყვანა მოითხოვა. ლავროვის თქმით, ოფიციალურ შეხვედრაზე არც პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციის თემა წამოწეულა; უბრალოდ, განიხილეს ბრატისლავაში პრეზიდენტების მიერ შეთანხმებული საკითხების განვითარების დინამიკა. რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დეტალები, ცხადია, არ ხმაურდება, ცნობილია მხოლოდ ის, რომ შეხვედრის ძირითადი თემა ყირგიზეთში განვითარებული მოვლენები იყო. ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი, პოსტრევოლუციურ ყირგიზეთში კონსტიტუციაზე დაყრდნობით უმოკლეს ვადებში ლეგიტიმური არჩევნების ჩატარების შესახებ. თუმცა, როგორც "გაზეტა.რუ" ირწმუნება, რაისისა და პუტინის შეხვედრა მეტად არასასიამოვნო უნდა ყოფილიყო რუსეთის პრეზიდენტისათვის. სავარაუდოდ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა პუტინს ბრატისლავას სამიტზე წარდგენილი პრეტენზიების ნუსხა არანაკლები სიმწვავით გაუმეორა, პუტინის რეაქცია კი, ალბათ კვლავ პირდაპირი პასუხისგან თავის არიდება იქნებოდა. გამომდინარე აქედან, ვლადიმირ პუტინს სადღესასწაულო განწყობა 9 მაისსაც გაუფუჭდება, ოღონდ ამჯერად უკვე ჯორჯ ბუშისგან. 10 მაისს კი რუსეთიდან დემონსტრაციულად საქართველოში გადმონაცვლებამ, ნაკლებსავარაუდოა, რუსეთის პრეზიდენტის ხასიათის გამოსწორება გამოიწვიოს. კონდოლიზა რაისმა ნტვ-სთან ინტერვიუში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საქართველოსთან მეგობრულ ურთიერთობებს და ამის ნათელ დასტურად ბუშის ვიზიტი მოიყვანა.

ვილნიუსში გამგზავრებამდე, სადაც რაისს ბელორუსის ოპოზიციასთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი, ლუკაშენკოს დიქტატურაზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა მოსკოვშიც ისაუბრა. **"ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება გაგვაჩნია, რომელიც რუსეთსაც ეხება. ამ უკანასკნელი დიქტატურის ევროპაში არსებობა არავის ინტერესებში არ შედის. ამ რეჟიმის ბუნებიდან გამომდინარე, ბელორუსი უკუსვლას განაგრძობს და შეუძლებელია მისი რაიმეში ინტეგრირება. ასე რომ, ბელორუსი ხალხი უკეთეს მომავალს იმსახურებს. რეფორმირებული, დემოკრატიული და აყვავებული ბელორუსი, ისე როგორც არავისთვის, მომგებიანი იქნებოდა რუსეთისთვის. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ მათ სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს და არაფერს ვიტყვით ამ ორი ხალხის მონათესავე კავშირებზე,"** - აღნიშნა კონდოლიზა რაისმა.

კრემლის თავზე გადავლილი ამერიკული კრიტიკის ქარიშხლის მიუხედავად, აშშ-რუსეთის პარტნიორობის განმტკიცებას რუსი ექსპერტები მაინც ვარაუდობენ. **"რუსეთში, როგორც კონდოლიზა რაისის, ასევე ჯორჯ ბუშის ჩამოსვლა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ მომავალი 4 წლის მანძილზე ორ ქვეყანას შორის სტაბილური და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების კარგი შესაძლებლობები არსებობს,"** - აცხადებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკული და კანადური ინსტიტუტის დირექტორი სერგეი როგოვი.

საინფორმაციო სააგენტო "რიანოვოსტ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წელს აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების კიდევ არაერთი შეხვედრა შედგება.

# სამთავრობო კრიზისი იტალიაში - სილვიო ბერლუსკონი გადადგა

*იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი გადადგა - ამის შესახებ გუშინ იტალიის სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია. ოთხშაბათს საღამოს პრემიერ-მინისტრმა გადადგომის თხოვნა პრეზიდენტ კარლო აძელიო ჩამპის გადასცა. პრეზიდენტმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ბერლუსკონიმ საბოლოოდ დატოვა აღმასრულებელი ხელისუფლება - ჩამპიმ მოვალეობის შესრულება სწორედ მას დააკისრა. სავარაუდოდ, ახალი კაბინეტის დაკომპლექტებაც კვლავ ბერლუსკონის მოუხდება.*

დღეს იტალიის პრეზიდენტი პოლიტიკურ ძალებთან კონსულტაციებს დაიწყებს და, ალბათ, უკვე პარასკევს გახდება ცნობილი, თუ ვინ დააკომპლექტებს ახალ კაბინეტს.

თუმცა, აშკარაა, რომ მთავრობის ხელმძღვანელობის ყველაზე დიდი შანსი ისევ და ისევ ბერლუსკონის აქვს. სხვათა შორის, თავად ბერლუსკონიც აცხადებს, რომ პოლიტიკური კრიზისი მალე მოგვარდება და კვირის განმავლობაში ახალი კაბინეტის შემადგენლობა დასახელდება. მისი თქმით, მთავრობის შემადგენლობა უკვე "მოფიქრებული" აქვს.

პრემიერ-მინისტრის აუდიენცია ქვეყნის მეთაურთან, ბერლუსკონის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატის წინაშე გამოსვლას მოჰყვა, სადაც მან სენატორებს ქვეყნის შიდაპოლიტიკური განვითარებისა და მთავრობის პერსპექტივების შესახებ თავისი პოზიცია გააცნო. "ამჯერად არანაირი სიურპრიზი არ იქნება, დღეს მე გადავდგები," - განაცხადა ბერლუსკონიმ სენატში გამოსვლის დასასრულს. თუმცა, იქვე დასძინა, რომ დაუყოვნებლივ შეუდგება ახალი მთავრობის ფორმირებაზე მუშაობას.

იტალიაში სამთავრობო კრიზისი გასულ კვირას დაიწყო, როცა მმართველ კოალიციაში შემავალმა პარტიებმა მთავრობის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ ერთმანეთის მიყოლებით გააკეთეს განცხადებები.

მმართველ მემარჯვენე-ცენტრისტულ კოალიციაში არსებულმა უთანხოებამ საჯარო დაპირისპირების სახე ორი კვირის წინ გამართული რეგიონული არჩევნების შემდეგ მიიღო. მმართველმა კოალიციამ თოთხმეტიდან მხოლოდ ორ ოლქში მოახერხა გამარჯვება. სწორედ ეს გახდა საბაბი კოალიციაში შემავალი ძალების "ამბოხისთვის". თავდაპირველად, ბერლუსკონის მთავრობაში პორტფელები ქრისტიან-დემოკრატებმა დატოვეს (მათ შორის გადადგა ვიცე-პრემიერი მარკო ფოლინი). ქრისტიან-დემოკრატებს მხარი აუბეს კოალიციის სხვა წევრებმაც (ახალი სოციალისტები).



*ბერლუსკონი ბოლო მომენტამდე ცდილობდა, დაერწმუნებინა მოკავშირეები, რომ მთავრობის გადადგომა გამოსავალი არ იყო.*

ბერლუსკონი ბოლო მომენტამდე ცდილობდა, დაერწმუნებინა მოკავშირეები, რომ მთავრობის გადადგომა გამოსავალი არ იყო. თუმცა, კოალიციაში შემავალი პარტნიორები ჯიუტად ცდილობდნენ, რომ ბერლუსკონი რადიკალურ ნაბიჯებზე წასულიყო. საქმე ისე გართულდა, რომ მინისტრთა კაბინეტის შესაძლო დატოვების შესახებ განცხადება კოალიციის კიდევ ერთმა ლიდერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯანფრანკო ფინიმაც გააკეთა (ამავდროულად, იგი ვიცე-პრემიერის ფუნქციებსაც ასრულებდა). კოალიციაში შემავალი პოლიტიკური ძალებიდან, ბერლუსკონის ერთგული მხოლოდ პარტიები - "წინ, იტალია!" და "ჩრდილოეთის ლიგა" დარჩნენ.

# კუჩმას სიძე ქონებას ყიდის

უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას სიძე ვიქტორ პინჩუკი - ჟურნალ "ფორბს"-ის მიხედვით, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი - ბიზნეს-იმპერიას ნაწილ-ნაწილ ყიდის.

გავრცელებული ინფორმაციით, მეტალურგიის მაგნატმა მისი კუთვნილი საწარმოების აქტივების შესყიდვა რუს ბიზნესმენებს შესთავაზა. როგორც გაზეთი "ვედომოსტი" იუწყება, ერთ-ერთი რუსული მეტალურგიული კომპანიის თანამფლობელმა ახლახან პინჩუკისგან ჰოლდინგ "ინტერპაიპის" აქტივების 1 მილიარდ დოლარად შეძენის წინადადება მიიღო. ბიზნესმენმა ანალოგიური წინადადებით სხვა რუსულ კომპანიებსაც მიმართა, თუმცა ეს უკანასკნელნი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობენ.

"ჩვენთვის ეს წინადადება საინტერესოა, თუმცა ამ აქტივებთან დაკავშირებული რისკი მაღალია. დარწმუნებული არა ვართ, რომ აქტივები კანონიერად არის გაფორმებული," - აცხადებენ რუსული ბიზნესის წარმომადგენლები.

შეგახსენებთ, წლის დასაწყისში უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას სიძის, 44 წლის ვიქტორ პინჩუკის ქონება ჟურნალმა "ფორბს"-მა 1,3 მილიარდ დოლარად შეაფასა.

პინჩუკი და მისი პარტნიორები რამდენიმე ბანკის, ტელეარხისა და მილსადენების ჰოლდინგის "ინტერპაიპის" მფლობელები არიან. 2004 წელს პინჩუკის და რინატ ახმეტოვის კომპანიებმა აუქციონზე ქვეყნის უდიდესი სამრეწველო საწარმოს - "კრივოროჟსტალის" აქციების 93 პროცენტი შეიძინეს. "ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ სასამართლომ ამ აქციებს ყადაღა დაადო და, სავარაუდოდ, მას სახელმწიფოს დაუბრუნებენ.

ამავე დროს, როგორც უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ალექსანდრ გოლუბი თვლის, ქვეყნის ახალი ხელისუფლება პინჩუკს საკუთარი ბიზნესის გაყიდვაში ხელს არ შეუშლის. თავის მხრივ, უკრაინის ეროვნული სტატეგიის ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ბონდარენკო დარწმუნებულია, რომ აქტივების გაყიდვისთანავე მაგნატი ქვეყანას დატოვებს. "ხელისუფლებას სურს, რომ ის გუსინსკის და ბერეზოვსკის გზით წავიდეს," - აღნიშნა ბონდარენკომ.

*24 საათი*

# მეგობრის გულახდილი საუბარი საქართველოსთან

ჯეიმზ უერთში
ვაშინგტონის უნივერსიტეტის (სენტ-ლუისი) საერთაშორისო და რეგიონულ სწავლებათა დირექტორი, "კავკაზუს კონტექსტ"-ის თანარედაქტორი

10 მაისს პრეზიდენტი ბუში საქართველოს ეწვევა - ქვეყანას, რომლის ფართობი, მნიშვნელობასთან შედარებით, გაცილებით მცირეა. საქართველოს მნიშვნელობას ზრდის მის ტერიტორიაზე გაყვანილი დასავლეთისკენ მიმავალი ნავთობისა და გაზის სადენები. ეს ქვეყანა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში 2003 წელს მომხდარი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოექცა - შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმი, რომელიც, არჩევნების გაყალბების გზით, ცდილობდა, შეენარჩუნებინა ხელისუფლება, ხავერდოვანი სახალხო ამბოხის შედეგად დაემხო. მას შემდეგ საქართველო მსოფლიოში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ყველაზე საინტერესო "ლაბორატორიად" იქცა.

მაისში დაგეგმილი შეხვედრისას ბუში, უდავოდ, შეაქებს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ქვეყნის მიღწევების გამო. მაგრამ, ნამდვილ მეგობრობას პრობლემების შესახებ გულახდილი საუბარიც ახასიათებს. ამ თვალსაზრისით კი, საქართველოს ნამდვილად სჭირდება მეგობარი. ამერიკისთვის იმის თქმა, რომ დემოკრატიულმა ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა, იმედგაცრუების ტოლფასია, მაგრამ ასეთი ტენდენციის არაღნიშვნაც არ შეიძლება.

ისევ "ვარდების რევოლუციას" დავუბრუნდები - უნდა ითქვას, რომ მის წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი სააკაშვილს მიუძღვის. მისმა ქარიზმატული ლიდერის თვისებებმა და გამბედავმა ქმედებებმა ააგორა რევოლუციური ტალღა, ხოლო პოპულისტურმა იმიჯმა მას მასებში წესრიგის შენარჩუნებისა და პროცესის მშვიდობიანად წარმართვის შესაძლებლობა მისცა.

2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ სააკაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში უზარმაზარი მხარდაჭერა ჰქონდა და, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოლიტიკური ძალაუფლება მან ქვეყნის ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით წინ წასაწევად გამოიყენა. რეგიონალიზმითა და ეთნიკური კონფლიქტებით გახლეჩილ ქვეყანაში მან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა აჭარაზე იურისდიქციის აღდგენით; ასევე - მართალია "არაკორექტული", მაგრამ მაინც უაღრესად შთამბეჭდავი ანტიკორუფციული კამპანია წამოიწყო. გარდა ამისა, მან და მისმა ჯგუფმა მნიშვნელოვანი საგადასახადო კოდექსი დაამტკიცეს პარლამენტში, რის შედეგადაც საქართველოთი მრავალი წლის შემდეგ პირველად დაინტერესდნენ ინვესტორები.

მაგრამ, ის აღტკინება, რაც "ვარდების რევოლუციამ" მოიტანა, დღეს უკვე ჩამქრალია. კორუფცია კვლავაც რჩება მთავარ პრობლემად; ელექტროენერგიისა და წყლის დეფიციტი ისევ წინა პლანზეა; და, უმუშევრობისა და ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, ქართველები კვლავაც იმედგაცრუებულნი ჩანან. ასე რომ, ერთი წლის წინანდელი უზარმაზარი რეიტინგის შემდეგ დღეს სააკაშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა მკვეთრად ეცემა. მოკლედ, მან თითქმის ამოწურა "ვარდების რევოლუციის" შედეგად შეძენილი პოლიტიკური კაპიტალი. ახლა ქვეყანა დგას გზაჯვარედინზე, რომელზეც მას სხვა ტიპის ხელმძღვანელობა სჭირდება.

საქართველოში დღევანდელი სიტუაცია მდგრად, ყოველდღიურ მართვას მოითხოვს, მაგრამ სააკაშვილი ხშირად იმპულსური ხასიათის პოპულისტურ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს არ ეშვება; უფრო მეტიც - იგი, საქართველოს "მიღწევების" რეკლამირების მიზნით, უამრავ დროს ატარებს საზღვარგარეთ მაშინ, როცა საქმე სახლშია საკეთებელი.

ის რომ, სააკაშვილმა ვერ შეძლო, მთელი ძალისხმევა ქვეყნის შიგნით რეალური პრობლემების გადასაჭრელად მიემართა, განსაკუთრებით შემაშფოთებელი გახდა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ. შეგახსენებთ - იგი თებერვალში გაუმართავი გამათბობლით გამოწვეული ნახშირჟანგით მოწამვლას შეეწირა. ქვეყნის ყოველდღიური, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის უნარი აშკარად ჟვანიას პრეროგატივა იყო და დღეს მისი შემცვლელის პოვნა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

2004 წლის დასაწყისში, როცა სააკაშვილი და მისი გუნდი რევოლუციური შარავანდედით იწონებდა თავს, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ჟვანიამ იცოდა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ქვეყანაში. ინტერვიუში იგი ახალ ხელისუფლებასა და ქართველ ხალხზე მსჯელობს. ერთი მხრივ, იგი ლაპარაკობდა, თუ როგორ აღადგინა "ვარდების რევოლუციამ" ქართველ ხალხში გამარჯვებულის ფსიქოლოგია და მრავალი წლის შემდეგ საკუთარი ღირსების გრძნობა დაუბრუნა; მეორე მხრივ კი - მან კარგად იცოდა, რომ ეს ეიფორია დიდხანს არ გაგრძელდებოდა და რომ ახალი სტილის მმართველობა იყო საჭირო, რათა პოპულისტური შემართება შედეგიან მართვად ქცეულიყო. მისთვის ჩვეულ სტილში მითხრა: "ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, რასაკვირველია, პირველ რიგში - სააკაშვილზე, მაგრამ არა მარტო მასზე, რომ ეს ნდობა პოზიტიური შედეგებით გავამართლოთ".

როცა ბუში სააკაშვილს შეხვდება, მას ჟვანიას ეს სიტყვები უნდა შეახსენოს. ქართული დემოკრატიული ექსპერიმენტის ჩაფლავების მსურველი ხომ ძალიან ბევრია. ამერიკას მისი წარმატება სჭირდება.

როგორც საქართველოს ნამდვილმა მეგობრებმა, ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ პოპულისტური რევოლუციის დრო წავიდა და ახლა მდგრადი, სოლიდური მმართველობის ხანა დადგა.

*17 აპრილი, 2004 წ.*

## ორი სიტყვით

**რუსეთი.** საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის, ალექსანდრ იაკოვენკოს განცხადებით, დსთ-ს წევრი რომელიმე ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში, რუსეთისა და ნატო-ს ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუარესდება. იაკოვენკოს თქმით, რუსეთისა და ნატო-ს ურთიერთობა კონსტრუქციულად და ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოში ვითარდება. თუმცა, როგორც იგი დასძენს, შესაძლოა, ყველაფერი გაფუჭდეს დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში; ისეთისა, როგორიცაა, მაგალითად, დსთ-ს წევრი ქვეყნების ნატოს შემადგენლობაში შესვლა. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**ლიბანი.** ახლად არჩეულმა პრემიერ-მინისტრმა ნაჯიბ მიკატიმ მთავრობის შემადგენლობა დაასახელა. ახალი მთავრობის უფლებამოსილება პარლამენტმა 10 დღის ვადაში უნდა დაამტკიცოს. ახალი კაბინეტის შექმნა ზრდის შანსს, რომ მაისისთვის დანიშნული საყოველთაო არჩევნები გეგმისამებრ გაიმართება. შეგახსენებთ, მიკატი, რომელსაც სირიის მთავრობასთან კავშირი აქვს, პრემიერ-მინისტრად გასულ კვირაში დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ თებერვლის ბოლოდან მოყოლებული, ლიბანი, ფაქტობრივად, მთავრობის გარეშე ცხოვრობდა. თებერვალში ყოფილი პრემიერ-მინისტრის, რაფიკ ჰარირის მკვლელობას მასშტაბური ანტისირიული საპროტესტო გამოსვლები და პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა. **24 საათი**

■ ■ ■

**თურქმენეთი.** ქვეყნის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის განცხადებით, 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იგი მონაწილეობას არ მიიღებს. ამგვარი განცხადება თურქმენბაშმა ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარესთან, დიმიტრი რუპელთან შეხვედრისას გააკეთა. როგორც რუპელმა აშხაბადში შეკრებილ ჟურნალისტებს უთხრა, ნიაზოვმა მას აღუთქვა, რომ 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რამდენიმე კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას, რომელთა შორის იგი არ იქნება. საფარმურატ ნიაზოვი, იგივე - თურქმენბაში 1999 წელს სამუდამო პრეზიდენტად გამოაცხადეს. გასულ კვირას მან პირველად განაცხადა, რომ 2009 წელს ქვეყანას მისი შემცვლელის მოძებნა მოუწევს. **24 საათი**

■ ■ ■

**აფრიკა.** დაახლოებით 46 ადამიანი დაიღუპა ოთხშაბათს ზამბიაში სპილენძის საბადოზე მომხდარი აფეთქების შედეგად. გარდა ამისა, კიდევ ოთხი ადამიანი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. ზამბიის ბუნებრივი რესურსების მინისტრის განცხადებით, უბედური შემთხვევა ასაფეთქებელი მასალების დამამზადებელ საამქროში მოხდა. მისი თქმით, საწარმო მთლიანად დანგრეულია. **როიტერსი**

■ ■ ■

**ერაყი.** ბაღდადის მახლობლად, მდინარე ტიგროსში 50 ადამიანის ცხედარია აღმოჩენილი. ისინი, სავარაუდოდ, აჯანყებულებს ჰყავდათ მძევლად. როგორც გუშინ პრეზიდენტმა ჯალალ თალაბანიმ განაცხადა, გასულ კვირას ბაღდადიდან სამხრეთით მდებარე ქალაქ მადენში სუნიტმა აჯანყებულებმა 100-ზე მეტი შიიტი აიყვანეს მძევლად. ერაყის ჯარებმა ამერიკული ავიაციის დახმარებით ქალაქში რეიდი ჩაატარეს, თუმცა მძევლები იქ ვერ აღმოაჩინეს. ხელისუფლების განცხადებით, დამნაშავეთა ვინაობა ცნობილია.

გუშინვე, პარტიზანებმა ეროვნული გვარდიის 19 სამხედრო მოსამსახურე საფეხბურთო მოედანზე დახვრიტეს. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ინციდენტი ბაღდადიდან ჩრდილო-დასავლეთით 200 კმ-ში მდებარე ქალაქ ჰადითში მოხდა. როგორც თვითმხილველებმა ჟურნალისტებს აცნობეს, გვარდიელები ტერორისტებს მძევლად ჰყავდათ აყვანილი. მომხდარის სხვა დეტალებზე არაფერს იუწყებიან. ბაღდადში კი კიდევ ერთი ტერაქტი განხორციელდა. დანაღმული ავტომანქანის აფეთქებისას ორი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა. ორი დღის წინ ერაყის დედაქალაქში აჯანყებულებმა ორი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს და კიდევ ოთხი დაჭრეს. **ინტერპრესი**

CII

ინდოეთი 2005

ინდური პროდუქციის და ტექნოლოგიების გამოფენა

20-24 აპრილი 2005 წელი.
11:00 -19:00 საათი

სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი
თელავის ქ. 20, თბილისი, 0103, საქართველო
ტელ: 77 20 20

ორგანიზატორები:

ინდოეთის სამრეწველო კონფერენცია
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ინდოეთის საელჩო

სექტორები: ფარმაცევტიკა, ველოსიპედები, ჩაი, ყავა, სათამაშოები, სამკაულები და მოდური აქსესუარები, ტყავის ნაწარმი, საავტომობილო ნაწილები, სასოფლო სამეურნეო მოწყობილობები, სამომხმარებლო ელექტროსაქონელი, ელექტრო მოწყობილობები

ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობები

შესვლა თავისუფალია

# "მადნეულის" მოგება მცირდება

*სულ რაღაც, ათ დღეში ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იმ ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სახელმწიფო საწარმოს გამოიტანს გასაყიდად, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლებას მეწველ ძროხად ჰყავდა გადაქცეული და რომლის ირგვლივაც არაერთი სკანდალი იყო ატეხილი. სს "მადნეულზე", რომლის აქციების 100 პროცენტის მფლობელი ჯერ კიდევ სახელმწიფოა, დაინტერესებული პირების განაცხადების მიღებას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თვის ბოლოდან დაიწყებს.*

ეთერ მამულაშვილი

სხვადასხვა ტიპის დაახლოებით 16 ბიზნეს-კომპანია ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთში უკვე იყო ჩასული, სადაც მათ საწარმო დეტალურად დაათვალიერეს. საბოლოოდ თუ რამდენი მათგანი ჩაერთვება "მადნეულზე" გამოცხადებულ საპრივატიზაციო მარათონში, ეს სავარაუდოდ, მაისის ბოლოს გახდება ცნობილი.

მანამდე კი საწარმოს ახალი მენეჯმენტი გასული და მიმდინარე წლის საქმიანობაზე საუბრობს და "მადნეულში" დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ სპეციალურ პრესკონფერენციას აწყობს.

გასული წლების მაჩვენებლებთან შედარებით, 2004 წლისა და 2005 წლის პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით, სს "მადნეულში" მნიშვნელოვანი ძვრებია, თუმცა საწარმოთი დაინტერესებულ ნებისმიერ ინვესტორს, სავარაუდოდ, აქ მაინც მძიმე მემკვიდრეობა და ვალდებულებები დახვდება, რადგან საწარმოს მიერ წლების განმავლობაში დაუფარავი დავალიანებებისა და გაუსტუმრებელი ვალდებულებების რამდენიმე თვეში დაფარვა (რომელთა ოდენობა რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს შეადგენს), იდეალური ხელისუფლებისა და მენეჯმენტის პირობებშიც კი შეუძლებელი იქნება.

საწარმოს კრედიტორული დავალიანება, რომელიც წლის დასაწყისში 84 მილიონ ლარს აღემატებოდა, ამ დროისთვის თითქმის 76 მილიონამდეა შემცირებული, აქედან, დაახლოებით 42 მილიონი ლარი საბიუჯეტო დავალიანებაზე მოდის.

შარშან, პირველად უკანასკნელი წლების განმავლობაში, სს "მადნეულმა" წელი მოგებით დაამთავრა, თუმცა საწარმოში ჯერ კიდევ არ იციან, ჩარიცხავენ თუ არა 2005 წლის ბიუჯეტში დივიდენდს.

წინა წლებთან შედარებით, 2004 წელს საწარმოს მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების მოცულობა თითქმის შვიდჯერ გაიზარდა. 2003 წელთან შედარებით, საწარმოს მიერ გაწეული ხარჯების მოცულობა შარშან ზუსტად ორჯერ შემცირდა.

ყოველივე ამის ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ გასულ წელთან შედარებით საწარმოს წლევანდელი მოგება თითქმის 13 მილიონი ლარით მცირდება. სს "მადნეულის" ხელმძღვანელთა წინასწარი პროგნოზით, საწარმოს 2005 წლის მოგება 4 მილიონ 400 ათასი ლარი იქნება. ეს მაშინ, როცა გასულ წელს ამ მაჩვენებელმა 17 მილიონ ლარს გადააჭარბა.

"მადნეულის" მენეჯმენტი ამას რამდენიმე მიზეზით ხსნის. **"მსოფლიო ბაზარზე კონცენტრატის გადამუშავებაზე 120-დან 155 აშშ დოლარამდე გაიზარდა ფასები, რამაც რეალიზაციიდან შემოსავლების 9 მილიონი ლარით კლება უკვე გამოიწვია. მეორე მიზეზი არის ის, რომ ნედლეულსა და სათადარიგო ნაწილებზე ფასებმა მნიშვნელოვნად მოიმატა,"** - აღნიშნავს "მადნეულის" კორპორატიული, ფინანსური და ეკონომიკური დირექტორი ლაშა ახალაძე.

ახალი საგადასახადო კოდექსი არის კიდევ ერთი მიზეზი, რითაც საწარმოში წლიური მოგების შემცირებას ხსნიან. ლაშა ახალაძის თქმით, მიმდინარე წელს, შარშანდელთან შედარებით, სს "მადნეულს" ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის 4 მილიონ 200 ათასი ლარით მეტის გადახდა მოუწევს.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: ნებისმიერი ინვესტორისთვის, რომელიც გადაწყვეტს, რომ საკუთარი ფული ისეთ მსხვილ საწარმოში დააბანდოს, როგორიც "მადნეულია", განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უკანასკნელი წლების აუდიტორული დასკვნები. 2000 წლიდან მოყოლებული დღემდე ასეთი დასკვნა "მადნეულში" არ გააჩნიათ. ის, უბრალოდ, არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო აუდიტორული კომპანია "დელოიტ ენდ ტუში" სს "მადნეულში" 2004 წელს თითქმის მთელი წლის განმავლობაში სწავლობდა საწარმოს 2001-2002 წლების ფინანსურ საქმიანობას, აუდიტორებმა დასკვნა მუშაობის დასრულების შემდეგაც არ წარმოადგინეს. აუდიტორთა მხრიდან ამ საქციელს კი ის უბრალო მიზეზი აქვს, რომ მათ სს"მადნეულის" ძველი ხელმძღვანელობისგან კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა დღემდე არ მიუღიათ.

აუდიტისთვის კუთვნილი ფულის გადახდას არც ახალი მენეჯმენტი აპირებს. "მადნეულის" კორპორატიული, ფინანსური და ეკონომიკური დირექტორი ამბობს, რომ ხელმძღვანელობას "დელოიტ ენდ ტუშთან" ხელშეკრულება არასწორად ჰქონდა გაფორმებული.







# ნოღაიდელი კერძო არბიტრაჟის ამოქმედების გადავადებას ითხოვს

*სახელმწიფო კანცელარიაში ოთხშაბათს დანიშნული მთავრობის სხდომა ორი დღით გადაიდო. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებს განუცხადა, სხდომის გადადების მიზეზი საგადასახადო კოდექსში კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხის განსახილველად სპეციალური სხდომის მოწვევა გახდა.*


*ნოღაიდელის განმარტებით მთავრობამ სპეციალისტებთან უნდა იმსჯელოს.*

ნოღაიდელის განმარტებით, ამ საკითხის განსახილველად მთავრობამ სპეციალისტებთან ერთად უნდა იმსჯელოს.

**"მთავრობა არ დაუშვებს, რომ საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟში განხილვის შემთხვევაში, სახელმწიფომ მილიონობით ლარი დაკარგოს, რადგან დავების კერძო არბიტრაჟში განხილვისას, უმეტეს შემთხვევაში, დავა მეწარმის სასარგებლოდ გადაწყდება,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, პირველი იანვრიდან დღემდე საგადასახადო დავების განსახილველად კერძო არბიტრაჟს რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ მიმართა და მთავრობისთვის მათ მიერ სახელმწიფოსთვის მოგებული თანხების გადახდა დაუშვებელია.

მინისტრთა კაბინეტმა მიმდინარე წლის პირველ იანვარს ამოქმედებული საგადასახადო კოდექსიდან საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟში განხილვის 2008 წლამდე გადადების შესახებ რამდენიმე კვირის წინ იმსჯელა. მთავრობის არგუმენტით, კერძო არბიტრაჟის გადავადება, ან გაუქმება კერძო არბიტრაჟის შესახებ მოქმედი კანონის არასრულყოფილების გამო უნდა მოხდეს, ვინაიდან ამ კანონით სპეციფიკური საგადასახადო დავების განხილვა შეუძლებელია.

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ამ საკითხებში გასარკვევად ორი დღე მოითხოვა.

პარლამენტი ამ საკითხს გუშინ განიხილავდა. კერძოდ, ცვლილებების თანახმად, უნდა შეჩერდეს ის მუხლი, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს, საგადასახადო დავების გასარჩევად კერძო არბიტრაჟებს მიმართონ.

*24 საათი*

# 2000 ფერმერი კრედიტს მიიღებს

მარიამ ჭაჭვაძე

IFAD-ის საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფერმერთათვის მცირე და საშუალო სიდიდის საკრედიტო ხაზი ამუშავდება. საკრედიტო ხაზი მოემსახურება პროგრამის ოთხივე საპილოტე - დუშეთის, ამბროლაურის, შუახევისა და ასპინძის რაიონების ფერმერებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, IFAD-ის პროგრამის მართვის ცენტრთან ერთად გამოაცხადა ტენდერი იმ კომერციული ბანკის შესარჩევად, რომელიც კრედიტს ფერმერთათვის ხელსაყრელი პირობებით გასცემდა. ტენდერის შედეგად, კომერციულ ბანკებს შორის გამოვლინდა გამარჯვებული ბანკი - ს/ს "აგრობიზნესბანკი". აღნიშნული ბანკი ბენეფიციარებზე კრედიტს გასცემს 6-8 პროცენტიანი წლიური საპროცენტო განაკვეთით, რაც საქართველოს საბანკო სექტორისთვის საკმაოდ დაბალი და უპრეცედენტო საპროცენტო მაჩვენებელია.

უკვე მიმდინარე წლის გაზაფხულიდან, თითოეულ საპილოტე რაიონში, სულ ცოტა, 2000 ფერმერი მიიღებს მიზნობრივ კრედიტს მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და ადგილზე ნაწილობრივ ან სრულად გადამუშავების სფეროში. სესხის ოდენობა 2 ათასიდან 30 ათას აშშ დოლარის ფარგლებშია.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის ხელმძღვანელობის პოზიცია იყო, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთი რაც შეიძლება დაბალი, გლეხისთვის მისაღები ყოფილიყო.

"ფერმერებზე გასაცემი კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი 7-8 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ იმ უარყოფით შედეგებს, რომელსაც 1997-1998 წლებში ჰქონდა ადგილი. დღეს საბანკო სისტემას ხელშეწყობა აღარ სჭირდება, დღეს ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის დარგს სჭირდება," - განაცხადა პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ხევიაშვილმა სულ ცოტა ხნის წინ გამართულ, IFAD-ის პროგრამის 2004 წლის შედეგების შემაჯამებელი სემინარზე.

დუშეთის, ასპინძის, შუახევისა და ამბროლაურის რაიონების ფერმერები საკრედიტო ხაზების ამუშავებას ერთგვარად მომზადებულნი ხვდებიან. კერძოდ, IFAD-ის პროგრამასთან ორწლიანმა პრაქტიკულმა მუშაობამ ადგილობრივ ფერმერებს უკვე საკმაო ცოდნა და გამოცდილება დაუგროვა, თუ სოფლის მეურნეობის რომელ დარგში დააბანდონ აღებული კრედიტები, რომ ბანკის ვალიც გაისტუმრონ და მოგებაც დარჩეთ.

# ინდოელი ბიზნესმენები საქართველოთი ინტერესდებიან

*კვირის ბოლომდე თბილისი ინდოელ ბიზნესმენებს უმასპინძლებს. ინდური სამკაულების და აქსესუარების, ტყავის ნაწარმის, ჩაის, ყავის და სხვა საინტერესო პროდუქციის მოყვარულებს 20-დან 24 აპრილამდე შეუძლიათ "შერატონ მეტეხი პალასში" ინდური პროდუქციის და ტექნოლოგიების პირველ გამოფენას ეწვივნენ. ქართველი და ინდოელი ბიზნესმენები აღნიშნულ წამოწყებაზე დიდ იმედებს ამყარებენ.*

დიანა ჩაჩუა

უახლოეს მომავალში საქართველოში შესაძლოა, ინდური კაპიტალი შემოვიდეს. ინდოეთის სამრეწველო კონფედერაციის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის და ინდოეთის საელჩოს თანამშრომლობის შედეგად, გუშინ თბილისში ინდური პროდუქციის და ტექნოლოგიების პირველი გამოფენა გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ჯემალ ინაიშვილი და ინდოეთის ელჩი კავკასიის რეგიონში დეპაკ ვოჰრამმა ესწრებოდნენ.

ორგანიზატორების განცხადებით, გამოფენაში 30-მდე ინდური კომპანია იღებს მონაწილეობას. ინდოელების მიერ წარმოდგენილი პროდუქცია საკმაოდ მრავალფეროვანია - ფარმაცევტული ნაწარმი, ველოსიპედები, ჩაი, ყავა, სათამაშოები, სამკაულები და აქსესუარები, ტყავის ნაწარმი, საავტომობილო ნაწილები, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, სამომხმარებლო ელექტროსაქონელი და ელექტრომოწყობილობები.

როგორც ინდოეთის ელჩმა კავკასიის რეგიონში დეპაკ ვოჰრამმა აღნიშნა, გამოფენის მთავარი მიზანი ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარება და ქართულ კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების შექმნაა.

ამ დღეებში ინდოეთთან ბიზნესთანამშრომლობის თემა, ინდური პროდუქციის და ტექნოლოგიების გამოფენის გარდა, კანცელარიაშიც აქტუალური იყო. სამშაბათს საღამოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო კანცელარიაში ინდოელი ბიზნესმენები მიიღო და დახურულ კარს მიღმა ესაუბრა. კომენტარები შეხვედრის ბოლოს არ გაკეთებულა, თუმცა თვით ამ შეხვედრის ფაქტი ხაზს უსვამს, რომ ინდოელი ბიზნესმენები საქართველოთი სერიოზულად ინტერესდებიან.

# ენერგოკრიზისი დასრულდა

*გუშინ ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ ამიერიდან ელექტროენერგიის საფასურის კარგი გადამხდელი მომხმარებლები დენს 24 საათის განმავლობაში მიიღებენ, ამის საშუალება ენერგეტიკოსებს გამოზაფხულებამ და ქვეყნის ჰიდრორესურსების მატებამ მისცა.*

მინისტრის განმარტებით, ელექტრომომარაგების საქართველოს რეგიონებში კომუნალური მრიცხველების დამონტაჟების პროცესის პარალელურად გაუმჯობესდება და 24 საათის განმავლობაში დენით ის აბონენტები ისარგებლებენ, რომელთა მრიცხველებზეც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 100-პროცენტიანი გადახდა დაფიქსირდება.

გილაურის თქმით, 12 ათასი კომუნალური მრიცხველის დამონტაჟებისათვის 3 მილიონი ლარი ბიუჯეტმა გაიღო. გამრიცხველიანების პროცესის დასრულებას კი სამინისტრო ივლისისთვის ვარაუდობს.

შეგახსენებთ, რომ გამრიცხველიანების პროცესი საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მომსახურების არეალში ხორციელდება, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონს (აჭარის და კახეთის გარდა) ფარავს.

გარდა ამისა, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ენერგეტიკის მინისტრი დღეს, ენგურჰესზე დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, მოლაპარაკებების საწარმოებლად აფხაზეთში უნდა გაემგზავროს. ჯერჯერობით, შესათანხმებელია ენგურჰესის ერთთვიანი გაჩერებისას აფხაზეთის ენერგომომარაგების საკითხი. მინისტრს აფხაზური მხარისგან სარემონტო ჯგუფების მუშაობისათვის უსაფრთხოების გარანტიების მიღებაც სურს.

აგრეთვე, უნდა შედგეს მოლაპარაკება ენგურჰესთან, სოფელ საბერიოში ერთ-ერთი ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიის - "ჯეოსელის" ან "მაგთის" ანძის დამონტაჟების შესახებ, რის შემდეგაც "ენგურჰესის" სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებულებს მობილური ტელეფონით სარგებლობის საშუალება უნდა მიეცეთ. მინისტრის ინფორმაციით, "მაგთი" აფხაზეთის ტერიტორიაზე ანძის დამონტაჟებისგან თავს იკავებს. ამიტომ, სავარაუდოდ, საბერიოში "ჯეოსელის" ანძა დადგება.

წინასწარი ინფორმაციით, შესაძლოა, ნიკა გილაურის შეხვედრა აფხაზურ მხარესთან სოხუმში, ან გალში გაიმართოს. სოხუმში ჩასვლის შემთხვევაში, გილაური აფხაზურ ენერგოკომპანია "ჩერნომორენერგოს" წარმომადგენლებთან ერთად, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შეხვდება.

*24 საათი*

# "თელასმა" საარბიტრაჟო პალატის მეშვეობით მსხვილგადამხდელთა ინსპექციას "ცივი ომი" თითქმის მოუგო

"თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, თბილისის საარბიტრაჟო პალატამ 15 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა "თელასის" საარბიტრაჟო პრეტენზია და ნაწილობრივ გააუქმა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის აქტი.

2004 წლის 5 ნოემბერს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ "თელასს" 10 044 000 ლარი დაარიცხა. ეს თანხა რუსული ენერგოგიგანტის "რაო ეეს როსიის" შვილობილ კომპანიას საგზაო ფონდთან არასწორი ანგარიშსწორების გამო დაერიცხა, თუმცა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას კომპანია არ დაეთანხმა.

"თელასში" აცხადებენ, რომ თანხის დარიცხვის საფუძველს სტატისტიკის დეპარტამენტის მეთოდური მითითებები შეადგენდა, რომელიც **"არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს და მისი გამოყენება, საგადასახდო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია."**

ამ მოტივით, "თელასმა" საქმის გარჩევა" ჯერ საგადასახადო დეპარტამენტში დაიწყო, მოგვიანებით კი - ფინანსთა სამინისტროში განაგრძო.

**"მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, კომპანიამ საგადასახადო დეპარტამენტს და, შემდეგ, ფინანსთა სამინისტროს მიმართა. საგადასახადო დეპარტამენტმა და ფინანსთა სამინისტრომ დარიცხული თანხა უცვლელი დატოვა და კომპანიის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. საგადასახადო კოდექსის თანახმად, კომპანიამ წინასწარ აცნობა ფინანსთა სამინისტროს, რომ კომპანია, დავის გადაჭრის მიზნით, კერძო არბიტრაჟს მიმართავდა,"** - აცხადებენ დღეს "თელასში".

*24 საათი*

# ევროკავშირი საქართველოში ახალ პროგრამას იწყებს

*ევროკავშირის საქართველოსთვის დახმარების პროგრამა "ტასისს" მალე ახალი პროგრამა - ENPI ჩაანაცვლებს. ამის თაობაზე გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში გახდა ცნობილი.*

სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ევროკომისიის ევროპული დახმარების პროგრამის ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის დირექტორატის დირექტორს რიჩარდ ვებერს შეხვდა და საქართველოში ევროკავშირის დახმარების ახალი პროგრამის ENPI-ის განხორციელების თაობაზე ესაუბრა. შეხვედრას ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოში ტორბენ ჰოლცეც დაესწრო.

როგორც შეხვედრის შემდეგ გიორგი ბარამიძემ განაცხადა, იმისათვის, რომ ქვეყანას განათლებული ახალგაზრდობა ჰყავდეს, მოგვარდეს კონფლიქტები, მოწესრიგდეს ენერგოსისტემა და დაიგოს გზები, დიდი თანხაა საჭირო. პროგრამა გულისხმობს ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის გარკვეულ ფინანსურ დახმარებას. ამიტომ, პროგრამით გათვალისწინებული თანხა, რომელიც, ჯერჯერობით, ზუსტად განსაზღვრული არ არის, საქართველოში ენერგეტიკის, გზების ინფრასტრუქტურის და სხვა პროგრამების დაფინანსებას მოხმარდება.

ევროკავშირის ახალი პროგრამა ENPI 2007 წლისთვის დაიწყება და იგი საქართველოში ევროკავშირის ძველ პროგრამა "ტასისს" ჩაანაცვლებს.

*24 საათი*

# გენპროკურატურა კონტროლის პალატის დასკვნით არ ინტერესდება

*უკვე მეორე თვეა, რაც კონტროლის პალატამ თელავის გამგეობაში აღმოჩენილი ფინანსური დარღვევების შესახებ მოკვლეული მასალები გენერალურ პროკურატურას გადასცა, მაგრამ პროკურატურას, ჯერჯერობით, რეაგირება არ მოუხდენია. გენპროკურატურის გამომძიებლები ვითარების გასარკვევად და კონტროლის პალატის დასკვნების გადასამოწმებლად თელავში არც კი ჩასულან. საუბარია რაიონის სოციალური ბიუჯეტიდან არამიზნობრივად გახარჯულ 132 ათას ლარზე.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

თელავის რაიონის სოფელ ქვემო ხოდაშენში მცხოვრები ახვერდაშვილები კახეთის რეგიონში ერთადერთი თორმეტშვილიანი ოჯახია. მიუხედავად ამისა, რაიონის ახალ ხელმძღვანელობას მათთვის დახმარების ხელი დღემდე არ გაუწვდია. როგორც ოჯახის დიასახლისი ნინო ახვერდაშვილი ამბობს, გამგეობაში მისულს სოციალური სამსახურის ხელმძღვანელობა მას, რაიონის ბიუჯეტის სიმწირის მიზეზის მოშველიებით, სახლში ყოველთვის უიმედოდ უშვებდა. სამაგიეროდ, რაიონის ხელმძღვანელობა ძალიან გულუხვი იყო, როცა თელაველებს საერთო საცხოვრებელ ბინებში ჭერი დაუზიანდათ და შეკეთებას საჭიროებდა. აღნიშნულმა პრობლემამ, არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოსის" (ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას ისახავს მიზნად) წარმომადგენლების თქმით, რაიონის ახალი ხელმძღვანელობის წისქვილზე დაასხა წყალი - როგორც ირკვევა, რემონტისთვის გამოყოფილი თანხა არამიზნობრივად დახარჯეს და მიითვისეს.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის ბრძანებულების თანახმად, მინიმალურ სოცპაკეტსაც კი გამგებლი განკარგავს და მისი გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება თანხების გახარჯვაც; გაცემა კი უნდა ხდებოდეს ინდივიდუალურ პირზე. მართალია, გასული წლის განმავლობაში თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამცაშვილი ზედიზედ წერდა განკარგულებებს, მაგრამ, როგორც ირკვევა, მათი შესრულება მთელი რიგი დარღვევებით ხდებოდა. სოცპაკეტიდან თანხები, სოციალურად გაჭირვებული ხალხის ნაცვლად, გამგეობის თანამშრომლებზე იწერებოდა. **"ამის დასტურია დავით თუშიშვილზე ქვითრებით გაწერილი, პირველად - 5 840, ხოლო შემდეგ - 1875 ლარი"**, - აღნიშნავს "დემოსის" დამფუძნებელი თამაზ კარდენახიშვილი. მისივე თქმით, ანალოგიური ქვითრები რაიონის სოცგანყოფილებაში უამრავია, რადგან სოცპაკეტიდან თანხის ხარჯვამ უკვე 60 ათას ლარს გადააჭარბა.

ფინანსების გახარჯვის შემდეგ სპეციალური აქტის შედგენა ხდება, რომელშიც მითითებულია, თუ რას ან ვის მოხმარდა სოცპაკეტიდან გამოყოფილი თანხა. ამჯერად კი დაწერილ აქტში მთელი რიგი დარღვევები აღინიშნებოდა. **"აქტი არაკვალიფიციურად და ბუნდოვნად არის შედგენილი; არ ჩანს ჩატარებული სამუშაოს რაოდენობა და საჭირო მასალების შეძენის ფაქტები"**, - აღნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ლევან დიასამიძე. "დემოსის" დამფუძნებლის განმარტებით, აღნიშნული აქტი, სპეციალურად, კვალის ასარევად დაიწერა. აქ საგულისხმოა ისიც, რომ ამ აქტს თელავის რაიონის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განყოფილების არქიტექტორი დავით ლუარსაბიშვილიც კი არ აწერს ხელს.

არაერთი დარღვევის მიუხედავად, თელავის გამგეობა თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. გამგებლის მოადგილის გია პაპუნაშვილის განცხადებით (გოჩა მამცაშვილმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა), თანხების გატანა მოხდა ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განყოფილების გამგე დავით თუშიშვილისგან, მოსახლეობის მიერ ერთობლივად დაწერილი განცხადების საფუძველზე. განცახადება კი, როგორც არასამთავრობოს წარმომადგენლები ამბობენ, თვით ინფრასტრუქტურის განყოფილებამ დაწერა, ხოლო მოსახლეობამ დოკუმენტს ხელი ბრმად მოაწერა. განცხადებაში არასამთავრობოების ეჭვს შპს "ილია" იწვევს, რომელის სახელზეც ხშირად ირიცხებოდა თანხები, ნაღდი ანგარიშსწორებითა და საბანკო გადარიცხვებითაც, ჰიდროიზოლის შესაძენად. ჯერ ერთი, კანონის თანახმად, ნებისმიერი სამუშაოს შემსრულებლის შერჩევა დახურული ტენდერის საფუძველზე უნდა მოხდეს; მეორეც: **"საინტერესოა, რა იცოდა მოსახლეობამ განცხადებაში მითითებული შპს "ილიას" შესახებ, რომელიც დარეგისტრირებულია ყაზბეგის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში, ტერიტორიულად კი სოფელ გორისციხეშია; ანდა საწარმოს იმ საბანკო რეკვიზიტების შესახებ, რომელიც ამ განცხადებაშია მითითებული"**, - სვამს კითხვას კარდენახიშვილი.

სპეციალისტების თქმით, რაიონის ბიუჯეტის სოცპაკეტიდან თანხების ამგვარად გატანა ყველაზე დიდ დარღვევად ითვლება. მათივე განმარტებით, კანონის თანახმად, სოციალურად გაჭირვებული ადამიანის მიერ დახმარების მიღების უწყისზე ხელი სწორედ ამ კონკრეტულ ადამიანს უნდა ჰქონდეს მოწერილი და მითითებული უნდა იყოს, თუ რა რაოდენობის თანხა გადაეცა, რაც არც ერთ დოკუმენტზე არ არის აღნიშნული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანხები, სოციალურად დაუცველი ადამიანების ნაცვლად, გამგეობის თანამშრომლებს გაჰქონდათ. **"კიდევ გიმეორებთ, რომ ჯგუფური განცხადება შედგა და ამის საფუძველზე მოხდა სოცპაკეტიდან თანხების გახარჯვა. ასე რომ, აქ საგანგაშო არაფერია"**, - თავს იმართლებს გამგებლის მოადგილე გიორგი პაპუნაშვილი.

"დემოსის" პარალელურად, ანალოგიური დარღვევები თელავის რაიონის გამგეობაში კონტროლის პალატამაც აღმოაჩინა. მათ მიერ დაწერილ დასკვნაში აღნიშნულია, რომ შარშან მინიმალური სოციალური პაკეტის დასაფინანსებლად გახარჯულია 132 ათას 200 ლარი, საიდანაც 33 600 ლარი რაიონულ გამგეობასთან შექმნილი კომისიის მიერ ერთჯერადი დახმარების სახითაა გაცემული სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეებზე, მაგრამ ისე, რომ გაურკვეველია, რამდენ ადამიანზე და რა ოდენობით გაიცა თანხა (სოციალურად გაჭირვებულთათვის ინდივიდუალური დახმარების ოდენობა მკაცრად განსაზღვრული არ არის და 20-დან 100 ლარამდე მერყეობს). აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებითვე, უკანონოდაა გახარჯული მრავალსართულიანი კორპუსების სახურავებისა და ლიფტების შესაკეთებლად გამოყოფილი 69 ათას 700 ლარი. საგულისხმოა, რომ კორპუსის ყველა მცხოვრები ჩათვლილია სოციალურად გაჭირვებულად და მათზე გამოყოფილია გარკვეული თანხა, რომელიც არც ერთ მათგანს ხელზე არ მიუღია. თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი გადარიცხულია შპს "ილიას" ანგარიშზე, რომელმაც ჰიდროიზოლის მიწოდება უზრუნველყო, ნაწილი კი გამგეობის წარმომადგენელმა მიიღო სამშენებლო მასალების შესაძენად. საერთო ჯამში, სამუშოების ჩასატარებელმა სამშენებლო მასალების ღირებულებამ 60 ათასს გადააჭარბა; აქედან შპს "ილიასთვის" გადარიცხულია 45 ათას ლარზე მეტი. ანალოგიური მდგომარეობაა ლიფტების შეკეთების დროსაც. აქაც, ტენდერის გარეშე, ერთპიროვნულადაა შერჩეული სამუშაოს შემსრულებელი და გადახდილია 12 ათასი ლარი.

კონტროლის პალატის დასკვნაში საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება - თელავის რაიონის გამგეობის N 30 დადგენილებით, რაიონის საკრებულოს ნებართვის გარეშე შარშან, მარტში ქალაქის გამგეობასთან გაფორმებულია საკრედიტო ხელშეკრულება და ქალაქის იერსახის შეცვლისთვის გაცემულია სესხი - 100 თასი ლარი; ეს - მაშინ, როცა 2004 წლის 1 ივლისისთვის რაიონულ ბიუჯეტს ერიცხებოდა 367 ათს 100 ლარი სახელფასო დავალიანება, მათ შორის - პედაგოგების.

ასე რომ, როგორც კონტროლის პალატის პრეზიდიუმის საბოლოო დადგენილებიდან ირკვევა, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ თელავის რაიონის გამგეობაში მდგომარეობა არ შეცვლილა. თანხების ხარჯვა სოცპაკეტიდანაც კი არასწორად და ხშირად არამიზნობრივად ხდებოდა. რაიონული ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობის კომპლექსური რევიზიის მასალები რეაგირებისთვის უკვე გადაეცა გენერალურ პროკურატურას. პროკურატურა კი კონტროლის პალატის დასკვნებზე, ჯერჯერობით, რეაგირებას არ ახდენს; ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული უწყების გამომძიებელი ვითარების გასარკვევად თელავში დღემდე არ ჩასულა. პროკურატურაში თავს იმით იმართლებენ, რომ ისინი ჯერ მასალებს ეცნობიან და თელავის გამგეობაში არსებული ფინანსური მაქინაციების შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლიათ.

უკიდურესად გაჭირვებული თორმეტშვილიანი ოჯახის - ხოდაშნელების ერთადერთი მარჩენალი კი შვეიცარიელების მიერ შეძენილი ძროხაა. ისინი მხოლოდ უცხოელებს ახსენდებათ.



*ახალი ხელმძღვანელობის პირობებში თელავის რაიონში ყველაფერი ძველებურად დარჩა.*

# ყოფილი პოლიციელი ყაჩაღობის ფაქტზეა დაკავებული

*19 აპრილს საღამოს სოფელ ჩალაუბანში კახელ სამართალდამცავებსა და, სავარაუდოდ, ავტომანქანის გამტაცებელთა ბანდის წევრებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მსხვერპლით დასრულდა. სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია ერთ-ერთი დამნაშავე, ხოლო მისი თანამზრახველი, ყოფილი პოლიციელი გოჩა ვარაზაშვილი, წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი.*

ვარდების რევოლუციამდე საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო კახელი სამართალდამცველებისა და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთა თანამშრომლობაზე. გუშინდელმა ფაქტმა ეს მოსაზრება პრაქტიკულად დაადასტურა.

გოჩა ვარაზაშვილი, რომელიც ახალი მთავრობის პერიოდშიც სამხარეო პოლიციის თანამშრომელი იყო, რამდენიმე თვის წინ დაითხოვეს სამსახურიდან; გუშინ კი იგი მისმა თანამშრომლებმა ყაჩაღობა-მკვლელობის ფაქტზე დააკავეს.

როგორც წინასწარ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, გოჩა ვარაზაშვილი და მისი თანამზრახველი - ყაჩაღობისთვის არაერთგზის ნასამართლევი აკაკი კორკოტაშვილი, მეტსახელად "ბომბორა", თბილისელ ტაქსის მძღოლს, 72 წლის გუგა შევარდნაძეს მანქანაში ჩაუსხდნენ, როგორც კლიენტები; შემდეგ, იარაღის მუქარით, კახეთისკენ აალებინეს გეზი. მანქანა სოფელ ჩალაუბანს რომ მიუახლოვდა, ტაქსის მძღოლი მოკლეს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მომხდარის შესახებ პოლიციამ სწორედ მკვლელობის დროს მიიღო შეტყობინება. სამართალდამცავები ოპერატიული ინფორმაციის წყაროს არ ასახელებენ.

ჩალაუბანში პოლიციის საგუშაგოსთან მიახლოებულ ბოროტმოქმედებს გზა პატრულმა გადაუღობა. ატყდა ორმხრივი სროლა, რასაც მოჰყვა აკაკი კორკოტაშვილის ლიკვიდაცია, ყოფილი პოლიციელი კი ძალოვნებს დანებდა.

მომხდარის შესახებ რაიონის პროკურატურას სხვადასხვა ვერსია აქვს. ტაქსის მძღოლის მკვლელობა, პროკურატურის განმარტებით, შესაძლოა, ფულის გამოძალვას ან მანქანის გატაცებას უკავშირდებოდეს, მაგრამ გამომძიებლებს აეჭვებთ მძღოლის მკვლელობის გარემოება. **"როდესაც საქმე მანქანის გატაცებას ეხება, მძღოლი დამნაშავეს, თითქმის, ყოველთვის ნებდება. აქ კი ჩნდება ეჭვი, რომ რაღაც სხვა მომენტთან გვაქვს საქმე, რადგან 72 წლის მძღოლი თოკითაა დამხრჩვალი"**, - ამბობს გურჯაანის რაიონის პროკურორი ალექსანდრე ფერიაშვილი. ამიტომ, სამართალდამცველები ძველი საქმეებისთვის ანგარიშსწორების ვერსიასაც არ გამორიცხავენ და აღნიშნავენ, რომ მომხდარის ირგვლივ ჯერ კიდევ ძალზე ბევრი რამ არის ბურუსით მოცული.

ყოფილი პოლიციელის გოჩა ვარაზაშვილის შესახებ კი გავრცელებულია ხმები 2000-2002 წლებში ჩეჩენ გადამყიდველებთან მისი ურთიერთობისა და პანკისის ხეობიდან ნარკოტიკების გადმოტანის შესახებ. კახელი სამართალდამცველები ამის თაობაზე კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ.

*24 საათი*

## მოკლედ

### თაღლითობა საპატრულო პოლიციაში დასასაქმებლად

შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, დაზარალებული მოქალაქეების ინფორმაციის საფუძველზე, თაღლითობის ბრალდებით, ვინმე გიორგი გამილაღდიშვილი დააკავა. როგორც გაირკვა, საპატრულო პოლიციაში დასაქმების პირობით, დაკავებული მათ თანხებს სძალავდა. მსგავსი შემთხვევა საქართველოში პირველად დაფიქსირდა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, გამილაღდიშვილს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ბიძინა ბრეგაძის ინფორმაციით, უკვე დადგენილია, რომ გამილაღდიშვილმა ხუთი ადამიანისგან, დაახლოებით, 20 ათასი დოლარის ოდენობის თანხა აიღო. "კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა, რომ საპატრულო პოლიციაში მოხვედრის მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა იყვნენ პატიოსნები, ჰქონდეთ განათლება და გარკვეული ფიზიკური მომზადება. ქრთამის გადახდის ან სხვა ნებისმიერი ხერხით საპატრულო პოლიციაში მოხვედრა გამორიცხულია", - აცხადებს ბიძინა ბრეგაძე.

შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ვასილ სანოძის განცხადებით, მსგავსი ფაქტები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება.

შინაგან საქმეთა სამნისტროს აკადემიის რექტორი ლევან იზორია ირწმუნება, რომ საპატრულო პოლიციაში მიღება, გამოცდების ჩაბარება და ყველა სხვა დანარჩენი პროცედურა მიუკერძოებლად, ობიექტურად და ყოველგვარი თანხების გადახდის გარეშე მიმდინარეობს.

*24 საათი*

### "საქართველოს ელექტროკავშირის" ყოფილი გენერალური დირექტორი ბრალდებას არ აღიარებს

სამეგრელოს საოლქო პროკურატურის თანამშრომლების მიერ დაკავებული "საქართველოს ელექტროკავშირის" ყოფილი გენერალური დირექტორი თემურ ბუცხრიკიძე სასამართლომ თავდებით გაათავისუფლა. საქართველოს გარემოს დაცვის ექს-მინისტრის თამარ ლებანიძის მეუღლეს - თემურ ბუცხრიკიძეს გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და თანხების მითვისებას ედავება.

საქმე 500 ათას ლარს ეხება. ბუცხრიკიძის წიანაღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამეგრელოს საოლქო პროკურატურას გადაეცა, რადგან გამოძიების პროცესში ახალი დეტალები გამოიკვეთა - კერძოდ, სამართალდამცველებმა ყალბი ანგარიშფაქტურები ზუგდიდის საგადასახადო ინსპექციაშიც აღმოაჩინეს.

თემურ ბუცხრიკიძე "ელექტროკავშირის" გენერალური დირექტორის პოსტზე 2000 წლიდან 2003 წლამდე მუშაობდა. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ იგი "საქართველოს ფოსტის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად აირჩიეს და დღემდე იქ მუშაობდა.

თავად ბუცხრიკიძე დანაშაულს არ აღიარებს.

*ინტერ-პრესი*

# ჰელსინკის ჯგუფი ქართულ საპატიმროებში არსებული მდგომარეობით უკმაყოფილოა

თბილისში რამდენიმედღიანი ვიზიტით მყოფმა ბრიტანეთის ადამიანის უფლებების დაცვის ჰელსინკის ჯგუფმა, რომლის ოფისიც ლონდონში მდებარეობს და რომელიც, ძირითადად, ეუთო-ს ქვეყნებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის განხორციელებით არის დაკავებული, საქართველოს სასჯელაღსრულების ადგილებში არსებულ მდგომარეობას უარყოფითი შეფასება მისცა.

ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის ჯგუფის ექსპერტები დაინტერესდნენ ქართველ მსჯავრდებულთა მდგომარეობით, წინასწარ პატიმრობაში მყოფთა პირობებით, გამოძიების მსვლელობით და საპროცესო ვადებით. ყველა დეტალის გასარკვევად ჰელსინკის ჯგუფი წევრებმა ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლებთან ერთად თბილისის N1 საპყრობილე მოინახულეს.

ჩვენი ინფორმაციით, ბრიტანელმა ექსპერტებმა პატიმრობაში მყოფი ყოფილი ჩინოვნიკების, ყოფილი ხელისუფლების იმ წარმომადგენლების მონახულების სურვილიც გამოთქვეს, რომლებიც სასჯელს თანამდებობაზე ყოფნისას ჩადენილი დანაშაულების გამო იხდიან. თუმცა, ჩვენივე ინფორმაციით, ბრიტანეთის ადამიანის უფლებების დაცვის ჰელსინკის ჯგუფის წევრებისა და ბრალდებული ჩინოვნიკების შეხვედრა არ შედგა. როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, ბრალდებულმა ჩინოვნიკებმა უცხოელ ექსპერტებთან შეხვედრა თავად არ ისურვეს.

ჰელსინკის ჯგუფის წევრები სახალხო დამცველთან სოზარ სუბართან შეხვედრისას სისხლის სამართლის კოდექსში შესული და შესატანი ცვლილებებითა და სასჯელაღსრულების სფეროში მიმდინარე ინფრასტრუქტურითაც დაინტერესდნენ.

N1 საპყრობილეში სტუმრობის შემდეგ უცხოელმა ექსპერტებმა დასკვნები გააკეთეს. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული ზოგადი მდგომარეობა მათი კრიტიკის საგანი გახდა.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი** ..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..........

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

1

იურიდიული ოფისი „გაპი"

და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**დავით თასოშვილი**

მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის ეროვნულ ინსტიტუტს, საიდანაც 2000 წლიდან პენსიაზე გავედი, დღემდე არ გაუკეთებია ხელფასის საბოლოო ანგარიში. არ ამიღია: 1998 წლის 3 თვის ხელფასი, 1999 წლის 2 თვის ხელფასი+პრემია და 5 თვის ხელფასი. 2004 წლის 14/06 განცხადებით მივმართე ინსტიტუტის დირექტორს, რომელმაც მიპასუხა მხოლოდ წერილით: "გაუცემელი ხელფასები აღიარებულია, როგორც სახელმწიფო ვალი, როგორც კი მოხდება აღნიშნული თანხების გადმოცემა, თქვენზე გაიცემა იმ რაოდენობის თანხა და იმ გრაფიკით, როგორც სხვა დანარჩენ, ამჟამად მომუშავე და სამსახურიდან დათხოვნილ თანამშრომლებზე." როგორც დირექტორის წერილიდან ჩანს, მე გათანაბრებული ვარ "ამჟამად მომუშავე" თანამშრომლებთან, რომლებიც ხელფასებს იღებენ.

გთხოვთ მიპასუხოთ:

1.რამდენად კანონიერია აღნიშნული?

2.დღეისათვის არსებობს თუ არა კანონი სახელმწიფოს მიერ ვალის დაბრუნების შესახებ?

ბატონო დავით,

წარმოადგენს რა აღნიშნული ინსტიტუტი საბიუჯეტო დაწესებულებას, ხელფასებიც გაიცემა, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოს კანონი "ბიუჯეტის შესახებ", რომელიც ყოველწლიურად მიიღება, კი განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელ დაწესებულებებს, სადაც აღინიშნება, თუ რამდენით და როგორ უნდა დაფინანსდეს იგი, კერძოდ გამოყოფილი თანხით უნდა გაიცეს მიმდინარე ხელფასები თუ არსებული დავალიანებებიც. ხოლო ინსტიტუტი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლისადმი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, ვალდებულია გაგცეთ პასუხი. ამრიგად, მის დირექტორს შეეძლო გაეცა თქვენი ოფიციალური განცხადებისათვის პასუხი, რომელიც ჩაითვლებოდა ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ პასუხად.

**დავით თასოშვილი**

2000 წლიდან ვარ პენსიაზე. პენსიას ვიღებ "სახალხო ბანკში." დღემდე არ ამიღია 2003 წლის დეკემბრის თვის "გაყინული" პენსია. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ არ გასცემენ 2003 წლის დეკემბრის თვის პენსიას, ბანკში მიპასუხეს: "2000 წლის დეკემბრის თვის პენსიის გაქვითვა მოხდა პენსიის მომატებით და ამიტომ აღარ გაიცემაო." ზუსტად ასე უპასუხიათ ბანკისთვის ვაკე-საბურთალოს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში.

გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად კანონიერია ზემოთ აღნიშნული?

ბატონო დავით,

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, სოც.უზრუნველყოფის ორგანო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც პირის განცხადების საფუძველზე ვალდებულია გასცეს მასზე პასუხი. ამრიგად, სოც.უზრუნველყოფის ორგანოს მიერ განცხადების საფუძველზე გაცემული პასუხი, ჩაითვლება ოფიციალურ პასუხად. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ მას განცხადებით და სთხოვოთ მიუთითონ შესაბამისი კანონი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც პენსიაზე დანამატები ჩაითვალა არსებული დავალიანების გასტუმრებად.

**ინგული მელანია**

მაქვს სოფლის მეურნეობაში მუშაობის 25 წლის სტაჟი. გამაჩნია მშობლიურ სოფელში ნამოსახლარი. სურვილი მაქვს გადავიდე იქ მუდმივ საცხოვრებლად და შევქმნა ფერმერული მეურნეობა. სოფელში, მხოლოდ აღნიშნული ნამოსახლარის ირგვლივ ცხოვრობს რამოდენიმე ოჯახი. სხვაგან მხოლოდ ნამოსახლარებია. სოფლის გამგებელმა უარი მითხრა იმ მოტივით, რომ ნამოსახლარები და ბუჩქნარები სატყეო ფონდს ეკუთვნისო.

გთხოვთ, განმიმარტოთ: რამდენად კანონიერია სოფლის თავკაცის პასუხი. მიწა რამდენი მეკუთვნის და გათვალისწინებულია თუ არა სხვა შეღავათი.

ბატონო ინგული,

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ორგანოს, ამიტომ თქვენ უფლება გაქვთ მიმართოთ მას განცხადებით აღნიშნული საკითხის ირგვლივ. ადმინისტრაციული ორგანო (ანუ ჩვენს შემთხვევაში სოფლის გამგეობა) ვალდებული გიპასუხოთ წერილობით, სადაც უნდა მიუთითოს ის კანონი ანდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც არ შეიძლება თქვენთვის მითითებული მიწის გადმოცემა.

**მაია მექვაბიშვილი**

დაახლოებით 30 წლის წინ ერთ-ერთი სამშობიარო სახლიდან გააშვილეს ჩემი ტყუპი ძმები (ისარგებლეს დედის მძიმე მდგომარეობით ). ჩვენ ვეძებთ ძმებს. მათი პოვნისა და გენეტიკური ანალიზის დადებითი პასუხის შემთხვევაში გვაინტერესებს: რა უფლებები ექნებათ მათ, კერძოდ ჩვენი ქონების რამდენი პროცენტი ეკუთვნით? აგრეთვე გვაქვს თუ არა უფლება მოვთხოვოთ მათ ჩვენს გვარზე გადმოსვლა.

ქალბატონო მაია,

სამოქალაქო კოდექსის 1260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბავშვი გაშვილების შემდეგ კარგავს ყოველგვარ უფლებას ღვიძლი მშობლების მიმართ:

**მუხლი 1260. ნაშვილების ურთიერთობანი ღვიძლ მშობლებთან**

1. ნაშვილები კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობისაგან თავისი ღვიძლი მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

ხოლო კოდექსის 1269-ე და 1270-ე მუხლების მიხედვით კი:

**მუხლი 1269. შვილად აყვანის გაუქმების დაუშვებლობა**

დაუშვებელია შვილად აყვანის გაუქმება ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შვილად აყვანის გაუქმებაზე არსებობს ნაშვილების, მისი მშობლებისა და მშვილებლის თანხმობა.

**მუხლი 1270. შვილად აყვანის გაუქმების შედეგები**

1. შვილად აყვანის გაუქმებისას წყდება ნაშვილებსა და მშვილებელს, აგრეთვე მათ ნათესავებს შორის არსებული ურთიერთუფლებები და ურთიერთმოვალეობები, ხოლო აღდგება ურთიერთუფლებები და ურთიერთმოვალეობები შვილსა და მის მშობლებს, აგრეთვე შთამომავლობით ნათესავებს შორის.

თუ მოხდება უკვე არსებული შვილების ფაქტის გაუქმება, მაშინ გაშვილებული ხდება ღვიძლი მშობლების კანონიერი მემკვიდრე.

1336-ე მუხლის თანახმად :

**მუხლი 1336. კანონით მემკვიდრეები**

კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

I. პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

რაც შეეხება სახელისა და გვარის შეცვლას, ეს უკვე გაშვილებულის ნებაზე იქნება დამოკიდებული. შვილების გაუქმება კი უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ.

**თეა ადამია**

ვზრდი აყვანილ ბავშვს. ახლახან გაირკვა, რომ ბავშვი დედის ნებართვის გარეშე არის გაშვილებული და აღძრულია სისხლის სამართლის საქმე (დედას უთხრეს, რომ იგი დაიღუპა). მაინტერესებს, რა უფლებით ისარგებლებს დედა, თუ იგი იპოვის თავის შვილს ანუ ჩემს აყვანილ ბავშვს. აქვს თუ არა პროკურატურას ამ ფაქტის გახმაურების უფლება? ჰქონდათ თუ არა ტყუპების დაცილების და სხვადასხვა ოჯახში გაცემის უფლება?

ქალბატონო თეა,

სამოქალაქო კოდექსის 1251-ე, 1266-ე, 1272-ე მუხლების მიხედვით:

**მუხლი 1251. მშობლების თანხმობა გაშვილებისას**

1. იმ ბავშვის გასაშვილებლად, რომელსაც მშობლები ჰყავს, აუცილებელია მათი თანხმობა. მშობლების თანხმობა გაშვილებაზე უნდა გამოითქვას წერილობით.

2. მშობლებს შეუძლიათ ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა მისცენ კონკრეტულ პირს (პირებს)ან თანხმობა განაცხადონ გაშვილებაზე კონკრეტული პირის მიუთითებლად და მშვილებლის შერჩევა მიანდონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

3. თუ გაშვილების თანხმობა გაცემულია კონკრეტული პირის სახელზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იძლევა დასკვნას, რომ ასეთი გაშვილება შეესაბამება ბავშვის ინტერესებს.

**მუხლი 1266. თანხმობის გარეშე განხორციელებული შვილად აყვანის გაუქმება**

1. შვილად აყვანა მშობელთა თანხმობის გარეშე, როცა ასეთი თანხმობა აუცილებელია, შეიძლება მშობელთა სარჩელით გააუქმოს სასამართლომ, თუ იგი დაადგენს, რომ მშობლებისათვის ბავშვის დაბრუნება შეესაბამება მის ინტერესებს.

2. მშობელთა თხოვნით, შვილად აყვანის გაუქმება, თუ ნაშვილებს შეუსრულდა ათი წელი, დაიშვება მხოლოდ ნაშვილების თანხმობით.

**მუხლი 1272. შვილად აყვანის ბათილად ცნობის საფუძვლები**

1. შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი იმ შემთხვევაში, თუ:

ა. გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ ემყარება ყალბ დოკუმენტებს;

ბ. შვილად აყვანა ფიქციურია;

გ. მშვილებელი სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ იყო ცნობილი;

დ. მშვილებელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება.

2. შვილად აყვანის ბათილად ცნობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეესაბამება ნაშვილების ინტერესებს.

3. შვილად აყვანის ბათილად ცნობისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არის თუ არა თანახმა ნაშვილები, რომელმაც ათი წლის ასაკს მიაღწია.

4. შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი იმ პირის მოთხოვნით, რომლის უფლებაც დარღვეულია შვილად აყვანით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნით.

ამრიგად, თუ სასამართლოს მიერ მოხდება შვილების ფაქტის გაუქმება ან ბათილად ცნობა, იგი დაუბრუნდება თავის ღვიძლ მშობლებს. გამოძიების მიერ კი ფაქტის გახმაურებას რაც შეეხება, დანაშაული წარმოადგენს საჯარო ბრალდების საქმეს და თუ რა საკითხები გახდება ცნობილი საზოგადოებისათვის, დამოკიდებულია გამოძიების ინტერესებზე, გამოძიებას შეუძლია მთლიანად გაახმაუროს ცნობები გამოძიების შესახებ ან გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე აკრძალოს რაიმე კონკრეტული ცნობების გამჟღავნება.

**შოთა გამყრელიძე**

ვარ ფიზიკური პირი, ვცხოვრობ რაიონულ დაქვემდებარებაში მყოფ ქალაქში. 10 წლის განმავლობაში მერიცხებოდა მიწისა და ქონების გადასახადი, მაგრამ საცხოვრებელ ადგილზე არ ყოფნის გამო ამ ხნის განმავლობაში დარიცხული გადასახადი ვერ გადავიხადე. ძირითად გადასახადს დაემატა საურავი, რამაც სოლიდური თანხა შეადგინა. როგორც ვიცი, საგადასახადო კოდექსიდან ამოღებული იქნა მიწის გადასახადი და შესაბამისად მოვალეები განთავისუფლებული იქნენ ასეთი გადასახადისაგან, მაგრამ საგადასახადო ინსპექცია მაინც ითხოვს ასეთი გადასახადის გადახდას. გთხოვთ, განმიმარტოთ, მოცემულ შემთხვევაში ვალდებული ვარ თუ არა გადავიხადო ზემოაღნიშნული გადასახადი. თუ განთავისუფლებული ვარ, გთხოვთ, მიუთითოთ კანონის ნორმაზე, რათა გასაგები იყოს საგადასახადო ინსპექციისათვის. მრავალთა თხოვნაა, ცალკე თემად იქნეს განხილული მიწის და ადგილობრივი გადასახადების შესახებ ძველი და ახალი საგადასახადო კოდექსების მიხედვით.

ბატონო შოთა,

მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება ქონების და სათამაშო ბიზნესის გადასახადი. ქონების გადასახადი კი მოიცავს მიწის გადასახადსაც. საგადასახადო კოდექსის 276-ე მუხლის თანახმად, ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან :

მუხლი 276. გადასახადისაგან გათავისუფლება

1. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მესაკუთრე, რომლის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს;

ბ) 2007 წლის 1 იანვრამდე ჟურნალ-გაზეთების საგამომცემლო საქმიანობით დაკავებული პირების ბალანსზე არსებული და ამ საქმიანობაში უშუალოდ გამოყენებული ქონება;

გ) მიწის ის ფართობები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავებული სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი საქმიანობისათვის, მათ შორის ლიანდაგებისა და სალიანდაგო დისტანციების, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოების, რკინიგზის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობებისა და კომუნიკაციების, სარკინიგზო კოდექსით განსაზღვრული გასხვისების ზოლისა და დამცავი ზონის მიერ, გარდა სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სპორტულ და უშუალოდ რკინიგზის ფუნქციონირებასთან კავშირში არმყოფი ობიექტების მიერ დაკავებული მიწებისა. აგრეთვე მიწის გადასახადისაგან არ თავისუფლდება რკინიგზის ვაგზლის შენობის ქვეშ არსებული მიწის ფართობები;

დ) ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა;

ე) მიმოსვლის გზები, საკომუნიკაციო და ელექტროგადამცემი ხაზები;

ვ) საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების საეტალონო და სასტენდო მოწყობილობები;

ზ) ორგანიზაციის ქონება, გარდა მიწისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

თ) "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გამოყენებული ქონება;

ი) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწებისა;

კ) ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომელშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილეთების რეალიზაცია;

ლ) ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღებით, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკებით ან/და სასაფლაოებით, ზოოლოგიური ბაღებით ან/და პარკებით, ოკეანერიუმებით, სკვერებით, ხეივნებით, დაცული ტერიტორიებით, სატყეო ორგანიზაციებით, აგრეთვე ღია საუწყებო პარკებით, ბაღებით და ტყე-ბაღებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;

მ) ქალაქის წყალსაცავებით და მათი აკვატორიებით დაკავებული ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის და არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ნ) ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრების, გარემოს დაბინძურების კონტროლის სადგურებისა და დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;

ო) სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;

პ) "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;

ჟ) საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული და საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემები, გარდა ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტისა;

რ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის შედეგად;

ს) ქურთის, ერედვისა და თიღვის თემები, სოფლები ავნევი და ნული - დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მოწესრიგებამდე;

ტ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

უ) ის მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ფ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები - მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;

ქ) ნასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები - დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;

ღ) 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული, 5 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;

ყ) "მიწების მელიორაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრების სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, აგრეთვე 2014 წლის 1 იანვრამდე "მიწების მელიორაციის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სამელიორაციო ასოციაციებისათვის გადაცემული, მათი მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;

შ) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები -პრივატიზაციის წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;

ჩ) "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული, კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე განლაგებული რაიონებისა და აჭარაგურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი - მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით;

ც) სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული სამედიცინო დაწესებულებათა ქონება, გარდა მიწისა;

ძ) სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება არასამედიცინო ეკონომიკური საქმიანობისათვის;

წ) სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ფინანსდება ბიუჯეტიდან;

ჭ) მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება უსინათლოების, ყრუ-მუნჯების, გონებრივად ჩამორჩენილი და ფიზიკურად განუვითარებელი ბავშვების, ომის ვეტერანთა საზოგადოებების, მოხუცებულთა და ბავშვთა სახლების, მოზარდთა სოციალური ადაპტაციისა და შრომითი რეაბილიტაციის ცენტრების მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის და ფინანსდება ბიუჯეტიდან; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სახლების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწევიან ბავშვთა მოვლა-აღზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ხ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც მოწეული მოსავლის ნახევარზე მეტიც განადგურდა სტიქიის (ქარიშხალი, სეტყვა, გვალვა, წყალდიდობა) და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად. მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა დგება ორჯერ - სტიქიის დამთავრების მომენტიდან 2 კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ;

ჯ) სამონადირეო მეურნეობების მიერ დაკავებული მიწები.

2. დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც შეღავათების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი მის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ან მის ნაწილს) ან/და შენობა-ნაგებობებს (ან მათ ნაწილს) იჯარით გადასცემს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ქონება გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის.

2003 წლის 18 ივლისის კანონის თანახმად, ძველ საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლს დაემატა 66-ე ნაწილი, რომელიც ადგენდა:

"შეწყდეს საგადასახადო ვალდებულებები ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიხედვით გაანგარიშებული მიწის გადასახადის ვადაგადაცილებულ დავალიანებათა თანხებზე 2003 წლის 1 ივნისის მდგომარეობით დარიცხულ საურავებზე და მათი ჩამოწერა განხორციელდეს ამ კოდექსის 250-ე მუხლის შესაბამისად".

ხოლო 2003 წლის 31 დეკემბრის კანონით ამოღებულ იქნა ძველი საგადასახადო კოდექსის მეექვსე კარი, რომელიც ეხებოდა მიწის გადასახადს. ეს კანონი ძალაში შევიდა 2004 წლის 1-ლი იანვრიდან. თუმცა, ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მიწის გადასახადს, რომელიც შედის ქონების გადასახადის თავში.

**შოთა გამყრელიძე**

როგორც გვამცნობენ, 2003 წლის 1-ლი ივლისიდან კერძო საკუთრებაში არსებული 5 ჰ-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მფლობელები მიწის გადასახადისაგან გათავისუფლებულები არიან. ასევე გაუქმებულია 2003 წლის 1-ელ ივლისამდე კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის დავალიანების საჯარიმო სანქციები (საურავები). ძველად მოქმედი საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის ქ ქვეპუნქტის მიხედვით 2004 წლის 1-ლი მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰ-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არ იბეგრება მიწის გადასახადით. ამასთან საურავებისაგან განთავისუფლებული არიან მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრენი. პირადად მე რაიონული დაქვემდებარების ქალაქში მაქვს საცხოვრებელი სახლი და მასთან მიმდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. დღეისათვის საგადასახადო ინსპექცია მავალდებულებს გადავიხადო 10-12 წლის განმავლობაში დარიცხული მიწისა და ქონების გადასახადის მათზე დარიცხული საურავების გათვალისწინებით. გთხოვთ, განმიმარტოთ, უნდა გადავიხადო თუ არა აღნიშნული გადასახადი, მაშინ, როცა როგორც გვამცნობდნენ, მიწის გადასახადისა მათზე დარიცხული საურავებისაგან განთავისუფლების შესახებ.

ბატონო შოთა,

2003 წლის 31 დეკემბრის კანონით, ძველ საგადასახადო კოდექსში ამოღებულ იქნა მეექვსე კარი, რომელიც შეეხებოდა მიწის გადასახადს, ეს კანონი ამოქმედდა 2004 წლის 1-ლი იანვრიდან, თუმცა ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მიწის გადასახადს, რომელიც შესულია ქონების გადასახადი თავში. 2003 წლის 18 ივლისის კანონით, ძველ საგადასახადო კოდექსში 273-ე მუხლს დაემატა 66-ე ნაწილი:

" შეწყდეს საგადასახადო ვალდებულებები ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიხედვით გაანგარიშებული მიწის გადასახადი ვადაგადაცილებულ დავალიანებათა თანხებზე 2003 წლის 1 ივნისის მდგომარეობით დარიცხულ საურავებზე და მათი ჩამოწერა განხორციელდეს ამ კოდექსის 250-ე მუხლის შესაბამისად."

**ქართველიშვილი ნატო**

მეუღლესთან ვცხოვრობდი შვიდი წელი. გვყავს ერთი შვილი 6 წლის. ხელმოუწერელი მეუღლის პენსია რომ დავინიშნო, გთხოვთ, გამარკვიოთ, სასამართლოს ძალით შეიძლება თუ არა დავადგინო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ მე და ამჟამად გარდაცვლილი მეუღლე ვიმყოფებოდით ფაქტიურად ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში. მეუღლესთან ხელმოუწერელი ვიყავი: მაქვს მეზობლების მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთი იმის შესახებ, რომ აწ გარდაცვლილი მეუღლე იყო ჩემი მეუღლე. ნოტარიუსით დამტკიცებული არის: მეუღლე მუშაობდა პოლიციაში.

ქალბატონო ნატო,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე, 312-ე, 313-ე მუხლების მიხედვით, სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს უდავო წარმოების წესით :

**მუხლი 310.** სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეები

უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს:

ა) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ;

**მუხლი 312.** სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეები იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ

1. სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა.

2. სასამართლო განიხილავს საქმეებს:

ა) პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ;

ბ) პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ;

გ) დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტების დადგენის შესახებ;

დ) უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს;

ე) საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ;

ვ) უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენის შესახებ;

ზ) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ უარი თქვა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე;

თ) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ;

ი) იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების დადგენის შესახებ, თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მათი დადგენის სხვა წესს.

**მუხლი 313.** იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისათვის აუცილებელი პირობები

სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

**ნანული ბაიძე**

1992 წლის 13/2 ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა ყალბი სანოტარო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და საცხოვრებელი სახლის ერთიმეოთხედი ნაწილი მოგვაკუთვნა ამ კერძო სახლის მფლობელებს როგორც უპირატესი შესყიდვის უფლებით და დაგვეკისრა 35000 ათასი რუსული რუბლის გადახდა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. მაგრამ როდესაც საქმე ბათუმის უმაღლეს სასამართლოში გაიგზავნა 1992 წლის 27 მაისს ხანძრით განადგურდა. 1994 წლის 11 ივლისს საქმე აღვადგენინე საქართველოს უზენაეს სასამართლოს. დღეს მოწინააღმდეგე მხარე ითხოვს რუსული რუბლის გადახდას დოლარებში. საქართველოში ვის აქვს უფლება გადაიყვანოს და განსაზღვროს რუსული რუბლი ლარებში გარდა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და აქვს თუ არა უფლება რომელიმე კერძო აუდიტს რუსული რუბლი გადაიყვანოს დოლარებში?

ქალბატონო ნანული,

აღნიშნული საკითხის გარკვევა შეგიძლიათ ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკში. რაც შეეხება აუდიტს, საქართველოს კანონის "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" მე-2 მუხლის თანახმად:

"მუხლი 2. აუდიტორული საქმიანობა მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს), აუდიტორული მომსახურების გაწევას, აგრეთვე აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდურ უზრუნველყოფას.

აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს) ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტური ფირმები სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აუდიტორული მომსახურება მოიცავს ბუღალტრულ მომსახურებას, ექსპერტიზას და საკონსულტაციო მომსახურებას საფინანსო, დაბეგვრის და სამეურნეო კანონმდებლობის სხვა სფეროებში.

აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ სამეურნეო სუბიექტების ფინანსური კონტროლისგან დამოუკიდებლად.

ამრიგად, თქვენს მიერ შეიძლება დაიდოს კერძო აუდიტთან ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც იგი დაგიდგენთ აღნიშნულ საკითხს. რაც შეეხება სტატისტიკის დეპარტამენტს და ეროვნულ ბანკს, თქვენი განცხადების საფუძველზე, ისინი გაგცემენ ოფიციალურ პასუხს იმის შესახებ, თუ რამდენ დოლარს უდრიდა მითითებულ დროს აღნიშნული რუსულ რუბლში გამოხატული ფულადი თანხა.

**შოთა ბუღაძე**

წლების მანძილზე ვმუშაობ საჩხერის რაიონის ჯალაურთის საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. ბოლო ორი წლის მანძილზე გამინახევრეს შტატი. გთხოვთ, გამარკვიოთ, რა სამართლებრივ საფუძველზე ხდება აღნიშნული შტატის განახევრება.

ბატონო შოთა,

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გასცეს მის ხელთ არსებული საჯარო ინფორმაცია. თქვენ შეგიძლიათ განცხადებით მიმართოთ თქვენი სკოლის დირექტორს ანდა ადგილობრივ განათლების ორგანოს, სადაც თქვენი განცხადების საფუძველზე უნდა მოგცენ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია.

**გიორგი მიქიაშვილი**

მყავს ინვალიდი შვილი (22 წლის) - ვაჟი, დიაგნოზით "ბავშვთა ცერებრალური დამბლა" - ისეთი ფორმით, რომ უარესი შეუძლებელია - არ აზროვნებს, არ ლაპარაკობს, არ დადის, ვერ ჭამს, ვერ სვამს, ვერ . . . დაუხმარებლად - ერთი თვის ასაკის დონეზეა დარჩენილი (აღარ მოგიყვებით მასთან დაკავშირებულ ისტორიებს). ბავშვობიდანვე ეძლევა პენსია. 16 წლის შესრულების შემდეგ დაუდგინდა პირველი ჯგუფი (ექიმთა კომისიები ბინაზე იყვნენ მოსულნი). მარტის თვის პენსია ვერ ავიღეთ. ადრე ადგილზე სახლში მოჰქონდათ (ვცხოვრობთ "კონიაკის დასახლებაში" - ჩაის ფაბრიკასთან) - ახლა მუხიანში ბანკში მიაკითხეთო. მივატოვე სამუშაო (მეუღლე გამუდმებით ავადმყოფთანაა) და . . . მუხიანში ისეთი ამბავი იყო, რომ მთელი დღით იქ დგომის თავი აღარ მქონდა - ის კი გავიგე, რომ პენსიონერი თვითონ უნდა მოვიდესო! თუ არ შეუძლია - ნოტარიუსი უნდა მოიყვანოთო (უფასო ნოტარიუსი არ არსებობს, მე მგონი) - არ არის საჭირო ხელის მოწერაოდააფიქსირებს ავადმყოფობასო?! გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორ მოვიქცე ამ შემთხვევაში? რომელია იურიდიულად გამართული გზა და თანაც უფასოდ? არის თუ არა ვალდებული ის, ვინც შემიქმნა ეს ბარიერი, რომ ხარჯები (ამ საქმესთან დაკავშირებით) თვითონვე გასწიოს?

ბატონო გიორგი,

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად:

**მუხლი 12. ქმედუნარიანობა**

1. ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.

3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე.

4. შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუუნარო.

5. ქმედუუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).

6. ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო აღიარებს მას ქმედუნარიანად.

ხოლო 1198-ე მუხლის მიხედვით კი:

**მუხლი 1198. მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ**

1. მშობლები უფლებამოსილნი და მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

2. არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ეკისრება მათ მშობლებს.

3. მშობლები თავისი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის - სასამართლოშიც.

4. მშობლების უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ამრიგად, არასრულწლოვანი ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული ბავშვის ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა შეუძლიათ და ევალებათ მის მშობლებს განსაკუთრებული რწმუნებულობის გარეშე, ანუ რაიმე მინდობილობის გარეშე. თქვენ ასევე შეგიძლიათ, მიმართოთ განცხადებით ადგილობრივ სოც.უზრუნველყოფის ორგანოს, თუ რის საფუძველზე აყენებენ აღნიშნულ მოთხოვნებს პენსიის აღებისას, იგი, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია გაგცეთ პასუხი.

უარი დოკუმენტალისტიკას და ანიმაციას



B3

სწრაფად მოვიგოთ პრემიერლიგა



B4

მასონთა შეულამაზებელი ისტორია III



B6

# იდგნენ და ელოდნენ

*ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია: თუ რომელიმე თქვენგანი ნამყოფია ლონდონში, ჟენევასა ან ედინბურგში, მას თბილისის ბოტანიკური ბაღი ნაკლებად მოხიბლავს. ვისაც წილად არ ერგო ამ მშვენიერი პარკების დათვალიერება, მაგრამ თუნდაც ხუთი წლის წინანდელი ბოტანიკური ბაღი ახსოვს, ვურჩევ, ხელახლა ეწვიოს აქაურობას. ჯერჯერობით აქ ყველა მცენარე არ ყვავის, ჩიტების ჭიკჭიკიც აქა-იქ გაისმის და შეყვარებულ წყვილებსაც კანტიკუნტად წააწყდებით. დირექციაშიც არავინ დაგიხვდებათ. მიზეზი: ყველანი თავ-თავიანთ ნაკვეთებზე არიან გასული, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოტანიკურ ბაღში ფული გაჩნდა და საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობს.*

სოფიო თოდუა

## მითიდან რეალობამდე

შევარდნაძის ერთ-ერთ საპრეზიდენტო პროგრამაში, სადაც ლაპარაკია ქართველი ქალის როლზე, საინტერესო ადგილს წავაწყდი. ღირსეულ და მისაბაძ მანდილოსნებს შორის კოლხი მედეაც ფიგურირებდა. გულიანად ვიცინე. არგონავტების მითზე შექმნილი ყველა არაჩვეულებრივი ლიტერატურული ნაწარმოების, მხატვრული ტილოსა თუ კინოფილმის მიუხედავად, მედეა ერთი უსინდისო დედაკაცი იყო, რომელმაც ვიღაც გადამთიელის გამო მამაც გაწირა, ძმაც და, რაც მთავარია, ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრე უცხოელს გაატანა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, შევარდნაძის პროგრამის ამ ნაწილის დამუშავება ერთ ახალგაზრდა მწერალს მიანდეს. მწერალი კიდევ რისი მწერალია, ფანტაზიას გასაქანი არ მისცეს, მით უფრო, როცა ამავე თემაზე ოთარ ჭილაძის მშვენიერი რომანი ეგულება. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა. მაგრამ ამ ჩვენს მედეას ჭკუა აშკარად უჭრიდა და უბირიც არ გახლდათ, ყოველ შემთხვევაში, გრძნეულად იმიტომ მოიხსენიებოდა, რომ კოლხეთის ფლორას ხუთი თითივით იცნობდა და სხვადასხვა დანიშნულების წამლებს ამზადებდა. ასე რომ, როცა სიტყვა ბოტანიკურ ბაღზე ჩამოვარდება, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს ასეთი შორეული პარალელის გავლება, აუცილებლად მითიურ მედეამდე მივალთ. ამასვე მოწმობს ბერძნულ-რომაული წყაროები, რომელთა მიხედვითაც მედეას სამკურნალო მცენარეების წალკოტში გახარებული მცენარეების ეტიმოლოგია საქართველოს უკავშირდება.

ფაქტია, რომ ბოტანიკური ბაღების პირველადი დანიშნულება სამკურნალო მცენარეების მოშენება იყო, დეკორატიულ მხარზე ყურადღების გამახვილება შედარებით გვიან დაიწყო. შუა საუკუნეების ევროპაში ასეთი ბაღები თითქმის ყველა მონასტერთან იყო გაშენებული. თავდაპირველად ეს პარქტიკა მე-16 საუკუნის იტალიაში დაინერგა, მოგვიანებით საფრანგეთში, გაერმანიასა თუ ნიდერლანდებშიც გავრცელდა. ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია დეკორატიული ბაღები - "სამოთხენი" და "მტილ-სამოთხენი". ლეონტი მროველი (IV ს.) მირიან მეფის ბაღზე ლაპარაკობს, სადაც მოგვიანებით სვეტიცხოვლის ტაძარი აიგო. თეიმურაზ I-ისა და არჩილ მეფის თხზულებებით დასტურდება, რომ "ცოდნის წყაროდ" მიაჩდათ ლევან კახთა მეფის (XVI ს.) ბაღი გრემში. ასევე ცნობილი იყო შაჰნავაზისა (გარდაიცვალა 1675 წ.) და ვახტანგ VI-ის (1675-1737 წ.წ.) "სამეფო დიდი ბაღი", რომელიც დღევანდელი ბოტანიკური ბაღის წინამორბედადაა მიჩნეული. პირველ ცნობებს ბოტანიკური ბაღის შესახებ, რომელიც "ციხის ბაღად" მოიხსენიება, ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი გვაწვდის. შარდენმა საქართველოში 1672-73 წლებში იმოგზაურა. მისივე თქმით, ამ დროისათვის აქ ადგილობრივი ჯიშების გარდა კულტივირებული ყოფილა უნიკალური უცხოური მცენარეები. რადგან ასეთი პარკის გაშენებას სულ მცირე 50 წელი დასჭირდებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოტანიკური ბაღის ისტორია დაახლოებით 1625 წლიდან იწყება. მოგვიანებით ეს ბაღი უცხოელთა შემოსევების შედეგად განადგურდა. მისი აღდგენა მხოლოდ მე-19 საუკუნეში გახდა შესაძლებელი. 1845 წელს მას ოციფიალურად ეწოდა ბოტანიკური ბაღი. იქიდან მოყოლებული აქაურობას არაერთი ქართველი თუ არაქართველი დირექტორი ახსოვს. მათი სახელები შესასვლელში აღმართულ ქვის სტელაზე მხოლოდ ფაქტის კონსტატირებას არ ისახავს მიზნად - ყოველი მათგანი ბაღის გამდიდრებაზე ზრუნავდა და თბილისის ბოტანიკური ბაღიც ერთ-ერთ საუკეთესო პარკად ითვლებოდა მთელ მსოფლიოში. დღევანდელი დირექტორი ჯიმშერ კერესელიძე იმედოვნებს, რომ ბაღი ძველ დიდებას დაიბრუნებს და ოდესმე მისი სახელიც ამოიტვიფრება წინამორბედების გვერდით.

## მძიმე მემკვიდრეობა

1985 წლის მონაცემებით თბილისის ბოტანიკური ბაღი 156 ჰექტარზე იყო გადაჭიმული და ხებუჩქებისა და ყვავილოვანი მცენარეების 4 898 სახეობასა თუ სახესხვაობას ითვლიდა. ოცი წლის თავზე ბაღის ტერიტორია 128 ჰექტარამდე შემცირდა. რაც შეეხება მცენარეებს, იმდენად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, მხოლოდ მეხსიერებაში თუ შემოგვრჩა, რომ აქაურობას ერთ დროს ბოტანიკური ბაღი ერქვა. მთელი ამ გაუსაძლისი წლების განმავლობაში გაუთავებელ ხვეწნა-მუდარას შედეგი არ მოჰყოლია. ბაღს ყურადღებას მხოლოდ თანამშრომლები აქცევდნენ, მაგრამ მათი ძალისხმევის მიუხედავად თითქმის განადგურდა მცენარეთა უნიკალური კოლექცია, მთლიანად მოიშალა სარწყავი სისტემა, დაინგრა სამეურნეო ნაგებობები, მოირღვა შემოსასვლელი ღობე და ბოტანიკური ბაღი მიტოვებულ პარკს დაემსგავსა. სახელმწიფოს კი ამ დროს სულ სხვა გეგმები ამოძრავებდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ერთმა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა, რომელიც ყველა მოწვევის პარლამენტის წევრია, თანამშრომლებს "სარფიანი" წინადადებით მიმართა და პარკის ტერიტორიაზე შეძლებული ქართველებისთვის კოტეჯების ჩადგმა შესთავაზა. მახლას, დირექციამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, თორემ აქ ცხოვრებას რა სჯობდა! არადა, ცოტაც რომ დასცლოდათ, სააკაშვილი ხელს სხვა მიმართულებით გაიშვერდა, თუმცა ჩამორთმევით მაინც არავის არაფერს ჩამოართმევდნენ. დიდი-დიდი, ყველაზე მომცრო კოტეჯი რომელიმე საბავშვო ბაღისთვის გადაეცათ. დღევანდელი ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვა იმაში გამოიხატება, რომ სანდრა რულოვსს პერიოდულად ჰოლანდიიდან ტიტები ჩამოაქვს - ესეც საქმეა. სხვათა შორის, ერთი ჰოლანდიელი წყვილი, აქვე რომ სახლობს, ბაღს ყვავილებით ამარაგებს და მერე ძალიან განიცდის, გახარებული ყვავილები ძირფესვიანად მოგლეჯილი რომ ხვდება. რაც შეეხება მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნებს, მათ, როგორც ჩანს, აბანოთუბანში ბავშვობის დროინდელი ბოტანიკური ბაღი ეგულებათ და იქ მისვლას არ ჩქარობენ. სხვათა შორის, აქ არც ბიძინა ივანიშვილი გამოჩენილა (ყოველ შემთხვევაში, თანამშრომლებს არ უნახავთ, თუმცა ეჭვობენ, რომ საკუთარი ვერტმფრენით დროდადრო ბაღს გადაუფრენს ხოლმე), მაგრამ "ქართუს" სახით ბოტანიკურს პატრონი გამოუჩნდა და ისიც ნელ-ნელა იბრუნებს პირვანდელ სახეს.







თუ კვალიფიციურ კადრებს არ მივიღებთ მხედველობაში, ივანიშვილს ბაღში პრობლემები უხვად დაახვედრეს. პირველი და უმთავრესი, რაც ამ ტიპის პარკებს ესაჭიროება, ეს სარწყავი სისტემის მოწესრიგებაა. აქ კი მთელი ამ წლების განმავლობაში ცას შეჰყურებდნენ და ელიას მოწყალებას შესთხოვდნენ. დღეს ბოტანიკური ბაღი კვირაში სამჯერ მაინც ირწყვება. დაუცველ ტეროტორიაზე ყველას შეეძლო არათუ შესვლა, არამედ აქა-იქ შემორჩენილი უნიკალური მცენარეების განადგურება ან მოჭრა. ამჟამად ბაღს დაცვაც ჰყავს და ტერიტორიაც, ასე თუ ისე, შემოღობილია, თუმცა აქაურ მცენარეებს ხშირად წააწყდებით ბაზრებსა და ფლორადიზაინის მოყვარულ ოჯახებში. იმ ათი ნაგებობიდან, რომლებიც ბაღშია განთავსებული, ყველას სჭირდება შეკეთება, მათ შორის - მუზეუმის ორსართულიან ნაგებობასაც. გამონაკლისია მხოლოდ ახალი ადმინისტრაციული შენობა. დაახლოებით ასი თანამშრომლიდან ნახევარზე მეტი მუშაა, მაგრამ ამხელა ტერიტორიის მოსავლელად ეს საკმარისი არ არის. საქმეს ართულებს ისიც, რომ აქ შავ სამუშაოს ჩვეულებრივ მუშას ვერ ანდობ, მებაღეობის ინსტიტუტი კი ჩვენს ქვეყანაში თითქმის მოშლილია. ამდენად, აქაურ თანამშრომლებს, კანდიდატებსა თუ დოქტორებს, ხელში ბარი და ნიჩაბი უფრო დიდხანს უჭირავთ, ვიდრე კალმისტარი. "ქართუს" სახსრებითვე (22 000 ევრო) შარშან პოლონეთიდან ახალი ნარგავები ჩამოიტანეს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მცენარეები ადგილობრივ გარემოს კარგად შეეგუენ. სახელმწიფოს ბოტანიკური ბაღის შენახვა წელიწადში 60 000 ლარი უჯდება, "ქართუს" - 25 000 დოლარი. ყველაფერი ერთად იმის საშუალებას იძლევა, რომ დროდადრო ექსპედიციები მოაწყონ და კოლექციები გაამდიდრონ. თუ პოლონეთიდან ჩამოტანილ ექსპონატებს არ ჩავთვლით სათვალავში, ორი წლის წინ ტროპიკული მცენარეები კიევის ბოტანიკური ბაღიდან ჩამოიტანეს - რა თქმა უნდა, უფასოდ. სხვათა შორის, მცენარეების გაცვლა აპრობირებული მეთოდია და დღესაც ბევრი ითხოვს თბილისის ბოტანიკურ ბაღში დაცულ მცენარეებს. გაუმჯობესებული პირობებისა თუ გაზრდილი ხელფასების მიუხედავად (200-300 ლარი) 128 ჰექტარის სათანადოდ მოვლას გაცილებით მეტი სჭირდება. ჩვენ კი ლაპარაკი მხოლოდ იმაზე გვიწევს, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღი განადგურებას გადაურჩა. რა იქნება ხვალ? იმედია, "ქართუ" პირობას არ დაარღვევს. იქნებ დღეს არც კი ღირდეს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ თავის დროზე აკადემიის პრეზიდიუმმა ივანიშვილთან რატომღაც ოცდახუთი წლის ნაცვლად მხოლოდ თორმეტწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ასე რომ, ამ თორმეტი წლის განმავლობაში სტახანოვურად თუ იმუშავებენ, იქნებ თბილისში ჩამოსულ ტურისტებს ბოტანიკური ბაღიც დავათვალიერებინოთ.

## Viola - ახალი გატაცება

უცხო თვალისთვის მცენარეებთან ურთიერთობა სასიამოვნოა - მაგალითად, ორანჟერეაში, სადაც მუდმივი გაზაფხულია და ტემპერატურა პლუს 17 გრადუსზე დაბლა არ იწევს. ეს დღეს, თორემ იმ საშინელი წლების დროს, როცა გათბობაზე ფიქრიც კი უხერხული იყო, ორანჟერეა თითქმის განადგურდა და მხოლოდ სამი წლის წინათ აღსდგა. უკეთესი იქნებოდა გვეთქვა: ყველაფერი ნულიდან დაიწყო. იმ სამ ქალბატონს, რომლებიც ორანჟერეაში მუშაობენ, დილის ათი საათიდან ხუთ საათამდე (აქ სამუშაო გრაფიკს მკაცრად იცავენ) ხელები მიწაში აქვთ ჩაფლული და ფაქტობრივად მუშის გასაკეთებელს აკეთებენ. ზამთარში კიდევ რა უჭირს, მაგრამ ზაფხულობით აქ გაუსაძლისი სიცხე და ტენია, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. აქედან გამომდინარე, წესით მათი ხელფასები უფრო მაღალი უნდა იყოს. წესით, ორანჟერეაც გარემონტებული უნდა იყოს, მაგრამ ერთი კაცი ყველაფერს ვერ გასწვდა, აქაური თანამშრომლები კი იმაზეც მადლობელი არიან, რომ უკვე 1500 დასახელების ტროპიკულ მცენარეს უვლიან. მათი ჰობი ამჟამად იებია და ორანჟერეაც ამ ყვავილის სხვადასხვა სახეობითაა სავსე. მიუხედავად იმისა, რომ მსურველებს ეგზოტიკური მცენარეებით ასაჩუქრებენ, ისეთებიც მოდიან, მოკვდებიან და ერთ-ორ ყვავილს ხელს გააყოლებენ.

მცენარეთა გადარგვის დროს (ეს პროცესი კი აქ მუდმივად მიმდინარეობს), მათი დიდი ნაწილი უადგილობისა და საჭირო რაოდენობის ქოთნების არარსებობის გამო იყრება. არადა, ამ დროს თბილისის მაღაზიებში სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი ქოთნის მცენარეები საკმაოდ ძვირი ღირს და ასორტიმენტიც არც ისე ფართოა. ამას ისიც ემატება, რომ სხვა ქვეყნების სათბურებში გამოყვანილი ქოთნის მცენარე აქაურ პირობებს ძნელად ეგუება და გაცილებით ადრე ჭკნება, ვიდრე ბოტანიკური ბაღის ორანჟერეაში გახარებული. როგორც ჩანს, ყვავილების ბიზნესს საქართველოში გავლენიანი პატრონი ჰყავს და ამ სფეროში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ. იგივე უნდა ითქვას სამკურნალო და გადაშენებულ თუ იშვიათ მცენარეებზეც. რამ გამოიწვია ფლორის ამ სახეობის განადგურება, ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ფონის დამძიმება ამ სფეროსაც დაეტყო. მაგალითად, ბორჯომისა და ბაკურიანის მიდამოებში უმოწყალოდ იგლიჯება უნიკალური მცენარეები, რომლებიც მოგვიანებით ბაზრებში იყიდება. ასევე დაუდგენელია, რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ ტერიტორიის საძოვრებად გამოყენება. შედეგი სახეზეა: "წითელ წიგნში" შეტანილი მცენარეების სია დღითი დღე იზრდება. რაც შეეხება სამკურნალო მცენარეებს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მომრავლებულ "მწვანე" აფთიაქებში მართლა სამკურნალო მცენარეს გვთავაზობენ.

## შორი გზიდან მოუარე

საზოგადოებრივ პარკებსა თუ კერძო კარ-მოდამოებში, იქნებოდა იგი ინგლისური თუ ფრანგული პარკების ანალოგიით დაპროექტებული, ლანდშაფტის არქიტექტურას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. არანაკლებ ყურადღებას იჩენდნენ ამ დარგის მიმართ საბჭოთა კავშირშიც. როგორ გამოიყურება პარკები პოსტსაბჭოთა საქართველოში, ამაზე "24 საათი" ერთხელ უკვე წერდა - არქიტექტურის ამ მნიშვნელოვანი დარგის პრაქტიკულ მხარეზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. არადა, თბილისის ბოტანიკური ბაღი, ისევე როგორც ამ ტიპის სხვა ბაღები, გეოგრაფიული სარტყელების პრინციპითაა გაშენებული, ამდენად ლანდშაფტის გეოგრაფიის პრინციპების დაცვა აქ აუცილებელია. სამწუხაროდ, ამ მხრივ აქ ახალი არაფერი გაკეთებულა, საბედნიეროდ - ძველიც არ განადგურებულა და გიორგი მანაგაძის მიერ ბოტანიკური ბაღის სიღრმეში ჩაკარგული ეგრეთ წოდებული პარტერი დღესაც ხიბლავს ფლორის მოყვარულებს. აქვეა ბამბუკების ცნობილი ხეივანი, სამუზეუმო ექსპონატად დატოვებული ყოფილი ფრანგული ორანჟერეა, ტერასები იშვიათი და გადაშენებული მცენარეებით, ჩანჩქერებზე გადებული ხიდები, ახლადჩაყრილი ნერგები, ეგზოტიკური ფანჩატურები, ნარიყალას ნანგრევები ... სამწუხაროდ, ეს ყველაფერი თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის მიუწვდომელია იმ მიზეზით, რომ ბოტანიკურ ბაღში მისვლა არც ისე იოლია. გვირაბი ასათიანის ქუჩიდან დაკეტილია, ჭრელი აბანოებიდან კი პარკში შესაღწევად ციცაბო აღმართის ავლაა საჭირო. ერთხელ უკვე ვწერდი, რა ბედი ეწია გვირაბს - იგი არ გაყიდულა, ათი წლით გაქირავდა გასართობი კომპლექსის ასამოქმედებლად. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რატომ უნდა უნდოდეს ადამიანს დროზე ადრე მიწაში ჩასვლა და მაინცდამაინც იქ გართობა, მაგრამ თუ ანდერგრაუნდის მუსიკოსის იარლიყს მთელი ცხოვრება ამაყად დაატარებ, ასეთ ადგილას სიმღერა ერთი სიამოვნებაა. ჰოდა, ანდერგრაუნდის მეფემ ლადო ბურდულმა ერთი აქცია უკვე ჩაატარა ამ გვირაბში, მაგრამ არც მაშინ და არც მერე ამ გზით ბოტანიკურში არავინ მოხვედრილა. თავის დროზე მიმტკიცებდნენ, როგორც კი აქაურობა ამოქმედდება, ყველა მსურველს უპრობლემოდ გავატარებთო. გვირაბი კვლავინდებურად დილასაღამოს იღება მხოლოდ თანამშრომლებისთვის. არადა, ბოტანიკური ბაღი მხოლოდ მეიდანზე მაცხოვრებლებისთვის არ გახსნილა, თუ არ ვცდები, ის მთელი ქალაქის საკუთრებაა. რაც შეეხება ახლო-მახლო მაცხოვრებელ მაჰმადიანებს, ისინი აქაურობას ისედაც ხშირად სტუმრობენ, რადგან ბაღის დღევანდელ ტეროტორიაზე მათი სასაფლაო მდებარეობს. აქვეა დასაფლავებული აზერბაიჯანელი მწერალი მირზა ფათალი ახუნდოვი. იქნებ ეს პრობლემა მაინც მოაგვაროს თბილისის მერიამ და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც მოგვცეს იმის საშუალება, რომ ბოტანიკურ ბაღში ხალისით მიგვეჩქარებოდეს.



## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
კიტა ბუაჩიძე
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
პატრიკ ზიუსკინდი
"კონტრაბასი"
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"რობოტები"
დას: 16:00; 18:00 სთ.

"ხერხი"
დას: 20:00; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ზარი2"
დას: 18:00; 22:00 სთ.

"ყველაფერი ალფის შესახებ"
დას: 14:00; 16:00; 20:00 სთ.

### გამოფენები

**ქარვასლა**
**რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები**
ლეონიდ ტიშკოვი
"სოლვეიგი. ჩემი მეხსიერების ლანდშაფტი" - ინსტალაცია

რუსეთის სახელმწიფოს ხალხური ხელოვნების სახლი წარმოაჩენს სანკტ-პეტერბურგის "ქვილთ-კლუბის" გამოფენას "წიგნი დაბადებისა"

სამამულო ომის 60-წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
თაკო შანშიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
საგაზაფხულო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

**ჰობი**
ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

### რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები

**კინოს სახლი**
"მამა" (რეჟისორი: ვალერი ტოდოროვსკი)
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
მოსკოვის მუსიკალური თეატრი "ჰელიკონ-ოპერა"
ი.ს. ბახი "ყავის კანტატა"
დამდგმელი რეჟისორი: ოლეგ ილინი
სცენოგრაფია: იგორ ნეჟნი, ტატიანა ტულუბიევა
მუსიკალური ხელმძღვანელი: ვ. კრიცკოვი

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge


### საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**დოკუმენტური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**ანიმაციური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს:

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge


# ხილული და უხილავი კავშირები ბაირონთან

## როგორ აღნიშნეს ინგლისელი პოეტის გარდაცვალების დღე თბილისში

ვერა ნეფარიძე

*ყველაფერი ბაირონის შესახებ, - ზოგადად, ამგვარად შეიძლება დახასიათდეს გუშინდელი ღონისძიება, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციულ კორპუსში გაიმართა. თბილისში არსებულმა "ბაირონის საზოგადოებამ" ინგლისელი პოეტის გარდაცვალების 184 წლისთავს სემინარით, მის ფონდში დაცული სხვადასხვა ნივთებისა და რარიტეტების გამოფენით და, რაც მთავარია, ახლახან ინგლისში ბაირონის შესახებ გამოცემული ერთტომეულის - "როგორ მიიღო ევროპამ ბაირონი" პრეზენტაციით აღნიშნა.*

ღონისძიებაზე წარმოდგენილი ერთტომეულის ("როგორ მიიღო ბაირონი ევროპამ"), (რომელიც ბრიტანეთში გამოიცა) ისტორია მოკლედ ასეთია: ექვსი წლის წინათ ბრიტანეთის აკადემიამ არაერთ უნივერსიტეტთან და ფონდთან დაიწყო საინტერესო პროექტი, ყოველ დიდ ინგლისელზე მომზადებულიყო კოლექტიური, თეორიული მონოგრაფია, თუ როგორ მიიღო ესა თუ ის ინგლისელი ევროპამ. ბოლო წლებში იდეის ავტორები აქტიურად მუშაობდნენ ევროპის წამყვან ექსპერტებთან. ერთ-ერთი ქართველი ბაირონოლოგის ინესა მერაბიშვილის ნაშრომს, რომელიც წიგნში შევიდა, ჰქვია "თავისუფლება და ქართველი ბაირონი". "ცნობილია, რომ ქართველი ბაირონის ცნება საქართველოში გაჩნდა და ამ ტიტულის ყველაზე დიდი წარმომადგენელი გალაკტიონ ტაბიძე იყო. წიგნებიც არის გამოცემული ამასთან დაკავშირებით, მათ შორის ჩემი ავტორობითაც", - ამბობს ინესა მერაბიშვილი. შესავალში კი, რომელშიც ჩამოთვლილია ევროპის უდიდესი რომანტიკოსები, ჰაინესა და მიცკევიჩის შემდეგ, ჩამონათვალს ბარათაშვილი აგრძელებს. ეს ეპიზოდი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ სულიერი ძაფების არსებობაზე, რაც ბაირონთან ქართველი პოეტების კავშირს ადასტურებს, რაზეც ქალბატონი ინესა ამბობს: "მეც მივყევი ბაირონისა და ბარათაშვილის პარალელებს, რაზეც გურამ ასათიანი მიანიშნებდა. ბარათაშვილმა ბაირონის გენიალური მაზეპა უფრო შორს გაიყვანა და სულიერ ურთიერთობაში წარმოაჩინა; ასევე გალაკტიონმაც ისე განავითარა "მერი", რომ ღვთისმშობლის კატეგორიაში აიყვანა და ბაირონზე მაღლა ავიდა. ეს არის გენიოსების ურთიერთობა და არა იმიტაცია".

რაც შეეხება "ხილულ" კავშირებს, მის საფუძველს ინესა მერაბიშვილმა წლების წინათ ინგლისში, ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში მიაგნო, როდესაც ბაირონის გარდაცვალებისთანავე გამოცემული პოეტის ბიოგრაფიის სამტომეული (რარიტეტი გუშინდელ გამოფენაზეც იყო წარმოდგენილი) წაიკითხა. კერძოდ, მესამე ტომში,



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მეთერთმეტე გვერდზე ნაამბობია ეპიზოდი პოეტის ცხოვრებიდან, როდესაც ბაირონი მონათა ბაზარზე შეხვდა ქართველ ტყვეს, რომლის გამოხსნასაც პოეტი წელიწადნახევარი ცდილობდა; საბოლოოდ, გოგონა ისე გარდაიცვალა, პოეტმა ვერ შეძლო მისი დახსნა. ამგვარად, ქართველმა ექსპერტმა მიაკვლია პასუხს შეკითხვაზე - თუ ვინ იყო ბაირონის ცხოვრებაში ვინმე თირზა, ვის შესახებაც ბაირონი თავის წერილებში საუბრობდა. ამ თემაზე ინესა მერაბიშვილი ექვსი წელიწადია კითხულობს მოხსენებებს და, როგორც თავად ამბობს, ჯერჯერობით საპირისპირო მოსაზრებები არავის გამოუთქვამს.

ხსენებული სამტომეულის გარდა, რომელიც ინგლისშიც დიდი იშვიათობაა, გუშინდელ გამოფენაზე ბევრი ისეთი წიგნი და ნივთი იყო წარმოდგენილი, რომელიც ბაირონის ცხოვრებას უკავშირდება. მაგალითად, უამრავი გამოცემის გვერდით ნახავთ პოეტის ვენეციურ კალამს, ასანთს ბაირონის ტავერნიდან; აქ არის მინიმოდელი მაგიდისა, რომელზეც ბაირონმა შექმნა "ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები", სადაც საქართველოს მოიხსენიებს, როგორც სილამაზის მშობლიურ მხარეს. ამ და ქართველი ბაირონოლოგებისთვის საინტერესო სხვა დეტალებზე გუშინ უფრო დაწვრილებით საუბრობდნენ. ვფიქრობთ, "ბაირონის საზოგადოებამ" (1988 წელს დაარსდა თბილისში, 1990 წლიდან კი საერთაშორისო სტატუსი მიიღო; მისი დირექტორი კი მეათე წელიწადია ბაირონის საზოგადოების (რომელიც 40 ქვეყნის წარმომადგენელს აერთიანებს) დირექტორთა საბჭოს წევრია), პირნათლად შეასრულა მოვალეობა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ბაირონის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების პარალელურად საინტერესო საღამო გაუმართა ბაირონის შემოქმედებით დაინტერესებულებს.

# ვეგეტარიანული მხატვრობა

## ნანა მანჭგალაძე მცენარეებს ახმობს და ბუნებას ხატავს

ია ვეკუა

ვისაც ჰგონია, რომ ხილი და ბოსტნეული მხოლოდ საკვები პროდუქტებია, ხოლო ყვავილები ოთახის გასალამაზებელი ბუნების საჩუქარი, მწარედ ცდება. თუ ამ ნედლეულს კარგად დაამუშავებთ, გაახმობთ, მოხალავთ და დაფქვავთ (მადუღარა დაივიწყეთ!), შეგიძლიათ, თამამად მოჰკიდოთ ხელი მხატვრობას. დიდი ხანია, ნანა მანჯგალაძემ თავისი ბოტანიკური ვნებები ხელოვნებად აქცია და დასათაურებული და მინაჩარჩოში ჩასმული ნამუშევრები საგამოფენოდაც გამოიტანა.

გალერეა "კოპალა" გუშინ ბოტანიკურ ბაღად გადააკეთეს, თუმცა, დროებით, ვიდრე მორიგი ახალბედა მხატვარი მოინდომებს პრეზიდენტის სამეზობლოში მდებარე საგამოფენო სივრცის ათვისებას. ნანა მანჯგალაძეს ბუნება უყვარს და ამის აღიარებას არ ერიდება. ხატავს ტყეს, ყვავილებს, ტბებსა და მასავით ბუნებაზე შეყვარებული ადამიანების მკრთალ ფიგურებს.

"საკუთარ ნამუშევრებზე საუბარს და მათ ახსნას ვერიდები. მსურს, დამთვალიერებელს საფიქრალი დავუტოვო. ალბათ, ამიტომაცაა ეს ნახატები ასე აბსტრაქტული. პეიზაჟი ჩემთვის ცოცხალი არსებაა და თითოეულ მათგანში კონკრეტულ ადამიანებს ვგულისხმობ", - ამბობს ნანა მანჯგალაძე.

პირველი, რაც მის შემოქმედებაში ყურადღებას იპყრობს, ის მასალაა, რომელსაც მხატვარი აქტიურად იყენებს და საკუთარ გამოგონებასაც უწოდებს. ეს მასალა ზოგადად შერეულ ტექნიკად იწოდება, თუმცა, ნანა მანჯგალაძე მის საიდუმლო რეცეპტსაც გვიმხელს: "ჩემ მიერ მოგონილი ტექნიკა ახალი სიტყვაა მხატვრობაში. ეს მეთოდი სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, შემდეგ კი გავიგე, რომ მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. ეს ჩემი ფერებია და მინდა, რომ ბუნება ამ ფერებში იყოს. საღებავს ნებისმიერი სახის მცენარისგან ვამზადებ - ყვავილებს, ხილსა თუ ბოსტნეულს საკუთარი მეთოდით ვამუშავებ: ვახმობ, ვხალავ, ვფქვავ."

ამის შემდეგ საქმეში ალქიმია ერთვება (დაკონკრეტებისგან მხატვარი თავს იკავებს), შედეგად კი განსაკუთრებული ფერისა და ხარისხის საღებავებს იღებს. მანჯგალაძის თქმით, მან უკვე 60-მდე ფერი შექმნა და ძიების პროცესს კვლავ განაგრძობს. "კოპალაში" გამოფენილი ყველა ნამუშევარი რელიეფურია, რაც თურმე მასალის შემადგენლობასა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

და, ალბათ, მცენარეთა სიმწიფეზეცაა დამოკიდებული.

ნანა მანჯგალაძის სამხატვრო ნათლია ზურაბ წერეთელია. დამწყებმა მხატვარმა სწორედ მისი ხელშეწყობით გამართა პირველი გამოფენა. მასვე ეკუთვნის განსაზღვრება "შერეული ტექნიკა".

საკმაოდ საინტერესოა ნანა მანჯგალაძის პრესამხატვრო ცხოვრება. როგორც ირკვევა, იგი პირველი ქართველი ქალი მენეჯერია. დაამთავრა ბიზნესისა და მენეჯმენტის უმაღლესი სკოლა, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისშიც მოასწრო მუშაობა და რუსეთში საქართველოს საელჩოს სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლობაშიც. ერთდროეულად არის რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირისა და ორგანიზაცია "ქართველი ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის" წევრი.

ის, რომ ხატვა შეეძლო, 2000 წელს აღმოაჩინა და იქვე ახალი მასალის გამოგონების უნარიც შეიძინა. პირველი გამოფენის გამართვა მხოლოდ სამი წლის შემდეგ გაბედა და მოსკოველი აუდიტორია საკუთარი შემოქმედებით არაერთხელ გაახარა. საბოლოოდ სამშობლოსაც დაუბრუნდა და ორი წლის განმავლობაში შექმნილი ტილოები გამოფინა.

# იწყება ბიბლიოთეკების კვირეული

გურამ თაყნიაშვილი

*საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი*

28 აპრილს თბილისში ოფიციალურად გაიხსნება ბიბლიოთეკების კვირეული. ასეთი ფართომასშტაბიანი ღონისძიება, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკა მონაწილეობს, მართლაც საჭიროებს ჯეროვან ყურადღებას როგორც მკითხველთა და ინფორმაციის მომხმარებელთა მხრიდან, ისე ბიბლიოთეკების დამფუძნებელთა მხრიდანაც. კვირეულის მიზანია ბიბლიოთეკებისა და საზოგადოებრიობის დაახლოება; ბიბლიოთეკების, როგორც კულტურის, განათლებისა და საინფორმაციო დაწესებულებების როლისა და მნიშვნელობის უფრო მეტად წარმოჩენა. კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკებში გაიმართება ნაირფეროვანი, საინტერესო მასობრივი ღონისძიებები, იქნება შეხვედრები კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და სხვადასხვა სფეროში მომუშავე ცნობილ ადამიანებთან, მოეწყობა წიგნების პრეზენტაციები, ლიტერატურული დისპუტები. საქართველოში, როგორც წიგნიერებისა და განათლების ქვეყანაში, კარგად იციან წიგნისა და ბიბლიოთეკის ადგილი ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. კვირეული ისეთი ფორუმია, როდესაც ბიბლიოთეკა კიდევ ერთხელ ცხადყოფს თავის უნიკალურობასა და ცხოველმყოფელობას ყოველმხრივ განათლებული და ინფორმირებული პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ამ დღეებში ბიბლიოთეკის ცხოვრებით დაინტერესებული ადამიანები ეცნობიან ბიბლიოთეკის პრობლემებს; საზოგადოება გამოხატავს თავის მხარდაჭერას კულტურის ამ დაწესებულებებისადმი, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება ახალისებს ბიბლიოთეკარებს, შესაძლებლობის ფარგლებში ჭრის მათ თანამედროვე პრობლემებს, რომლებმაც ამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად დააკნინეს ბიბლიოთეკების ავტორიტეტი.



კვირეული, ფაქტობრივად, დაწყებულია; წელს ასეთი ღონისძიება მეოთხედ იმართება. მისი ინიციატორია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია; ამ ინიციატივას აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები.

კვირეულს ახალი იმპულსი შეაქვს ბიბლიოთეკების ყოფიერებაში. ღონისძიების მთავარი დევიზია "თქვენი ბიბლიოთეკა", რაც იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკა საზოგადოებისაა, იგი ღია დაწესებულებაა ყველასთვის, ვისაც წიგნი, განათლება, ინფორმაციის მიღება ყოველდღიურ მოთხოვნილებად აქვს ქცეული.

იჩქარეთ, თქვენს ახლომდებარე ბიბლიოთეკებში საინტერესო შეხვედრები, წიგნები, ბიბლიოთეკარები, დიდები და პატარები გელოდებიან. გვერწმუნეთ, ეს დღე დიდხანს დაგამახსოვრდებათ.

# უარი დოკუმენტალისტიკას და ანიმაციას

### კანში კინოკლასიციზმი ბრუნდება

შარშანდელი განწყობისგან წლევანდელ კანს აღარაფერი დარჩება. ამერიკელების პოლიტიკური ექსპანსია, რომელიც ქუენტინ ტარანტინომ გააჟღერა და მაიკლ მურმა განახორციელა, 2004-ს ჩაბარდა. წელს ისევ "არტ ჰაუზის" დრო დადგა - ჯარმუშების, ვიმ ვენდერსების და დევიდ კრონენბერგების.

მოკლედ, მაშინ, როცა თბილისში უმასპინძლებენ ბუშს, ფრანგულ რივიერაზე შვებით დაივიწყებენ მას და მთლიანად კინოხელოვნებით ტკბობას მიეცემიან. ვიმ ვენდერსი, ჯიმ ჯარმუში და დანარჩენები ხომ ტყუილად არ გვიხსენებია. წლევანდელ კონკურსში გაერთიანებული ფილმების სია მართლაც მაცდუნებლად გამოიყურება.

თუმცა, ამ ფილმებზე ქვევით. ქრონოლოგიურად ჯერ 10 მაისია. მართალია, ფესტივალი 11-ში იხსნება, მაგრამ ზუსტად ერთი დღით ადრე პირველად ეწყობა ერთგვარი წინმსწრები ღონისძიება სახელად Rencontre - "შეხვედრა", რაც პირდაპირი მნიშვნელობით, შეხვედრას ნიშნავს და გულისხმობს რეჟისორების თავყრილობას, რომლებიც კინემატოგრაფზე და კინოფესტივალის როლზე იმსჯელებენ. კანის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დასმული პრობლემატური საკითხები დაახლოებით ასეთია: როგორ უნდა ეხმარებოდეს ფესტივალი კინოს შემოქმედებით პროცესში? კმარა თუ არა ამისთვის წლის საუკეთესო ფილმების ჩვენება? როგორ უნდა მოვახდინოთ ფესტივალებზე შერჩეული ფილმების პოპულარიზაცია?

თემები მეტად საინტერესო და აქტუალურია, მით უფრო მაშინ, როცა ამ საკითხებზე ანალიტური უნარით დაჯილდოებული ცნობილი რეჟისორები მსჯელობენ.

ეს მოთელვა იქნება. უკვე 11-ში კი ფესტივალი საქმეს შეუდგება. გამხსნელი ფილმი - დომინიკ მოლის "ლემინგი". შემდეგ - დანარჩენი 19.

სათაურების გადახედვა საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ: კონკურსში არ დაუშვეს არც ერთი დოკუმენტური ფილმი (როგორც შარშან იყო მაიკლ მურის "ფარენჰეიტი 9/11") და არც ერთი ანიმაციური სურათი.

"შარშან გვსურდა, პუბლიკისთვის სწორედ ამ ჟანრების მნიშვნელობა დაგვენახებინა. წელს სხვა ტენდენციებია. წელს, თითქოს, კლასიციზმი ბრუნდება, ბრუნდებიან კინოს დიდი და ცნობილი სახელებიც, რომლებიც ჩვენს საკონკურსო პროგრამაში წინათაც ხშირად გამოჩენილან", - აცხადებს ტიერი ფრემო - საკონკურსო პროგრამის ხელმძღვანელი.

დიდი სახელები თავიანთი დიდი ნამუშევრებით, რომელთა წარდგენასაც აგერ უკვე რამდენიმე



ლარს ფონ ტრიერი და ნიკოლ კიდმანი

აბზაცია გპირდებით, არიან: დევიდ კრონენბერგი, ვიმ ვენდერსი, ლარს ფონ ტრიერი, გუს ვან სანტი, მიხაელ ჰანეკე, ჯიმ ჯარმუში, ამოს გიტაი, ატომ ეგოიანი, რობერტ როდრიგესი... მოკლედ, "არტ ჰაუზის" მთელი ვარსკვლავეთია წარმოდგენილი.

მას შემდეგ, რაც რალფ ფაინსის შესანიშნავი თამაშით კრონენბერგმა "ობობა" შექმნა, სახელი ამ წრეში კიდევ უფრო გაიმყარა. ახლა კანზე ის ვიგო მორტენსენისა და ედ ჰარისის მონაწილეობით წარმოადგენს სურათს "ძალადობის ისტორია", რომელიც სხვა არაფერია, თუ არა - თრილერი. კრონენბერგი დასძენს: "ამერიკაში ჰგონიათ, რომ ომი კარგია. ამის გამო ომი ხშირად ხდება. ამიტომ მოვინდომე გამეკეთებინა წიგნი, რომელიც ცქერას გვასწავლის და აბსტრაქტული ფასეულობების აღქმას".

1997 წლის შემდეგ 8 წელი გავიდა. ზუსტად ამდენი ხნის წინ მონაწილეობდა ბოლოს ვიმ ვენდერსი კანის ფესტივალში. გაცილებით უფრო ადრე კი, 1984 წელს მან ოქროს პალმის რტო მოიპოვა ფილმისთვის "პარიზი, ტეხასი". წელს ის თავის ბოლო ფილმს გააცნობს პუბლიკას. "ნუ მოხვალ დაკაკუნებით" - სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება სურათის სათაური, რომელშიც ჯესიკა ლანჟი და ტიმ როტი თამაშობენ. ვენდერსი ხანში შესული კინოვარსკვლავის ისტორიას მოგვითხრობს და კონკურსსაც ამ თემით ამრავალფეროვნებს.

რაც შეეხება დანიას, იქაურები



ვიმ მენდერსი

კვლავაც ლარს ფონ ტრიერით ამაყობენ და კვლავაც ამ რეჟისორს "გზავნიან" ძალიან პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე. მისი "მანდერლეი" კი ასევე კარგი მსახიობებითაა დახუნძლული: ვილემ დეფო, დენი გლოვერი და ლორენ ბაკალი. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად, ხუთიოდე წლის წინ კი ტრიერმა მთელი კანი აღაფრთოვანა მიუზიკლისთვის "მოცეკვავე წყვდიადში" - ბიორკის მონაწილეობით. შემდეგ იყო "დოგვილი", რომელმაც მწვავე პრობლემატიკით და არატრადიციული ვიზუალური გადაწყვეტით, მკვეთრი შთაბეჭდილებები დატოვა მაყურებელზე, თუმცა პალმის რტოს გარეშე დარჩა. მაშინ ითქვა, რომ "დოგვილით" ლარს ფონ ტრიერი ამერიკულ ტრილოგიას იწყებს. ასე რომ, გამოდის - "მანდერლეი" ტრილოგიის მეორე ნაწილია.

არც ამერიკელი გუს ვან სანტი ითვლება კანში ახალბედად. 2003 წელს მან ფილმისთვის "სპილო" ოქროს პალმის რტო მოიპოვა. მაშინ რეჟისორი სკოლაში მომხდარი მკვლელობის შესახებ გვიამბობდა, ახლა კი წარმოადგენს ფილმს "უკანასკნელი დღეები" და განიხილავს როკმუსიკოსის ბედს, დაახლოებით მუსიკოსისას, როგორიც კურტ კობეინი იყო. როგორც წინასწარ ამბობენ, გუს ვან სანტის მთავარ გმირსა და "ნირვანას" ლიდერს შორის მსგავსება ცხადზე ცხადია.

ბოლოს ჯიმ ჯარმუშის რიგიც დადგა. კანში ის "დამსხვრეული ყვავილებით" ჩადის და თან ჩაჰყავს "თარგმანში დაკარგული" ბიულ მიურეი, რომელიც ამჯერად მამის როლს თამაშობს. მამის, რომელიც ამერიკაში მოგზაურობს, რათა იპოვოს შვილი, რომლის არსებობის შესახებაც არაფერი იცოდა.

საკონკურსო ოც ფილმში კიდევ ორიოდე სახელი იპყრობს ყურადღებას: ჰოლივუდელი მსახიობი ტომი ლი ჯონსი, ყოფილი "კაცი შავებში". ამჯერად ის რეჟისორის ამპლუაში გვევლინება და წარმოადგენს თავის სადებიუტო ფილმს "მელქიადეს ესტრადას სამი დაკრძალვა". ფილმში ტომი ლი ჯონსი თვითონაც თამაშობს.

კონკურსშია ჩართული რობერტ როდრიგესიც, ფილმით "ცოდვის ქალაქი", რომელშიც ბრუს უილისი მონაწილეობს.

ამ აღიარებულ სახელებს შორის რამდენიმე აზიელი რეჟისორიც გვევლინება. აქვეა ერაყელი ჰინერ სალემიც სურათით "კილომეტრი ნული".

ამ ფილმებსა და სახელებს შორის კი ყველაზე ღირსეული ტრადიციულად უნდა აირჩიოს კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელსაც ცნობილი ბოსნიელი რეჟისორი ემირ კუსტურიცა უხელმძღვანელებს. თუმცა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის ჟიურის წევრების ვინაობა - ამით კი ტრადიცია აშკარად დაირღვა და საკონკურსო ფილმების გამოცხადებისთანავე პირველად არ გაირკვა ჟიურიში შემავალი სპეციალისტები სახელებიც.

ერთი სიტყვით, კანი წელს ნამდვილად კინოს ზეიმი უნდა იყოს და არა კომერციის. თუმცა, კომერცია თავის სიტყვას მაინც იტყვის. ჯორჯ ლუკასი - არასაკონკურსო პროგრამაში თავის ფინანსურად სუპერწარმატებულ "ვარსკვლავეთის ომების" ბოლო სურათის პრემიერას გამართავს და ფანების გულსაც მოიგებს. თუმცა, ამჯერად მიზანი უფრო ამბიციური აქვს. არა მარტო ფანების, არამედ კრიტიკოსების გულის მოგებაც. მან ხომ საკუთარი ქმნილება ასე შეაფასა: "ჩემი ფილმი ეს იგივეა, რაც "ტიტანიკი" კოსმოსში". ასეა თუ ისე, ფაქტია, "ვარსკვლავეთის ომების" სანახავად 1977 წლის შემდეგ მოყოლებული მსოფლიოს მასშტაბით 3.4 მილიარდი დოლარის ბილეთები გაიყიდა.

11 მაისს გახსნილი კანის კინოფესტივალი კი 22 მაისს დასრულდება. ამ დღეს გამოვლინდება ოქროს პალმის რტოს მფლობელი ფილმი და დანარჩენი გამარჯვებულებიც. თუმცა, უკვე ცხადია, რომ ტრიუმფატორებს შორის ნაკლებად იქნებიან ამერიკელები. შარშან ხომ "ფარენჰეიტი 9/11", "შრეკი 2" და Ladykillers ითვლებოდნენ კანის ყველაზე მეტად სანახაობრივ ფილმებად. წელს ვნახოთ, ვის აირჩევს ემირ კუსტურიცას გუნდი.

სამსონ ლეჟავას სვეტი

## სახლი დიუმას ქუჩაზე - მხატვართა და არქიტექტორთა

### შთაგონების წყარო



ამა თუ იმ ნაგებობის მნიშვნელოვანება როდი შემოიფარგლება მხოლოდ თავისთავადი ხუროთმოძღვრული ღირსებით - საქმე ისაა, რომ მათ შორის არაერთგზის გვხვდება ისეთებიც, რომელნიც ძლიერ ინსპირატორად იქცა სხვათა შემოქმედებისთვისაც. მათში დაუნჯებული სულიერი ინფორმაცია ესწრაფვის გავრცობას, საკუთარ "საზღვართა" გადალახვას. ამიტომაც არის, რომ სახლი დიუმას ქუჩაზე, 13 ნომერში, უდიდეს ინტერესს აღძრავდა მხატვართა და არქიტექტორთა წრეებში, როგორც გამორჩეული, არაორდინარული ფენომენი. თუკი ნიკოლოზ სევეროვი, ქართული ხუროთმოძღვრების გამოჩენილი მკვლევარი, და თავადაც - ამ უზარმაზარი ტრადიციის გამგრძელებელი, ყურადღებას მიაპყრობდა დიუმას ქუჩაზე ამ შენობის სპეციფიკურ ტექტონიკას, მხატვარი დავით გველესიანი დაინტერესდა ამჟამად კალისტრატე ცინცაძის ქუჩის მხარეზე - აივნის მორთულობის ფილიგრანულობით და მისი შინაგანი ლოგიკით; ბრწყინვალე ფერმწერი ალექსანდრე ციმაკურიძე იმავე აივნის ფაქიზმა ცხოველხატულობამ მიიზიდა; მასვე შეისწავლიდა თბილისის ცნობილი მკვლევარი თენგიზ კვირკველია.

უბანში, სადაც ეს სახლია აღმართული, არაერთი საგულისხმო ძეგლი გვხვდება, მაგრამ მთელი დედაქალაქის მასშტაბით, დიუმას ქუჩა N.13, პირველხარისხოვანთა რიგში მდგომია.

დავიწყოთ იმით, რომ მისი ორი მხარე ნათელყოფს დიდად თავისებურ, ძველი თბილისისათვის დამახასიათებელ მრავალსახოვანებას, ფასადთა სახეცვალება - მეტამორფოზულობას, ანუ აქ ერთი ნაგებობაც (ამ შემთხვევაშიც, და კიდევ ბევრგან) "მრავალგანზომილებიანია", ხანდახან მრავალფასადური (გიორგი მარჯანიშვილი), თანამედროვე ტერმინოლოგიით - პოლიტექსტუალური. თუკი კალისტრატე ცინცაძის ქუჩიდან უპირატესობას ძველთბილისური რიგის "ორიენტალურობა" იძენს, დიუმას ქუჩაზე პირიქითაა. აქ უკვე იერცვლილი კლასიციზმი წარმოადგენს ორიენტირს. ასეთი დინამიკური თამაშის პრინციპი, გამოვლენილი ორიგინალური დედაქალაქური ვერსიით, შთამბეჭდავია და ჩვენი კულტურის გახსნილ ხასიათზე მეტყველებს. შესაბამისად ეს სახლი ერთ-ერთი გასაღებია ტრადიციული სამყაროს სურათის ჩასაწვდომად.

შენობას მნიშვნელოვანებას ჰმატებს ძველი სარდაფი, რომელიც ამ ძეგლს გვიანფეოდალური ხანის გამოცდილებას უკავშირებს, თუმცა იგი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის. სარდაფი აძლიერებს შენობის "კულტურულ ტევადობას".

და მაინც, ალბათ ყველაზე არსებითი, მეორე სართულის მუშარაბიანი აივანია. ის უმაღლესი ოსტატობით, ყოველი დეტალის ზედმიწევნითი დამუშავებით, ნიუანსთა სიმდიდრითა და ორნამენტთა ხატოვანებით - უნიკალურია. იგი თითქოსდა ითხოვს ყურადღების მიპყრობას, მაგრამ ამაოდ: სამწუხაროა, რომ დედაქალაქის მესვეურნი ვერ იცლიან კულტურისათვის, თვალს არიდებენ მას, უმეხსიერებო სივრცედ ქცევისაკენ მიაქანებენ ოდესღაც ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს...

შესაძლოა, ეზოს აივნის მუშარაბიანი ნაწილი სპარს (ალბათ ადგილობრივ, თბილისელ) ოსტატთა მიერაც იყო შესრულებული, თუმცა გადამწყვეტია, რომ თბილისური ხუროთმოძღვრების ზოგადი თვისობრიობა, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანის ამ შენობაშიც, სრულად არის გამოვლენილი.

აღსანიშნავია, რომ არსებობს ამ ნაგებობის რესტავრაცია-ადაპტაციისათვის გამიზნული, საკმაოდ დეტალური საპროექტო წინადადება, რომელიც არქიტექტორ ილო საბანაძეს ეკუთვნის. ისიც ცნობილია ჩემთვის, რომ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო სახლის აღდგენით დაინტერესებულია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყოველი დღე შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, მით უმეტეს, რომ შენობის ავარიულობა საგანგაშოა. უკვე სრულებით აუცილებელია და გადაუდებელიც შემორჩენილ, ძალზე შებღალულ, აუთენტურ დეტალთა ჩამოხსნა და გადანახვა აღდგენით სამუშაოთა განხორციელებამდე.

**P.S.** აქ წარმოდგენილი ნახატი შეასრულა არქიტექტორმა მაია მანიამ.

# ლამაზი და დაფასებული მხატვრობა გერმანიიდან

### თბილისში ბერნდ შვარცერი ჩამოდის

ვერა ნეფარიძე

*გუშინ ეროვნულ გალერეაში გერმანელი მხატვრის ექსპოზიცია დააბინავეს. თავად ავტორი, ბერნდ შვარცერი, 25 აპრილს გერმანელ დიპლომატებს ჩამოჰყვება; მისი ნამუშევრები კი ეროვნულ გალერეაში რამდენიმე დღით ადრე გამოიფინება.*

ბერნდ შვარცერი "დაფასებული" ხელოვანების კატეგორიას მიეკუთვნება. ყოველ შემთხვევაში, როგორც მისი თბილისელი მეგობრები და კოლეგები ამბობენ, ის დღესდღეობით გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ფერწერული ტილოების ავტორია. ალბათ ამიტომაცაა, რომ ხელოვანი თბილისში გერმანელ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს ჩამოჰყვება.

რამდენიმე თვეა, ბერნდ შვარცერთან აქტიურად თანამშრომლობს თბილისელი მხატვარი გია გურასპაშვილი, რომელსაც გერმანიასა და ევროპის სხვადასხვა ქალაქში უფრო იცნობენ, ვიდრე თბილისში. 12 წელიწადია, ევროპაში მოღვაწეობს. იქ აქვს შექმნილი და გაყიდული ათას ხუთასამდე ნამუშევარი; სამშობლოში ვერ მუშაობს და მიზეზებზე საუბარსაც ერიდება. მოქანდაკესა და ფერმწერს, 1989 წლის შემდეგ აღარ ჰქონია გამოფენა, მას შემდეგ, რაც ცნობილმა გერმანელმა გალერისტმა რალფ პლაინმა ქართველ მხატვრებს 28 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიაღებინა მნიშვნელოვან გამოფენა-ბიენალეში. იმის მიუხედავად, რომ გია გურასპაშვილი ჯერჯერობით ვერც კი გეგმავს მოღვაწეობის თბილისში გაგრძელებას, მხატვარი საქართველოსთან შემოქმედებითი კავშირების აღდგენას ცდილობს. როგორც თავად გვითხრა, მისი სურვილით მოხდა სამი წლის წინათ იმენ დორფის გამოფენის ორგანიზება; ახლაც ერთადერთი საკონტაქტო პირი, ვისაც შვარცერის ექსპოზიციის დაბინავებისას მიაკითხეს საგარეო საქმეთა სამინისტროდან, გია გურასპაშვილი იყო.

ქართველი მხატვარი დიდი ხანია, იცნობდა ბერნდ შვარცერს, თუმცა, დაუახლოვდა შარშან, რალფ პლაინის მეშვეობით (შვარცერთან საქმიანი კონტაქტები აქვს "ქარვასლის" გალერეის მენეჯერს ლიკა მამაცაშვილსაც). სწორედ მაშინ გადაწყვიტეს შვარცერმა და გურასპაშვილმა, "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს კიევში გამგზავრებულიყვნენ. "პირველად ვიყავი კიევში. წარმოუდგენლად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქმა და მთელმა უკრაინამ. დიდი სიხარულის მონაწილენი ვიყავით. ეს იყო უზომოდ დიდი ბედნიერება; ყველა ადამიანი კეთილი და სტუმართმოყვარე იყო", - იხსენებს ქართველი მხატვარი. რევოლუციაში ერთკვირიანი მონაწილეობის შემდეგ, მხატვრები გერმანიაში დაბრუნდნენ და შთაბეჭდილებების ტილოზე გადასატანად დაიწყეს მუშაობა. ერთობლივი იდეა, ალბათ, უკრაინაში განხორციელდება ერთობლივი გამოფენით. ყოველ შემთხვევაში, საუბარი კულტურის მინისტრთან უკვე შედგა და პროექტსაც, ერთი შეხედვით, ხელს არაფერი შეუშლის. თუმცა, როგორც ქართველი მხატვარი ამბობს, მისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს: "მთავარია, რომ ერთად დავინახეთ და განვიცადეთ ის, რაც კიევში ხდებოდა. და დავინახეთ აბსოლუტურად სხვადასხვანაირად". რაც შეეხება შვარცერის ექსპოზიციის ჩამოტანის მნიშვნელობას, ამის შესახებ გერმანელი კოლეგისა და მეგობრის შესახებ ბატონი გია ამბობს, რომ ამ გამოფენის ნახვით ქართველი დამთვალიერებელი კიდევ უფრო განათლდება: "შვარცერი გერმანიაში ერთ-ერთი დიდი და გავლენიანი მხატვარია. ძალიან დიდი გამოფენა ჰქონდა პეტერბურგის ერთ-ერთ მუზეუმში. იმ კატეგორიის მხატვართა რიცხვს ეკუთვნის, ვინც მუშაობენ მაღალ საზოგადოებასთან, მთავრობასთან. მათი ნამუშევრები ძვირად იყიდება. შვარცერი დგას ისეთი სახელების გვერდით, როგორებიც არიან: პენკი, ლუპეცი, იმენ დორფი... შვარცერის ხელოვნება ძალიან ლამაზია".



ლიკა მამაცაშვილი ბერნდ შვარცერთან (მარცხნივ) და რალფ პლაინთან ერთად

## სასიყვარულო კომედია ტბის პირას



კინოსტუდია "უორნერ ბროსმა" გარემოს დამცველების გული მოიგო. მათი ახალი პროექტი ხომ კუკის საგრაფოს ნაკრძალში ტბის დაცვასა და გაწმენდას ითვალისწინებს. საქმე ის გახლავთ, რომ რომანტიკული კომედიის რამდენიმე დიდ ეპიზოდს, რომელშიც კეანუ რივზი და სანდრა ბალოკი ითამაშებენ, ტბა მეიფლის ნაპირას გადაიღებენ, ჩიკაგოსთან ახლოს.

კინოსტუდია გადაღებების უფლების მოპოვებისთვის 100 ათას დოლარს გადაიხდის. გარდა ამისა, 40 ათასი დოლარით დააფინანსებს სანაპიროს გაწმენდისა და წყლის მცენარეების დარგვის პროცესსაც.

ფილმი, რომელსაც "ილ მარე" ჰქვია, დიდ ეკრანზე 2006 წელს გამოვა. ზემოთ ხსენებული ტბის გარდა, გადაღებები ჩიკაგოს ათასწლეულის პარკში გაიმართება.

რაც შეეხება კეანუ რივზსა და სანდრა ბალოკს, ეს "სიჩქარის" შემდეგ მათი მორიგი დუეტი იქნება. ფილმის ჩანაფიქრი ისევ რომანტიკულია. პროდიუსერები კი სწორედ იმ გარემოებაზე დებენ ფსონს, რომ ბალოკსა და რივზს რომანტიკული წყვილების შექმნა კარგად გამოსდით ხოლმე, თანაც ორივე - მძაფრსიუჟეტიან და კომედიურ სიტუაციებშიც. ასე რომ, ვნახოთ, როგორი სასიყვარულო კომედია გათამაშდება ამჯერად მშვენიერი მეიფლის ტბის პირას.

მოკლედ

## სწრაფად მოვიგოთ პრემიერლიგა



ლონდონის "ჩელსის" მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს სურს, რაც შეიძლება, სწრაფად მოიგოს ინგლისის პრემიერლიგა, რათა მთლიანად ჩემპიონთა ლიგის ტურნირზე გადაერთოს. სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, პორტუგალიელმა ფეხბურთელებს მოუწოდა, ქვეყნის ჩემპიონატი უახლოეს პერიოდში მოიგონ.

"ძალიან მინდა, რომ ბიჭებმა პრემიერლიგა, რაც შეიძლება, სწრაფად მოიგონ, რათა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ამოსუნთქვის საშუალება ჰქონდეთ. ჩვენ ხომ წლევანდელ სეზონში ოთხ სხვადასხვა ტურნირში უკვე 54 მატჩი გავმართეთ", - განაცხადა მოურინიომ.

ოთხშაბათს "ჩელსი" სატურნირო ცხრილში თავის უახლოეს მდევარს ლონდონის "არსენალს" ხვდება. თუ "არისტოკრატები" მოიგებენ, მაშინ მოურინიოს გუნდს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად დარჩენილ ხუთ შეხვედრაში ორი ქულაც ეყოფა.

ინგლისის ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი ტურით ადრე "ჩელსი" 81 ქულით ლიდერობს გათამაშებას, მაშინ, როცა მისი უახლოესი მდევარი "არსენალი" ლიდერს 11 ქულით ჩამორჩება. პირად შეხვედრაში კი გამარჯვებაზე "არისტოკრატების" შანსი საკმაოდ მაღალია, რადგან შეიძლება ვერ ითამაშონ ტიერი ანრიმ და ფრედერიკ ლიუნგბერგმა, რომლებსაც ტრავმა აქვთ.

## არმსტრონგი "ტურის" შემდეგ წავა




სახელგანთქმულმა ამერიკელმა ველომრბოლმა ლენს არმსტრონგმა განაცხადა, რომ ზაფხულში "ტურ დე ფრანსის" მრავალდღიან ველორბოლაში მონაწილეობის შემდეგ ის სპორტულ კარიერას დაასრულებს.

"წასვლაზე ბევრი ვიფიქრე, - აღიარა 33 წლის სპორტსმენმა, - ყველაზე დიდი სტიმული ჩემი გადაწყვეტილების მისაღებად შვილებმა მომცეს. ისინი ხელს მიწყობენ, რომ კარიერის დასასრული იოლად გადავიტანო. სწორედ მათ მითხრეს, რომ დროა, სახლში დავბრუნდე. ბოლოს და ბოლოს, ყველა ათლეტი ოდესმე მიდის. უკვე 14 წელიწადია, ამ საქმეს ვემსახურები. პროფესიონალად კი, 20 წელია, ვითვლები. უბრალოდ, სხეულსაც არ შეუძლია, ამდენი იშრომოს, იშრომოს და იშრომოს".

ლენს არმსტრონგი ერთადერთი მრბოლია, რომელმაც "ტურ დე ფრანსი" ექვსჯერ მოიგო. ივლისში Discovery Channel-ის გუნდის შემადგენლობაში ის მეშვიდედ შეეცდება, მოიგოს ყველაზე პრესტიჟული ველორბოლა, რომლის საერთო მანძილი 3,5 ათასი კილომეტრია. ეს მანძილი სპორტსმენებმა 23 დღის განმავლობაში უნდა დაფარონ. "გამიმართლა და ეს რბოლა 6-ჯერ მოვიგე. დარწმუნებული არ ვარ, რომ ამჯერადაც გამომივა, მაგრამ მცდელობას არ დავაკლებ" - განაცხადა არმსტრონგმა.

საუბარი იმის შესახებ, რომ არმსტრონგი სპორტიდან წასვლას აპირებს, ბოლო თვეების განმავლობაში მას შემდეგ გამძაფრდა, რაც სპორტსმენმა არაერთხელ განაცხადა, რომ სურს, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს თავის სამ შვილთან.

ამას გარდა, ველომრბოლს სურს, თავისუფალი დრო მიუძღვნას მის მიერ დაარსებულ ფონდს, რომელიც ეხმარება ონკოლოგიურ ავადმყოფებს მკურნალობაში. აღსანიშნავია, რომ კიბოს დიაგნოზი თავად არმსტრონგსაც დაუსვეს, მაგრამ სპორტსმენმა ავადმყოფობა დაამარცხა.

არმსტრონგისთვის "ტურ დე ფრანსი" გახდება ბოლო, მაგრამ არა ერთადერთი ტურნირი. ის ჩაება ტურნირში "ტურ დე ჯორჯია", რომელიც ამერიკის ჯორჯიის შტატში ექვსი დღის განმავლობაში გაიმართება. ამ ტურნირის ფარგლებში 1042 კილომეტრის დაძლევას სპორტსმენი განიხილავს, როგორც "ტურ დე ფრანსისთვის" მზადების პროცესს.

რაგბი

# მსოფლიომ ადგილი მიგვიჩინა

პაატა თოთაძე

საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრები ელიტური A ჯგუფიდან გავარდა. ამის მიზეზი სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველ მორაგბეთა ზედიზედ ხუთი მარცხი გახდა.

მოსალოდნელი იყო თუ არა ასეთი შედეგი? რომ ვთქვათ, არაო, არ ვიქნებით მართალი. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ უეჭველად ასე უნდა მომხდარიყო. ყველაფერი ირლანდიასთან მარცხით დაიწყო. ეს იყო მატჩი, რომელშიც ნაკრების თავკაცის, ლევან მაისაშვილის თქმით, გუნდს, ნორმალური ნახევარმცველი რომ ჰყოლოდა, წარმატების მიღწევა შეეძლო. მოხერხება უნდა, უპირატესობას ფლობდე და თამაში მშრალზე წააგო. არადა, ამბობენ, სწორედ ასე იყოო - 16:0 წავაგეთ ირლანდიასთან. მეორე მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იყო. ეს გუნდი ირლანდიელებზე ძლიერი არ იყო, მაგრამ უარესად შევრცხვით - 48:0. ეს ქართველთა უარესი თამაში იყო ამ ტურნირზე. გუნდმა პირველ ტაიმში შეტევაც ვერ შეძლო, მეორეში კი მოახერხა ერთი-ორჯერ მეტოქის ნახევარზე გადასვლა, მაგრამ განა ეს საკმარისია?

დავმარცხდით მესამე მატჩშიც. მეტოქედ ამჯერად უკვე არგენტინის ნაკრები გვყავდა. ამ მატჩამდე ორივე გუნდს ორ-ორი წაგება ჰქონდა და გამარჯვების შემთხვევაში შანსი გვეძლეოდა, შუა ოთხეულში მოვხვედრილიყავით, ანუ მე-5-მე-8 ადგილებისთვის გაგვეგრძელებინა ბრძოლა, მაგრამ... 26:6 - ასეთია მატჩის შედეგი სამხრეთამერიკელთა სასარგებლოდ. ამ შემთხვევაშიც უპირატესობა ჩვენს გუნდს ჰქონდა, მაგრამ მაინც წავაგეთ. საერთოდ, რაღაც გაუგებარი რამ ხდებოდა სამხრეთ აფრიკაში. თითქმის ყველა მატჩში უპირატესობას ვფლობდით და მაინც წავაგეთ. მწვრთნელთა თქმით, მთავარი მიზეზი ნახევარმცველთა სუსტი თამაშია. ვერც ერთმა მათგანმა ვერააწყო თამაში და ვერც უკანა ხაზი აათამაშა. უამისოდ კი აბა რას მოვიგებდითო. აქედან გამომდინარე, რაში გამოიხატება ჩვენი უპირატესობა, ცოტა გაუგებარია. მხოლოდ იმაში, რომ შერკინებას ბურთი იმათ 22-მდე ან სადმე მის მახლობლად მიჰქონდა? ყველაფერი ისევ მწვრთნელებამდე მიდის - არ გვყავს კარგი ნახევარმცველი, არ გვყავს კარგი უკანა ხაზი. გვყავს მარტო შერკინება, მართო ამით კი წარმატება არ მიიღწევა. მხოლოდ ლევან მაისაშვილზე არაა საუბარი. კლუბები ვერ ზრდიან მაღალი კლასის მოთამაშეებს. ამიტომ რაგბის კავშირმა უპირველესად ამაზე უნდა იზრუნოს. პლეი-ოფში იგივე გამეორდა - შოტლანდიასთან უპირატესობა გვქონდა ბურთის ფლობის მხრივ, მაგრამ საქმე რეალურ წარმატებამდე არ მისულა. ყველაფერს დაემატა დაცვაში სუსტი თამაში, ანუ გუნდმა არ იცის, როგორ დაიცვას თავი. ამდენი შეცდომა, ჩვენ რომ დავუშვით დაცვაში (და შეტევაშიც), დანარჩენებს ერთად არ დაუშვიათ. შოტლანდიასთან წაგების შემდეგ (32:10) ბოლო იმედად იაპონიის დამარცხება დაგვრჩა.



სიმართლე რომ ითქვას, ამისი ნაკლებად მჯეროდა უბრალო მიზეზის გამო - იაპონია საქართველოს ნაკრებზე კარგი გუნდია.

ასეც მოხდა - 24:0 და საქართველო ელიტურ A ჯგუფს დაემშვიდობა. მომავალ წელს B ჯგუფში მოგვიწევს თამაში და უძლიერესთა შორის ადგილის მოპოვება. ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, მაგრამ დასკვნები კი უნდა გამოვიტანოთ, რასაც, იმედია, სწორად გააკეთებენ სადაც საჭიროა და მომავალში უკეთეს შედეგს მივაღწევთ. ისე კი, ერთიც სათქმელია. რაგბის კავშირი რომ ეროვნული გუნდისთვის ახალი მწვრთნელის ჩამოყვანას აპირებს, ცნობილი ამბავია. ჰოდა, კარგი იქნება, იმ ახალ მწვრთნელთან ერთად ვინმე ისეთიც ჩამოვიდეს (ანუ ჩამოიყვანონ) საქართველოში, ახალგაზრდა მორაგბეებს რომ მიხედავს და ეროვნულის მწვრთნელთან ერთად კომპლექსურად იმუშავებს. მოთამაშეებისგან არაერთხელ გამიგია, საფრანგეთში სრულიად განსხვავებული ვარჯიშები გვქონდა, სულ სხვა დონეა, ძალიან ბევრი გვქონდა სასწავლიო. ახალგაზრდებთან კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელის მუშაობის შემთხვევაში კი ამას ავცდებით.

ეს იქნება ინვესტიცია ქართული რაგბის უკეთესი მომავლისთვის.

ფეხბურთი

# პენსიონერები

მაშინ, როცა ორი უმაღლესი კატეგორიის ელიტარული მსაჯი პიერლუიჯი კოლინა და კიმ მილტონ ნილსენი ასაკის გამო კარიერის უკანასკნელ სეზონს ატარებენ, საფეხბურთო სამყაროში მიმდინარეობს დებატები, თუ რომელ ასაკში უნდა გავიდნენ მსაჯები პენსიაზე.

თუ არაფერი შეიცვალა, პიერლუიჯი კოლინასა და კიმ მილტონ ნილსენის კარიერა დეკემბერში დასრულდება, როცა ორივეს 45 წელი შეუსრულდება. თუმცა, ბოლო დროს მსაჯებმა საკმაოდ დახვეწეს თავიანთი ფიზიკური მდგომარეობა და ამიტომ სპეციალისტები ბჭობენ იმაზე, რომ კრიტიკული ზღვარი ცოტათი გადაწიონ, რათა არ დაკარგონ ევროპული ფეხბურთის ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფიგურა.

კოლინას კარიერის პიკი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იყო, რომელიც კორეა-იაპონიაში გაიმართა. მაშინ მას ფინალური მატჩის მსაჯობა ანდეს, რომელშიც ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრები გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ამას გარდა, იტალიელს უმსაჯია 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის გახსნით მატჩში, 1996 წლის ოლიმპიური თამაშებისა და 1998-1999 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ფინალებში.

ბევრი სპეციალისტის აზრით, კოლინა ძალიან კარგია იმისთვის, რომ სამუდამოდ დაემშვიდობო. ნათელია, რომ ის ძველებურად ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯია მსოფლიოში. უფრო მეტიც, ყოველ წელს კოლინა პროგრესს განიცდის. იტალიის მსაჯთა კავშირი აქტიურად ლობირებს იმ საკითხს, რომ რაც შეიძლება გაიზარდოს მსაჯთა მოღვაწეობისთვის დასაშვები ასაკობრივი ზღვარი და მათ 48 წლამდე მიეცეთ მუშაობის უფლება. თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალ წელს კოლინას სასტვენის ხმას ვეღარ გავიგონებთ. "წესი ყველას ეხება, მათ შორის მეც, - განაცხადა კოლინამ, - რა თქმა უნდა, ასეთ რეგლამენტზე კამათი შეიძლება, რადგან ფიზიკური ფორმა პასპორტში აღნიშნულ ასაკთან ყოველთვის თანხვედრი როდია, მაგრამ ამ დრომდე ამ წესის წნეხის ქვეშ ყველა მსაჯი მოექცა და ისინი იძულებული იყვნენ, ახალგაზრდებისთვის დაეთმოთ გზა".

ევროპული ფეხბურთისთვის არანაკლებ დიდი დანაკლისი იქნება ნილსენის წასვლა. ის პირველი მსაჯია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში 50 მატჩი იმსაჯა. ნილსენი არ მალავს, რომ დიდი სიამოვნებით განსჯიდა უმაღლესი დონის შეხვედრებს. "მსაჯთა სამყაროში ასაკობრივი ზღვარი უაღრესად რთული თემაა", - განაცხადა დანიელმა.



"რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ წლევანდელი სეზონი ბოლო იქნება ჩემს კარიერაში. ამ სამუშაოს შესახებ ხომ უამრავი შესანიშნავი მოგონება დამრჩება, - ამბობს ნილსენი, - თუმცა, თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, უნდა ვაღიარო, რომ ჩემი სხეული ახლა უფრო იღლება, ვიდრე ადრე. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი, რადგან მე მატჩებს 1988 წლიდან ვემსახურები. ამის მიუხედავად, თუ საშუალება იქნება, მე მაინც მსურს კარიერა გავაგრძელო".

პორტუგალიელი მსაჯი ლუსილიუ ბატიშტა ამბობს, რომ კოლინასა და ნილსენს საშუალება უნდა მიეცეთ, 45 წლის ასაკის შემდეგად იმსაჯონ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფიზმომზადებაში ნორმატივებს ჩააბარებენ. "კოლინა და ნილსენი უმაღლესი კატეგორიის მსაჯები არიან და მათ ორი-სამი წელი თავისუფლად შეუძლიათ იმსაჯონ, - განაცხადა ბატიშტამ, - ისინი შესანიშნავ ფორმაში იმყოფებიან".

"ამავე დროს საჭიროა, თავის გამოჩენის შანსი მიეცეთ ახალგაზრდა არბიტრებსაც, - დაამატა პორტუგალიელმა, - ვფიქრობ, რომ ფიზმომზადების ტესტები ყოველწლიურად უნდა ჩავაბაროთ და ამით შევამოწმოთ 45 წლის ასაკის მსაჯთა მოღვაწეობის ხარისხი. ვფიქრობ, უეფა და ფიფა ყაბულს იქნებიან, რომ ამ ხალხს მსაჯობის გაგრძელების ნება დართოს". თუმცა, როგორც არ უნდა გაგრძელდეს მოვლენები, კოლინა და ნილსენი ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მსაჯებად დარჩებიან.

# „სიკვდილის მატჩად" შერაცხული საქმე დახურულია

*საგამომძიებლო კომისიის მიერ საბოლოოდ დაიხურა საქმე "სიკვდილის მატჩად" შერაცხული საფეხბურთო შეხვედრისა, რომელიც უკრაინელ ფეხბურთელებსა და ფაშისტურ გერმანიას შორის 1942 წლის ზაფხულში შედგა. საქმე ისაა, რომ გაგანია მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინელებსა და გერმანელებს შორის ჩატარებულ საფეხბურთო მატჩთან დაკავშირებით ჰამბურგის პროკურატურამ 1974 წელს საქმე აღძრა.*

ჰამბურგის პროკურატურის პრეს-მდივნის რიუდეგერ ბაგერის თქმით, საგამომძიებლო კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა როგორც უკრაინელების მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია, ისე გერმანული ტელევიზიის ARD-ის პირველი არხის გადამღები ჯგუფისგან ამოღებული მასალებიც.

"გერმანიის იუსტიციის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ ესაუბრათ თვითმხილველებთან, რომლებიც ისტორიული მატჩისას ბავშვები იყვნენ", - ერთ-ერთ რადიოსადგურთან საუბარში განაცხადა ბაგერმა.



*"სიკვდილის მატჩის" მოთამაშეები.*

კიევის "სტარტსა" და ვერმახტის გუნდის "ფლაკელფს" შორის შემდგარი შეხვედრა, რა ხანია, ისტორიაში შევიდა. გერმანელთა და უკრაინელთა მატჩი, რომელიც 1942 წლის აგვისტოში გერმანელების მიერ ოკუპირებულ კიევში შედგა, უკრაინელთა გამარჯვებით - 5:3 დასრულდა..

ისტორიკოსთა მონაცემებით, ისტორიული შეხვედრიდან რამდენიმე კვირაში კიევური გუნდის ოთხი მოთამაშე დააკავეს და შემდეგ მოკლეს.

საკმაო ხნის განმავლობაში გერმანიის იუსტიცია მატჩთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებდა, იკვლევდა ფეხბურთელთა დაღუპვის მდგომარეობას. ახლახან კი გამომძიებლებმა საქმე დახურეს. კერძოდ, გერმანელმა გამომძიებლებმა შეძლეს გამოეაშკარავებინათ უკრაინელ ფეხბურთელთა სიკვდილის მიზეზები.

"შევძელით გაგვერკვია, რომ მოთამაშეები ნიკოლაი ტრუსევიჩი, ივან კუზმენკო და ალექსეი კლიმენკო თამაშიდან დიდი ხნის შემდეგ დაიღუპნენ, - ვითარებაში გვარკვევს რიუდეგერ ბაგერი. - კერძოდ, 1943 წლის გაზაფხულზე, კიევის რაიონში, სირცაზე არსებულ საკონცენტრაციო ბანაკში ფეხბურთელები კომენდანტის ბრძანებით დახვრიტეს. აქედან გამომდინარე, მათ სიკვდილს ფეხბურთის შედეგთან არანაირი კავშირი არა აქვს".

ერთი სიტყვით, გამოძიების მიხედვით ესესელი ოფიცრის მუქარა ფეხბურთელების მიმართ არ დასტურდება.

რიუდეგერ ბაგერის ცნობით, ერთადერთი პრობლემა, რომელთანაც გამომძიებლებს ჰქონდათ საქმე, გახლდათ თვითმხილველთა თუ მოწმეთა პოვნა, რადგან მათი უმეტესობა დღეს უკვე ცოცხალი აღარაა. "სიკვდილის მატჩად" შერაცხული საქმე კი საბოლოოდ დაიხურა.

მოკლედ

### ბერხკამპი "აიაქსში" დაბრუნდება

ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელი დენის ბერგკამპი თავის ძველ გუნდში, ჰოლანდიის "აიაქსში" დაბრუნების შესაძლებლობას განიხილავს. "მეთოფეებთან" მიმდინარე კონტრაქტს სამ თვეში გასდის ვადა, ლონდონელებს კი ჯერაც არ შეუთავაზებიათ კონტრაქტის ვადის გაგრძელება.

ამსტერდამის გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დანი ბლინდმა უკვე გამოთქვა ბერხკამპის დაბრუნების სურვილი.

### ემრე "ევრტონში" გადასვლის წინააღმდეგი არაა

"ინტერის" ფეხბურთელის ემრე ბელეზოღლუს აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტის შეძენით დაინტერესებულია "ევერტონი".

შეგახსენებთ, რომ ადრე თურქმა ფეხბურთელმა სურვილი გამოთქვა, მილანის კლუბი მიმდინარე სეზონის ბოლოს დატოვოს.

"ევერტონის" გარდა, ემრესთვის იბრძვიან პრემიერ-ლიგის ისეთი გრანდები, როგორიცაა "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი" და "ლივერპული", მაგრამ, ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, ყველაზე რეალური შანსი მაინც "ევერტონს" აქვს.

### "ინტერს" ესპოზიტო სჭირდება

მილანის "ინტერმა" აღიარა, რომ "კალიარის" ნახევარმცველის მაურო ესპოზიტოს შეძენითაა დაინტერესებული. უფრო ადრე ფეხბურთელით დიდ ინტერესს ამჟღავნებდა "ბარსელონა", თუმცა, "კალიარის" ხელმძღვანელობამ ესპანურ კლუბს უარი უთხრა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს "ინტერის" მწვრთნელი რობერტო მანჩინი.

რაც შეეხება თავად ესპოზიტოს, იგი ასე აფასებს შემქნილ სიტუაციას: "ჩემი კონტრაქტი 2008 წელს მთავრდება. "კალიარიში" თამაშით ძალიან ბედნიერი ვარ. ამის მიუხედავად, ვოცნებობ, ევროპის რომელიმე უძლიერესი გუნდის ღირსება დავიცვა. არჩევანის წინაშე თუ დავდგები, ავირჩევ ისეთ გუნდს, რომელშიც ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ".

### დი ვაიო დასაჯეს

"როიტერსის" ცნობით, "ვალენსიას" ფეხბურთელი მარკო დი ვაიო დისციპლინის დარღვევის გამო დროებით გააძევეს გუნდიდან. მთავარი მწვრთნელის ანტონიო ლოპესის განცხადებით, მას არ მოეწონა იტალიელის საქციელი ესპანეთის ჩემპიონატში "მალიორკას" (0:0) წინააღმდეგ მატჩის დროს. მას შემდეგ, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში დი ვაიო შეცვალეს, მან მწვრთნელს დაუყვირა და უხამსი ჟესტიც უჩვენა.

"არ მომწონს ასეთი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ეს ჩემი გუნდისთვის გავაკეთე. ახლა არ ვიცი, როდის დაუბრუნდება დი ვაიო ძირითად შემადგენლობას, როდის მიიღებს მონაწილეობას ვარჯიშში. ეს მის შემდგომ საქციელზე იქნება დამოკიდებული. არ შემიძლია ვთქვა, რომ მარკოზე ცუდი აზრის ვარ, მაგრამ არსებობს რაღაც, რაც არ უნდა გააკეთო," - განაცხადა ლოპესმა.

### "მიდლსბრო" თვალყურს ადევნებს "იუვენტუსის" ფეხბურთელებს

ინგლისური კლუბი "მიდლსბრო" თვალყურს ადევნებს ტურინის "იუვენტუსის" ფეხბურთელს იგორ ტუდორსა და სტეფან აპიას. ახლა ტუდორი იჯარის წესით თამაშობს "სიენაში", აპია კი რეგულარულად გამოდის შეცვლაზე "იუვეში".

"მიდლსბროს" გარდა, აპიას მიმართ დიდ ინტერესს იჩენს "ევერტონი". ამიტომაც გამორიცხული არაა, მომავალ სეზონზე ეს ფეხბურთელი ინგლისის პრემიერ-ლიგაში ვიხილოთ.

რაც შეეხება ტუდორს, მას "იუვენტუსში სურს თამაშის გაგრძელება, თუმცა, ამას წინათ აღიარა, რომ ტურინში მისი დღეები დათვლილია.

### კასილასმა "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლაზე უარი თქვა

მადრიდის "რეალის" მეკარე იკერ კასილასი არ აპირებს "სამეფო გუნდის" დატოვებას. ამის შესახებ მან განუცხადა ესპანელ ჟურნალისტებს, როცა კომენტარი გაუკეთა გავრცელებულ ხმებს "მანჩესტერ იუნაიტედში" მისი შესაძლო გადასვლის შესახებ.

"მთელი ჩემი ფიქრები "რეალს" უკავშირდება. ვიცი, რომ ხელმძღვანელობასაც არ უნდა, გუნდიდან წავიდე. დიდ მადლობას ვუხდი "მანჩესტერ იუნაიტედს" ჩემს მიმართ გამოჩენილი ინტერესის გამო, მაგრამ მადრიდში დარჩენა მინდა", - აღნიშნა კასილასმა.

ვარსკვლავი

# დეკუ

ლაშა გოდუაძე

*დღეს ახალი რუბრიკის პრემიერაა - ყოველ ოთხშაბათს "ვარსკვლავში" შეხვდებით პოპულარულ ფეხბურთელებს და მათ შესახებ არაერთ საინტერესო ინფორმაციას გაიგებთ.*

*პირველ სტუმრად ავირჩიეთ "ბარსელონას" პორტუგალიელი ნახევარმცველი დეკუ, რომელიც უეფამ ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.*

**დეკუ სოუზა**

**(„ბარსელონა", პორტუგალია)**



### ციტატები

**ბრაზილიაზე**

...ბრაზილიაში დავიბადე და, მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიის ნაკრებში ვთამაშობ, ეს ქვეყანა უზომოდ მიყვარს. სხვათა შორის, ნაკრებში პირველი მატჩი სწორედ ბრაზილიელების წინააღმდეგ ჩავატარე. ძალიან ვღელავდი, მაგრამ შევდგი თუ არა ფეხი მინდორზე, აღელვება უკვალოდ გაქრა. იმ თამაშში გოლიც გავიტანე, რაც ჩემთვის დაუვიწყარია. არა იმიტომ, რომ სადებიუტო შეხვედრაში გამოვიჩინე თავი და თან, ბრაზილიელთა წინააღმდეგ, უბრალოდ, გოლი ძალიან ლამაზი იყო!

**ბავშვობაზე**

...სიღარიბეში ვიზრდებოდი. მახსოვს, ბურთს დახეული წინდებისგან ვკერავდით, მერე კი ასფალტზე ვცვეთდით. გარშემო არასახარბიელო სიტუაცია იყო, თუმცა, ბავშვები ბედნიერები ვიყავით, რადგან მშობლების სიყვარული და ოჯახური სითბო არასდროს გვაკლდა. დღეს ძალიან ვაფასებ ამას - ოჯახური ბედნიერება ჩემთვის უმთავრესია! როცა ფეხბურთისგან თავისუფალი ვარ, ვცდილობ, მთელი დრო შვილებს დავუთმო, მათთან ერთად ვიყო. ჩემთვის ეს განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა!

**საუკეთესო ფეხბურთელზე**

...მსოფლიოში საუკეთესო? მგონი, ჩემი ამპლუის ფეხბურთელთაგან ეს ზინედინ ზიდანია. ის ჩინებულად ფლობს ბურთს, საოცარი ტექნიკა აქვს! ზიზუ ფანტასტიკურია... მაგრამ, ვფიქრობ, პირისპირ თამაშში ვჯობივარ.

**"პორტუს" შესახებ**

...ამ კლუბმა ძალიან ბევრი მომცა. მთავარი სხვაობა "პორტუსა" და ქვეყნის სხვა კლუბებს შორის - გულშემატკივარია! როცა ქუჩაში მხვდებოდნენ, მუდმივად კეთილგანწყობილნი იყვნენ, დებიუტანტებს კი ყოველთვის ამხნევებენ. ეს ძალიან კარგია! სხვა მხრივ, სწორედ ამ გუნდში დავოსტატდი და იქვე ვუწიე მწვერვალებს. ძალიან მიხარია, რომ "პორტუში" სერიოზულად არასდროს დავშავებულვარ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მწვრთნელები ყოველთვის მენდობოდნენ. ერთი სიტყვით, "პორტუ" ძალიან მიყვარს!

**მწვრთნელების შესახებ**

...ვალში ვარ ფერნანდუ სანტუშთან, იმ ადამიანთან, რომელმაც "პორტუში" მიმიწვია. არც ლუიშ ფელიპე სკოლარის დავიწყება შეიძლება - მის ადგილზე ბევრი ვერ გაბედავდა პორტუგალიის ნაკრებში ბრაზილიელის მიწვევას. სკოლარი რომ არა, ჩემი მეორე სამშობლოს ღირსების დაცვის საშუალება არც მექნებოდა. რაც შეეხება ჟოზე მოურინიოს, მას თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად ვთვლი. მოხიბლული ვარ მისი განათლებით, შედეგებით და ფეხბურთელებთან დამოკიდებულებით. მშურს ლონდონელების - მათ დიდებული მწვრთნელი ჰყავთ!

**რონალდინიოს შესახებ**

...ფენომენია! მგონი, დიდი დახასიათება არ სჭირდება - მოედანზე ყველაფერი ჩინებულად ჩანს. სხვა მხრივ, ძალიან კარგი ბიჭია, გულღია, მხიარული და "ბარსელონას" სული და გულია! შარშან რონალდინიომ ფიფა-ს გამოკითხვაც მოიგო და "უორლდ სოკერისაც", მაგრამ ევროპის საუკეთესო მოთამაშის ტიტული ვერ მოიპოვა. მგონი, "ფრანს ფუტბოლმა" შეცდომა დაუშვა - "ოქროს ბურთს" შევჩენკო კი არა, რონალდინიო უფრო იმსახურებდა.

**ჯარიმებზე**

...იმ შემთხვევაშიც კი, როცა აკრძალული ხერხით მაჩერებენ, ვცდილობ, არ დავეცე და კარში დავარტყა. მიუხედავად იმისა, რომ საჯარიმო დარტყმების კარგად შესრულება მეხერხება, ვცდილობ, სტანდარტულ სიტუაციებს თავი ავარიდო. ისე, ძალიან მიყვარს მცველების გაბითურება - თუ მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგეა, ყოველთვის ვცდილობ ორიგინალური ფინტით მოტყუებას. ამ შემთხვევაში ჯარიმა ერთადერთი საშუალებაა ჩემს შესაჩერებლად.

**ფეხბურთზე**

...გულშემატკივრის თვალით თუ შევხედავთ, ფეხბურთი გართობაა, სანახაობა, რომელიც აუცილებლად კარგი უნდა იყოს. ჩვენთვის, მოთამაშეებისთვის კი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა სამუშაოა, რომელიც, მჯერა, თითოეულ ჩვენგანს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. მსურს, რომ ჩემი და ჩემი გუნდის თამაში შედეგიანი იყოს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, - ლამაზი. მინდა, რომ გულშემატკივრები ჩვენი ფეხბურთით იხიბლებოდნენ.

**მეტოქეების შესახებ**

...პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ იმ გუნდებს, სადაც ვთამაშობ, არავისი ეშინიათ. რაც შეეხება ყველაზე რთულ მოწინააღმდეგეებს, ასეთად ორს დავასახელებ: ტურინის "იუვენტუსს" და მადრიდის "რეალს". იტალიელები ნელი თამაშით "გაძინებენ", თითქოს საფრთხე არ გემუქრება, მერე კი უცებ შეგიტევენ, გოლს გაგიტანენ და თამაშიც იქვე მთავრდება. რაც შეეხება "რეალს", ესაა კლუბი, რომელშიც თითოეული ფეხბურთელისგან უსიამოვნებას უნდა ელოდე. ამავდროულად, "რეალის" ცქერა სასიამოვნოა. ჩემი აზრით, ბექჰემის შეძენა საჭირო არ იყო, თუმცა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მადრიდელთა საქმეა.

**ევრო 2004-ზე**

...შესანიშნავი ტურნირი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებთან დავმარცხდით, მაინც კმაყოფილი დავრჩი. დამეთანხმებით, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი პატარა საქმე არაა. მგონი, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შეჯიბრება იყო, რომელშიც ოდესმე მითამაშია. ვფიქრობ, გულშემატკივრები მოხიბლულნი დარჩნენ.

**გეგმებზე**

...მსურს, რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო. "პორტუსთან" ერთად წარმატებები ნამდვილად არ მაკლდა, მაგრამ ძალიან მინდა "ბარსელონაში" დავიპყრო მწვერვალები. რაც მთავარია, ამ კლუბში ტიტულების მოგება სავსებით შესაძლებელია. წლეულს აუცილებლად უნდა ვიმარჯვოთ პრიმერადივიზიონში - ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ ჩვენი უმთავრესი მიზანი სწორედ ესაა!

**იცოდით?**

...დეკუს სრული სახელი და გვარია ანდერსონ ლუის და სოუზა დეკუ.

...2003 წლის ზაფხულში დეკუს გადაბირება ფრანგულ "პარი სენ-ჟერმენს" სურდა. პარიზელები პორტუგალიელებს 19 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, თუმცა, "პორტუს" ხელმძღვანელობამ გარიგება იუარა.

...უეფამ დეკუ ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად და ნახევარმცველად დაასახელა.

...2004 წლის ივლისში პორტუგალიის მოქალაქეობამიღებულმა დეკუმ "ბარსელონასთან" ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

...ნაკრებში დებიუტიდან (2003 წლის 27 მარტს ბრაზილიელებთან) დღემდე დეკუმ პორტუგალიის უპირველეს გუნდში 27-ჯერ ითამაშა და 2 გოლი გაიტანა.

ფორმულა 1

# შუმახერს დასაკარგი არაფერი აქვს

"დიდი პრიზების" სამი წარუმატებელი რბოლის შემდეგ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი პირობას დებს, რომ "სან-მარინოს დიდი პრიზზე (23 აპრილი) "ფერარი" ბევრად აგრესიული იქნება, ვიდრე ეს წინა სამ ეტაპზე იყო. მდგომარეობის გამოსასწორებლად და დანაკარგის ასანაზღაურებლად მიხაელმა გასული კვირა ინტენსიურ მუშაობაში გაატარა. კერძოდ, ახალი ბოლიდის - F2005 ჭკუაზე მოსაყვანად გერმანელმა 2500 კილომეტრი გაიარა. ახლა კი იმედი აქვს, რომ ტესტირებები შედეგს გამოიღებს: ჩვენი მიზანი კვლავაც პირველობაა და მიმაჩნია, რომ ამისთვის კარგი შანსი გვაქვსო.

"ზოგიერთი პესიმისტის გასაგონად ვიტყვი, რომ ჩემპიონატის ბედის გასარკვევად საკმაო დროა. მართალია, სეზონი ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ დაიწყო, მაგრამ ვიცოდით, რომ გაგვიჭირდებოდა. აშკარად არ გაგვიმართლა. მაგალითად, ავსტრალიაში, სადაც ნორმალური ამინდის პირობებში ქულების აღებას შევძლებდი...

ბაჰრეინის შემდეგ თავდაჯერებულობა შეგვემატა. საბედნიეროდ, ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში არაა. სეზონის დამთავრებამდე საკმაო დროა და ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ფერნანდო ალონსოს ("რენოს" ესპანელი მრბოლი) 24 ქულით ჩამოვრჩები, რაც საკმაოდ ბევრია, მაგრამ არცთუ უიმედო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ალონსოსთვის სეზონი წარმატებულად დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ასე არ გაგრძელდება.

ახლა ალონსოს გონება იმით იქნება დაკავებული, რომ მიღწეული უპირატესობა არ გაანიავოს. იმისთვის, რომ ძვირფასი ქულები არ დაკარგოს, ორთაბრძოლებში არ ჩაერთვება. მე კი პირიქით, არაფერი მაქვს დასაკარგი. ასე რომ, ბევრად აქტიურად, შესაძლებლობათა ზღვარზე ვიმოქმედებ. დანარჩენი მრბოლებიც დიდ რისკზე წავლენ, რასაც ვერ ვიტყვით ფერნანდოზე".

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს მიაჩნია, რომ "რენოს" საკმაოფლის ღვრა დასჭირდება წარმატებების მოსაპოვებლად. ამასთან, ფერნანდოს უმთავრესი საზრუნავი ქულების აღება იქნება და არა გამარჯვებისკენ სწრაფვა.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ 14-წლიან კარიერაში 36 წლის მიხაელ შუმახერს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში "სან-მარინოს დიდი პრიზი" ხუთჯერ მოუგია.

და კიდევ, სარბოლო უიკ-ენდამდე მიხაელი ტრადიციას არ უღალატებს და საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში მიიღებს მონაწილეობას. მატჩი, რომელიც დღეს საღამოს სან-მარინოს სტადიონზე ჩატარდება, ფორმულა 1-ის მრბოლთა ნაკრებისგანაა დაკომპლექტებული.










მოკლედ

### ბლატერი მესამედ აპირებს კენჭისყრას

ორი დღის წინათ ბერლინში გამართულ სპეციალურ კონფერენციაზე ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ მესამედაც აპირებს კენჭისყრას.

"თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს და ფედერაციაც არ იქნება წინააღმდეგი, 2007 წელსაც წამოვაყენებ ჩემს კანდიდატურას ფიფას პრეზიდენტის პოსტზე", - განაცხადა ბლატერმა.

პრეზიდენტმა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც ისაუბრა. იგი დარწმუნებულია, რომ გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატი ექსცესების გარეშე ჩაივლის. ყოველ შემთხვევაში, ის არ გამეორდება, რაც "სან-სიროს" სტადიონზე მოხდა "მილანი"-"ინტერის" შეხვედრის დროს.

"ვფიქრობ, რომ ხულიგნები პრობლემებს არ შეგვიქმნიან მსოფლიო ჩემპიონატზე. მე მჯერა ჩემპიონატის ორგანიზატორების. ის, რაც იტალიაში მოხდა, დაუხვეწავი დაცვის სისტემის შედეგი იყო. გერმანიაში ეს გამორიცხულია, რადგან იქ უსაფრთხოების საკითხს განსაკუთრებით მკაცრად ეკიდებიან", - თავისი ოპტიმიზმი გამოხატა ბლატერმა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 20 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ინგლისის ჩემპიონატი. "ბოლტონი" - "საუთჰემპტონი"
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 რუსეთის თასი. ფინალი. ცსკა - "სატურნი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:50 "საფეხბურთო კლუბი"
19:35 თავისუფალი დარტყმა
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 რუსეთის თასი. ფინალი. "ტორპედო" - "ხიმკი". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
22:35 თავისუფალი დარტყმა
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" - "მანჩესტერ იუნაიტედი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "კიევო"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 18:45 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. 56 კგ. ფინალი
11:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:30 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი
15:00 "მწვერვალის ინტერესი". "ევერესტის ჩრდილოეთ კედელი"
16:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "NEW JERSEY NETS" - "WASHINGTON WIZARDS"
18:55 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. 63 კგ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 "სპორტისიმო"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. 62 კგ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:15 "ვატერპოლე"
23:45 სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
00:15 ახალი ამბები
00:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. 58კგ. 63კგ. ფინალები

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი - ევროგოლები
11:30 სამთო ველოსიპედი. მსოფლიო თასი კვიპროსზე
12:00 სადარბაზო ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იბიცა
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
16:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ველოსპორტი. პრო-ტური "Fleche Wallonne"
19:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ახალი ამბები
00:45 გოლფი. US PGA. სპეციალური მიმოხილვა
02:45 გოლფი. ევროპული ტური ესპანეთში
03:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით

## მასონური იდეალები



ოთხი გვირგვინოსანი მოწამე

ინიციაციის გზა ყოველმა მასონმა ანალოგიების გზით უნდა გაიაროს: რიტუალის ყოველი ელემენტი გარეგნულად "ჰგავს" მის მიერ გამოხატულ იდეას ან მოვლენას. ამიტომაც გასაგებია, რატომ უნდა შეასრულოს ყოველმა ახლად განდობილმა მასონმა დუმილისა და საიდუმლოს შენახვის აღთქმა. ყოველი მოძღვრება, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა რაღაც უმაღლესი ცოდნის ფლობაზე თავისი რიტუალების ან იდეოლოგიის აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნევდა დუმილს: ბუნებრივია, რომ რისი გამხელა აკრძალულია, ყოველთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ყოველთვის უკეთესად გვამახსოვრდება და უფრო სათუთად გადაეცემა თაობიდან თაობას.

გამოჩენილი ფრანგი მასონი, შევიონი წერდა: "ჭეშმარიტება არაა სიტყვებში, რომლებითაც ჩვენ ვმოსავთ იდეებსა და კონცეფციებს. ჭეშმარიტება საგანთა და მოვლენათა არსშია, რომლის გახსნა მხოლოდ დუმილს შეუძლია". აქედან გამომდინარე, მასონთა ნამდვილი საიდუმლოებები ის კი არაა, რომელსაც ახლად მიღებულ წევრს უმხელენ ინიციაციის რიტუალისას, არამედ ისინია, რომელთა შეცნობას იგი თვითონ უნდა მიეჩვიოს ცხოვრების გზაზე ხანგრძლივი სულიერი ვარჯიშის შედეგად.

ამგვარად, ინიციაციის რიტუალი ახლად მიღებულ წევრს მხოლოდ ეგრეთ წოდებულ "ქმედით მადლს" აძლევს. ამ ქმედითი მადლის წყალობით იგი მხოლოდ დგება ჭეშმარიტების გზაზე და პირველ ნაბიჯებს დგამს. რიტუალი მხოლოდ გარეგნული ინიციაციაა: ჭეშმარიტი შესვლა მასონთა სამყაროში მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისით, მასონები ხშირად მიმართავენ იოანეს სახარების ერთ ადგილს: "სასუფეველი ღვთისა ჩვენშია".

ინიციაციის რიტუალსა და რეალურ მიმდინარეობას ადამიანი გალმერთებისკენ არ მიჰყავს, რადგან ღმერთი მუდამ მიღმიერია, მუდამ ტრანსცენდენტული. მაგრამ, მასონთა აზრით, ინიციაციის, საღვთო განგებაში მუდმივი მონაწილეობის შედეგად შეიძლება გაჩნდეს ერთგვარი გახსენება იმ მდგომარეობისა, რომელშიც ადამიანი ცოდვით დაცემამდე იმყოფებოდა.

სინათლის მოპოვების გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის გონებას. მაგრამ ამ უკანასკნელს მასონური მსოფლმხედველობა ისე არ განიხილავს, როგორც რელიგიები ან ფილოსოფიური სისტემები. მასონობა არაფერს ამტკიცებს და არ ასაბუთებს, ის მხოლოდ მოუწოდებს გონებას და ეს მოწოდება ყოველთვის ინდივიდუალურია. ამ თვალსაზრისით, მასონობა დაესესხა ადრეულ ქრისტიანობას, სადაც გონება არის ადამიანებთან და ქვეყნიერებასთან კავშირის შეგნების, მათ მიმართ სიყვარულის განხორციელების საშუალება. ეს იდეოლოგია ერთგვარად ჰგავს იუსტინე მოწამის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ყოველ ადამიანში არსებობს ჩანასახოვანი ჭეშმარიტება, ლოგოსი. თვით უზენაესი ჭეშმარიტება კი გაბნეულია ადამიანთა მასაში, რომლის წევრებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან კულტურით, ენით, სოციალური წარმოშობით და ა. შ. აქედან გამომდინარე, მასონთა აზრით, ჭეშმარიტების მიღწევის ერთ-ერთი ქმედითი გზაა აქტიური შემწყნარებლობა.

ინდივიდუალურ გონებას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ის აბსოლუტში მონაწილეობს, ამიტომაა აუცილებელი ურთიერთკავშირის, ერთობის შეგნება ანუ სიყვარული.

სიტყვის მეშვეობით ჩვენ ვარჩევთ საკუთარ "მე"-ს სხვებისაგან, ვიქცევით პიროვნებად. სიყვარულის საშუალებით კი კვლავ ვპოულობთ სხვებთან ერთობას. ადამიანის პიროვნება ყოველთვის დგას უსასრულოსა და სასრულის, აუცილებლისა და შემთხვევითის, აბსოლუტურისა და ფარდობითის საზღვარზე. ამიტომაც მასონური ინიციაციის ფორმა და ლოჟებად გაერთიანების იდეა იფარავს ყოველ ახალ წევრს ზედმეტი ინდივიდუალიზაციისაგან. გონებაც და სიყვარულიც კოლექტიური შრომის, მოღვაწეობის ატმოსფეროში პოულობს რეალიზაციას.

ხშირად ამბობენ, რომ მასონობა კონსტრუქტივიზმის ერთგვარი ფორმაა: ყოველ წევრს მოაქვს თავისი ქვა ერთი დიდი ტაძრის მშენებლობაზე, მაგრამ ამავე დროს იგი საკუთარ თავშიც აშენებს მცირე ტაძარს.

ასევე ქრისტიანული მსოფლმხედველობიდანაა აღებული მასონური ინიციაციის შემდეგი ელემენტიც: სიკვდილი და ხელახალი დაბადება. რიტუალის შედეგად ყოველი ახალი წევრი კვდება იმ სამყაროსთვის, სადაც გრძნობიერი აღქმები ბატონობს. იგი იბადება ახალ, სულიერ სამყაროში. ეს კი უკვდავებასთან ზიარებაა: სოლომონის ტაძრის მაშენებელი, პირველი მასონი ხირამი უკვდავია.

ცნობილია მასონთა უძველესი ლეგენდა ხირამის მკვლელობის შესახებ. მაგრამ ინიციაციის რიტუალში ამ ლეგენდას აქვს გაგრძელება: ხირამი მკვდრეთით აღდგა. ამგვარი დამატების არსს რომ ჩავწვდეთ, საჭიროა გავიხსენოთ, როგორ კითხულობდნენ ბიბლიას შუა საუკუნეებში. ამ დროს ბიბლიური ტექსტის გაგების ორი მთავარი პრინციპი არსებობდა: წმინდა მამათა ნაწერებთან შედარება და ეგრეთ წოდებულ წინასახეთა ძიება. წინასახეები ეს ძველი აღთქმის ის პერსონაჟები და მოვლენებია, რომლებიც წინასწარ მიგვანიშნებენ ახალი აღთქმის პერსონაჟებსა და მოვლენებზე. ასე მაგალითად, შუა საუკუნეების დროინდელი კომენტატორები ხშირად ერთმანეთში ურევდნენ მეფეთა წიგნის ორ პერსონაჟს — ხირამსა და ადონირამს. არსებობს მრავალი ძველებური ბიბლია, სადაც მეფეთა მესამე წიგნის ორ ადგილას (5:28, 7:12), სადაც მოთხრობილია ამ ორაზროვანი პიროვნების ამბავი, არსებობს მინაწერი: hic est Christus — ეს ქრისტეა!

XVIII საუკუნის ფრანგი მასონებისთვის ცნობილი იყო ქრისტიანობის ეს ძველი ტრადიცია. იმდროინდელ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: "ორდენის საიდუმლოებები და მისტერიები ეს რელიგიის საიდუმლოებები და მისტერიებია... სამი დარტყმა, რომელიც ჩვენს ოსტატს, ხირამს მიაყენეს ეს წინასახეა იესო ქრისტეს სამმაგი ბრალდებისა — კაიაფას, ჰეროდესა და პილატეს მიერ".

მასონთა საზოგადოებაში ახლად მიღებული წევრი ინიციაციის რიტუალისას, როცა ხირამის მკვლელობისა და მკვდრეთით აღდგომის ამბავს მოითხრობენ, ემოციურ შოკს განიცდის. ამას ინტუიციურად მიჰყავს მასონი სულის უკვდავების იდეამდე. ამის შესახებ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: "მასონობის მთავარი დებულება დაიყვანება იქამდე, რომ სული უსასრულო ღვთაებრივი არსის ნაპერწკალია — ამ ნაპერწკლის წყალობით ადამიანი უკვდავია".

აქ ვუახლოვდებით მასონთა მოძღვრების კიდევ ერთ უმთავრეს დებულებას — ერთობას. უძველესი ჰერმეტული სწავლების თანახმად, "ის რაც მაღლაა, ჰგავს იმას, რაც დაბლაა, რათა განხორციელდეს ერთობის სასწაული". ამ ერთი შეხედვით უაზრო წინადადებაში გამოხატული იდეა უდევს საფუძვლად, მაგალითად, შუა საუკუნეებში მიღებულ თვალსაზრისს, რომ ადამიანის ორგანიზმი თავისი აგებულებით იმეორებს ქვეყნიერების აგებულებას. ამიტომ პირველს მიკროკოსმოსს უწოდებენ, მეორეს კი — მაკროკოსმოსს. ადამიანი და ქვეყნიერება — ერთიანი დიადი ქმნილების ორი სხვადასხვა ასპექტია.

აქედან გამომდინარე, ალქიმიკოსების მიერ ძებნილი "ფილოსოფიური ქვა", რომლის შეხება ტყვიას ოქროდ აქცევს, მასონთა მსოფლმხედველობაში გარდაიქმნება ფილოსოფიურ პრინციპად, რომლის მეშვეობით ყოველი ცალკეული პიროვნება მაღლდება და აღწევს მშვენიერებას.

# მასონთა შეულამაზებელი ისტორია III

### მასონობის გამოჩენა საფრანგეთში

1649 წელს ინგლისის მეფეს, ჩარლზ პირველს თავი მოჰკვეთეს აჯანყებულმა ინგლისელებმა. მეფის ქვრივმა, ჰენრიეტა ფრანგმა, რომელიც ანრი მეოთხისა და მარიამ მედიჩის ქალიშვილი იყო, საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ისგან მიიღო სამეფო თავშესაფარი — ციხე-დარბაზი სენ-ჟერმენი. მალე მის ირგვლივ შეიკრიბნენ შოტლანდიელი არისტოკრატიის წარმომადგენლები. შოტლანდიელმა აზნაურებმა მაშინვე დაიწყეს ინგლისური აჯანყების ლიდერის, კრომველის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, რაშიც მათ ხელს უწყობდა მასონურ ლოჟებში საპატიო წევრობა. როგორც ვხედავთ, გავრცელებული თვლასაზრისის საწინააღმდეგოდ, პოლიტიკური მოღვაწეობა მასონებმა დაიწყეს როგორც მონარქისტებმა. ის გარემოება, რომ მასონური ორგანიზაციები ჯერ ცნობილი არ იყო და მათი შესაძლებლობები არავის შეეფასებინა, საშუალებას იძლეოდა სამეფო ტახტის წინააღმდეგ ამბოხებულ "დიქტატორთან" საბრძოლველად.

1661 წელს ინგლისის ტახტზე ასულმა ჩარლზ მეორემ შექმნა ირლანდიური გვარდიის ლეგიონი, რომელიც ტახტის ერთგული დამცველი უნდა ყოფილიყო. ირლანდიურ ლეგიონში მოქმედებდა მასონური ლოჟა. 1689 წელს, ირლანდიური ლეგიონი პოლკოვნიკ უილიამ დორინგტონის სარდლობით საფრანგეთის ნავსადგურ ბრესტში გადმოსხდა. 1698 წლამდე ის სენ-ჟერმენის ციხე-დარბაზის გარნიზონად ითვლებოდა, შემდეგ კი საფრანგეთის რეგულარულ ჯარში შევიდა. როგორც ვხედავთ, მასონური სულისკვეთება ერთდროულად გამოჩნდა როგორც არსებული ხელისუფლების დამცველი, ასევე საერთაშორისო, ზენაციონალური ფენომენი.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თვისებები მოწმობს მასონთა შეგნებულ, რაიმე ჩამოყალიბებულ თეორიაზე აგებულ არჩევანს. სინამდვილეში ორივე დაკავშირებულია პოლიტიკურ გარემოში გადარჩენის აუცილებლობასთან და, ასე ვთქვათ, თვითშენარჩუნების ინსტინქტთან. სამეფო ტახტისადმი ერთგულება საკუთარი კლასის (იმხანად, არისტოკრატიის) ინტერესების დაცვაა, ზენაციონალური ხასიათი კი უზრუნველყოფს ემიგრანტ მასონთა უსაფრთხოებას ევროპის ყველა ქვეყანაში. როგორც ვხედავთ, მოტივაციები სრულიად პრაგმატულია.

1717 წლის შემდეგ, როცა ინგლისში შეიქმნა დიდი ლონდონური ლოჟა, საფრანგეთის მასონობა ორი მიმართულებით ვითარდებოდა: შოტლანდიური რიტუალის მასონები აღმავლობას განიცდიან, ინგლისური რიტუალისა კი დიდ სიძნელეებს აწყდებიან. ისტორიულად დამტკიცებულია, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე პირველი შოტლანდიური ლოჟა — წმინდა ტომას ბეკეტის სახელობისა — დაარსდა 1726 წელს, პარიზში. ტომას ბეკეტი, კათოლიკე წმინდანი, ინგლისის კანცლერი იყო 1155 წლიდან და მას სტიუარტთა დინასტიის მეფეები ეთაყვანებოდნენ. ლოჟის დამაარსებელი იყო ჩარლზ რედკლიფი, რომელმაც 1731 წელს გრაფ დერვენუოტერის ტიტული მიიღო. აქაც შეიმჩნევა ერთგულება სამეფო ტახტისა და კათოლიკური ეკლესიისადმი: რედკლიფების გვარი ორივე თვისებით საუკუნეების განმავლობაში გამოირჩეოდა.

ამ განწყობის მატარებლები მასონებს არც საფრანგეთში აკლდათ. ამ მხრივ, გამოირჩევა ვინმე ლუიზა დე კერუალი, საფრანგეთის პირველი ლამაზმანი, რომელიც თავისი პოლიტიკური მიზნების შესასრულებლად ლუი XIV-მ ლონდონს მიავლინა. იქ ქალბატონი დე კერუალი მეფე ჩარლზ მეორის საყვარელი ხდება და მისგან პორტსმუტის ჰერცოგინას ტიტულს იღებს. სიბერეში კათოლიციზმისა და სტიუარტთა მიმართ ერთგულება ლუიზა დე კერუალს ლამის ავადმყოფობად ექცა და ის მასონთა ერთ-ერთი უძლიერესი და გავლენიანი მფარველი გახდა.

ერთი სიტყვით, საფრანგეთში მასონთა გამოჩენა და აღმავლობის პირველი ათწლეულები დაკავშირებულია ბრიტანელ კათოლიკეთა და სტიუარტთა დაჩაგრული დინასტიის მომხრეთა საქმიანობასთან.



### მასონები და მეფე

მასონობის ელვისებურმა გავრცელებამ XVIII საუკუნის პირველ მესამედში საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღება მიიქცია. შემორჩენილია საფრანგეთის პოლიციის 1737 წლის 16 თებერვლით დათარიღებული პატაკი, რომელშიც ვკითხულობთ: "ყველა მხოლოდ ფრანკმასონების ორდენის წარმატებებზე ლაპარაკობს. დიდსა და მცირეს მათ შორის მოხვედრა უნდა. ნამდვილი საყოველთაო აღტყინება სუფევს". სინამდვილეში ხალხი მასონთა მიერ გამართულ საჯარო სადილებს ეტანებოდა. სწორედ ეს ღონისძიებები მიაჩნდათ მთავარ მასონურ რიტუალად. ამას მოწმობს მაშინდელი იუმორისტული სიმღერები, სადაც მასონები გამოყვანილნი არიან ლოთებად და მოქეიფეებად, ხოლო კარგი სმა-ჭამა — მთავარ მასონურ საიდუმლოებად.

ხალხისგან განსხვავებით, ხელისუფლება საკმაოდ სერიოზულად მიუდგა საკითხს. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, კარდინალი დე ფლერი საოცრად შეშფოთდა. ბუნებრივია, რომ გარკვეულ ეტაპზე ხელისუფლება უნდობლად ეკიდება ყოველგვარ დახურულ საზოგადოებებს, რადგან ფიქრობს, რომ ხელი ეშლება ქვეყნის მართვაში. ფრანგული ნაციონალიზმის განვითარებამ არასასურველი გახადა ყოველგვარი კავშირი ინგლისთან, თუნდაც კათოლიკე სტიუარტებთან. ამავე დროს აღმოჩნდა სხვა საეჭვო კავშირებიც, მაგალითად, ორანელთა დინასტიის მომხრეებთან, რაც საფრანგეთის მეფეს შესაძლო პოლიტიკური ინტრიგების წინაპირობად მოეჩვენა.

ამ დროს მასონთა ლოჟაში წევრად ითვლებოდა გრაფი სენ-ფლორენტანი, საფრანგეთის მეტად პატივცემული პოლიტიკური მოღვაწე, ამავე დროს, მასონთა ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა, შევალიე რამზაიმ სცადა კარდინალ დე ფლერის დარწმუნება. ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. მეფის პრემიერ-მინისტრმა სიჩლუნგით აღსავსე პასუხი გასცა მასონთა მესვეურებს: "მეფეს არ სურს, რომ ადამიანები ერთად იკრიბებოდნენ". როგორც ვხედავთ, მითი, თითქოს მასონები თავიდანვე უპირისპირდებოდნენ მონარქიულ ხელისუფლებას, თვით სამეფო კარის არაშორსმჭვრეტელობამ წარმოქმნა.

დაიწყო პირველი ჯერ გაუბედავი რეპრესიები: 1737 წლის 10 სექტემბერს შატლეს პოლიციის რაზმი შეიჭრა ერთ-ერთ კაფეში. აქ ისინი წააწყდნენ ადამიანების ჯგუფს: ყოველ მათგანს ეკეთა თეთრი ტყავის წინსაფარი, ყელზე კი ლურჯი თასმებით ეკიდათ ქვისმთლელთა სხვადასხვა ხელსაწყოები. ამჯერად პოლიცია გამოძიებას არ აწარმოებს, არც სახელებს კითხულობს, რადგან შეკრებილთა შორის უმაღლესი საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი შეინიშნება. ამაზე მოწმობს კაფეს მახლობლად შექუჩული ძვირფასი კარეტებისა და მსახურების სიმრავლე. გაასამართლეს მხოლოდ კაფეს საწყალი მეპატრონე, ვინმე შაპელო, რომელსაც მიუსაჯეს ფულადი ჯარიმა და დაწესებულების ექვსთვიანი ყადაღა. სასამართლოს განაჩენით იკრძალებოდა ყველანაირი ფარული შეკრება, მაგრამ ამან მხოლოდ დამატებითი სიფრთხილე შეიტანა მასონთა რიგებში.

40-იან წლებში, როცა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი იყო მორეპასი, დევნა გაძლიერდა. 1741 წელს დაიწყო ინგლისთან ომი, რომელიც მხოლოდ 1748 წელს დასრულდა. ალბათ ეს იყო მიზეზი მასონთა მიმართ არაკეთილგანწყობისა. მართალია, დიდი ოსტატი, გრაფი დე კლერმონი, მამაცურად იბრძოდა საფრანგეთის მხარეზე, ამან მაინც ვერ შეარბილა ხელისუფლების განწყობა. მაგრამ აქაც საქმე 1744 წელს პარიზში ჩატარებული მასობრივი დაპატიმრებებით შემოიფარგლა. დაპატიმრებულები მალევე გაათავისუფლეს. საზოგადოდ, მასონთა წინააღმდეგ რეპრესიებისგან ყველაზე მეტად ისევ და ისევ კაფეებისა და დუქნების მეპატრონეები დაზარალდნენ, რადგან მათ უხდებოდათ ფულადი ჯარიმების გადახდა.

1740 წლების შემდეგ კი სამეფო ხელისუფლება არა თუ აღარ დევნის მასონებს, არამედ შეიძლება ითქვას, რომ ხელს უწყობს მათ გავრცელებასა და განვითარებას. ეს იმდენად შესამჩნევია, რომ შემდომში მკვლევრებმა დასვეს კითხვა: იყო თუ არა მასონი საფრანგეთის მეფე ლუი XV? ამ კითხვაზე დადებითი მინიშნება მოიპოვება აბატ პიგრეს ქაღალდებში, კერძოდ კი ერთ-ერთ ლექსში, რომელიც მიეძღვნა მეფის მიერ წმ. ჟენევიევას ეკლესიის საძირკვლის ჩაყრას. აქ არის სიტყვები: "თავის მოძმეში ხედავს მასონი ქვეყნიერების უდიდეს მეფეს".

რა თქმა უნდა, ამ საშუალო დონის პოეზიას ვერ მივიჩნევთ მკაფიო ისტორიულ მოწმობად, მაგრამ 1739 წლიდან ნამდვილად არსებობს ე. წ. სამეფო ლოჟის პირველი მოხსენიება ოფიციალურ დოკუმენტებში.

ლუი XVI-ის დროს მასონთა ამ გაერთიანებას სამი ძმის ლოჟის სახელი დაერქვა და ის, ე. წ. სამეფო აღმოსავლეთის ლოჟას შეუერთდა. მხოლოდ ვარაუდი შეიძლება იმის თაობაზე, იყო თუ არა თვით მეფე ამ ლოჟის წევრი, სამაგიეროდ დოკუმენტურადაა დაფიქსირებული მისი ორივე ძმის წევრობა. ეს მასონთა ნამდვილი ტრიუმფი იყო: საფრანგეთის ყველა მნიშვნელოვანი პიროვნება მასონთა რომელიმე ლოჟაში ირიცხებოდა. მათ შორის იყვნენ: ლაროშფუკო, ვოლტერი, კონდორსე, ლალანდი და სხვები.

იმ დროს მაღალი საზოგადოების მრავალი წარმომადგენლისთვის ეს ერთგვარი სნობური გასართობი იყო. მასონური რიტუალების თავშესაქცევ მხარეს (რატომაც არ უნდა გაერთო ამ სანახაობით, როცა ტელევიზორი ჯერ არ გამოუგონებიათ?) ისინი უთავსებდნენ სხვადსხვა შარლატანურ თუ ნაწილობრივ სამეცნიერო ექსპერიმენტებს, რასაც საჯაროდ ატარებდნენ მესმერი და კალიოსტრო. აქ საქმე ეხებოდა ჰიპნოზს. მასონური რიტუალები და საჯარო ჰიპნოზური ცდები შემთხვევით არ მოხვედრილა ერთ კონტექსტში: ორივე ეხებოდა ადამიანებზე ზეგავლენისა და ძალაუფლების გავრცელებას.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მასონთა ორდენმა მშვენიერი სქესის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლებიც დაიპყრო. იმხანად ქალები ბრწყინავდნენ განათლებითა და მახვილგონიერებით. ბევრი მათგანი განსაკუთრებულ სალონებსაც მასპინძლობდა. მასონთა რიგებში პირველად ჩაეწერნენ საფრანგეთის მაღალი საზოგადოების ქალბატონები. დედოფალი მარია-ანტუანეტა ასე ამშვიდებდა თავის დას, მარია-კრისტინას: "იქ ყველა დადის და ყველამ იცის, რაც ხდება. სადღაა საშიშროება?".

"სადღაა საშიშროება?" — კითხულობდა დედოფალი, მაგრამ არისტოკრატიული საზოგადოება კატასტროფის წინაშე იდგა და ამ კატასტროფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი სწორედ მასონობა იყო.

### მასონები და რევოლუცია

საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ მასონობამ უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ქვეყანაში. ის თანადათანობით აღწევდა სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასში: მასონები იყვნენ არისტოკრატები, სამხედროები, პარლამენტარები, სასულიერო პირები, ინტელექტუალები, ბურჟუები და იურისტები. მაგალითად, 1780 წლისთვის საფრანგეთის არმიაში 72 მასონური ლოჟა მოქმედებდა და მათგან 26-ს სასულიერო პირები ხელმძღვანელობდნენ.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მასონებმა ჩაიფიქრეს საფრანგეთის რევოლუცია და გეგმაზომიერად გაატარეს რეპრესიები დანარჩენი საზოგადოების წინააღმდეგ. რევოლუციის მსხვერპლთა შორის მრავალი მასონი ირიცხება. მათი უმრავლესობა სიკვდილის იმ მანქანამ გაანადგურა, რომელიც მასონმა ექიმმა გილიოტენმა გამოიგონა. სხვები — მაგალითად, ბაი, ტალეირანი, კონდორსე, ბრისო, ლაფაიეტი — რევოლუციის ავტორებად მოევლინენ ისტორიას. არისტოკრატ მასონთა დიდ ნაწილს კი მალე ემიგრაციაში გამგზავრება მოუხდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ რევოლუციის ლიდერთაგან არც კამილ დემულენი, არც დანტონი და არც რობესპიერი არასოდეს ყოფილან მასონები. რაც შეეხება მირაბოს, მასზე მრავალი ერთმანეთის გამომრიცხავი ცნობა არსებობს.

ნიშანდობლივია მასონთა დიდი ოსტატის, ფილიპე ორლეანელის განცხადება "ჟურნალ დე პარიში" 1793 წლის 22 თებერვალს: "როცა ჯერ არავინ არ ფიქრობდა რევოლუციაზე, მე მივეკედლე მასონებს, რომლებიც თანასწორობის ხატად მოჩანდნენ, ასევე მივეკედლე პარლამენტსაც, რომელიც თავისუფლების ხატად მეჩვენა. ახლა კი ამ აჩრდილებს ვტოვებ და რეალობას ვუბრუნდები... მე ვიცი, როგორაა ორგანიზებული ლოჟა "დიდი აღმოსავლეთი". ვფიქრობ, რომ რესპუბლიკაში არ უნდა არსებობდეს არავითარი საიდუმლოება და დახურული საზოგადოება. ამიტომ აღარ მსურს, საქმე დავიჭირო "დიდ აღმოსავლეთთან", ან სხვა რომელიმე მასონურ ორგანიზაციასთან". ნახევარი წლის შემდეგ, 6 ნოემბერს ფილიპე ორლეანელი გილიოტინაზე ავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მასონებმა ამ განცხადების გამო გარიცხეს დიდი ოსტატი თავიანთი რიგებიდან, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მის სისხლში მათ მიუძღვის ბრალი.

1793 წლის 13 მაისს ჩატარდა "დიდი აღმოსავლეთის", საფრანგეთის ყველაზე გავლენიანი ლოჟის ბოლო შეკრება. მას შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მასონებზე არაფერი ისმოდა.

ისმის კითხვა: რამდენად მნიშვნელოვანი იყო მასონთა როლი რევოლუციის მომზადებაში? უეჭველია, რომ რევოლუციონერები და მასონები ერთსა და იმავე იდეალს ქადაგებდნენ: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა. მაგრამ იდეალის ერთობა არ ნიშნავს ქმედით ურთიერთკავშირს. ამგვარი იდეები ძალზე პოპულარული იყო XIX საუკუნეში: მასონთა მტრები მას არგუმენტად იყენებდნენ, თვით მასონებს კი ასეთი როლი ძალიან სიამოვნებდათ.

დღევანდელმა ისტორიოგრაფიამ უარყო იდეა მასონთა შეთქმულების შესახებ. მაგრამ აშკარაა, რომ მასონთა საზოგადოება ლიბერალური იდეების გადამტანი იყო. თვით იდეები კი მრავალი ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორის ზედდებით წარმოიშვა. სხვა თუ არაფერი, XVIII საუკუნეში ვერავის მოუვიდოდა ასეთი შეთქმულების შეგნებული იდეა, სხვა თუ არაფერი, იმის გამო, რომ მისი მეთოდურად და მიზანმიმართულად განხორციელებისთვის არავითარი ტექნიკური საშუალება არ არსებობდა. საფრანგეთის რევოლუცია ერთ-ერთი იმ პროცესთაგანია, რომლებიც, სირთულისა და მრავალმხრივობის გამო, სრულიად სპონტანურად მიმდინარეობდა და არა თუ მისი შედეგების წინასწარ განსაზღვრა, არამედ მიზეზების შეგნებაც შეუძლებელი იყო.



ფილიპე ორლეანელი

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი

| | |
|---|---|
| სახელი ______ | მისამართი ______ |
| გვარი ______ | |
| ასაკი ______ | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______ |
| სიმაღლე ______ | |

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა__________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა**

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



- ალალი, გულუბრყვილო
- აგენტი 007
- *** ქამუშაძე
- ადამის ცოლი
- "ახალი მდიდარი"
- ფერფლი
- ქალაქი იაპონიაში
- ერთი - გერმანულად
- იტალიური ავტომობილი

## TV პროგრამა

20 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.35** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "პოლიციელები და ქურდები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა "ხრუშჩოვი უნდა მოკვდეს" **00.00** მხ. ფილმი "მაღალი ძაბვა"(18) (სესილ დე ფრანსი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. გვირგვინის დადგმა. Eლიზაბეტ II. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** როცა ზღვა უკან იხევს. მხ. ფილმი. რეჟისორი ლორან ეინემანი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ამხანაგებო, იყო და არა იყო რა, იყვნენ ფრანგი კომუნისტები. მხ. ფილმი. რეჟისორი ივ ჟელანი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **02.55** ხელისუფლება და ტერორი. დოკ. ფილმი. **04.20** სერიული დანაშაულებანი. ტელესერიალი.

### 1-ლი არხი

**08.00** "ადრე" **22.00** დოკ. ფილმი "ბერმუდის სამკუთხედი" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - მ. ივანიშვილი **16.30** დოკ. ფილმი "მონაკო - პრინცთა რბოლა" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "ბარნუმი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "შეხვედრა წინაპრებთან" **23.00** ახალი პროექტი - "საქართველო და ევროპა" **23.30** კინოსამყარო "ოსირუსის პროექტი" (12) **02.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "ტაქსის მძღოლი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "ანას დაბადების დღე". **00.00** მხ. ფილმი "აპრე ვუ, ანუ თქვენს შემდეგ" (15) (დანიელ ოტეი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის ისტორია" **21.45** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **22.10** კინოსეანსი "ცეცხლთან თამაში" მე-2ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **12.20, 14.40, 17.10, 04.55** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.35** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "არ მეშინია" (გ) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 01.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი* **01.55** მხ. ფილმი "დინების საწინააღმდეგოდ" (გ) (ჯ. რაში) **04.15** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.30** კომედია "მედალიონი" **13.00** მხ. ფილმი "მოქალაქის დამღა" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** ფანტასტიკა "არმაგედონი" **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** დრამა "სიყვარულზე" **23.00** დოკ. ფილმი "ნიაგარა" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** კომედია "რეპლი-კეიტი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Федор Сухов в фильме **"ВЗЯТЬ ЖИВЫМ". 1**-я с. **13.30** "Гении и злодеи". Надежда Крупская. **14.00** Док. фильм "Большой Иван из города Кизляра". **14.30** "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем. **15.20** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.30** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Неуловимый привкус смерти". **19.50** Сериал **"ОХОТА НА АСФАЛЬТЕ". 21.00** Время. **21.30** Андрей Федорцов в боевике **"РАБОТА ДЛЯ КРЕПКОГО МУЖИКА". 1**-я с. **22.40** Док. фильм "Первая леди в стране Чингисхана". **23.30** Ночное "Время". **23.50** Тайны века. "Приговор для Европы". **00.30** "Сканер". "Приемная президента". **01.00** Джина Филипс в триллере **"ДЖИПЕРС КРИПЕРС". 02.40** Зелда Харрис в комедии **"КРУКЛИН".** Негритянский квартал Бруклина, 70-е годы прошлого столетия. Вечный гам и скандалы наполняют дом Вуди Кармичаэла. Отец семейства когда-то был отличным джазовым музыкантом, но карьера не сложилась, и теперь он не у дел. Его жена Кэролайн работает школьным учителем и бьется изо всех сил, чтобы свести концы с концами. Но их пятеро детей вечно голодают. Десятилетняя Трой, единственная девочка в семье, смотрит на окружающий мир с легкой грустью. Ее живые глазки подмечают каждую мелочь, каждую деталь происходящего вокруг. Она понимает, что должна сама найти выход из этого замкнутого круга... **04.40** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Особо опасен! **10.50** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 12.00** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 13.35** Чистосердечное признание. **14.05** Многосерийный телефильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 7. **"СОЛЕНЫЙ ВЕТЕР". 2**-я с. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. СЕДЬМОЕ НЕБО". 1**-я с. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 02.25** Бильярд. **03.10** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.10** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# „ვარსკვლავეთის ომებს" ლონდონი ერთ დღეს ჩუქნის



ლონდონის ლესტერ სკვერი პომპეზური პრეზენტაციისთვის ემზადება. "ვარსკვლავეთის ომების" პრემიერა კანის კინოფესტივალის არასაკონკურსო პროგრამაში კი უნდა შედგეს, მაგრამ პრემიერა პარალელურად ლონდონშიც გაიმართება. ლესტერ სკვერი ჯორჯ ლუკასისთვის 16 მაისს დაჯავშნეს. მთელი დღის განმავლობაში იქ "ვარსკვლავეთის ომების" თემატიკაზე აგებული ღონისძიებები გაიმართება. როგორც ამბობენ, მოაწყობენ ერთგვარ კინომარათონსაც და სკვერში შეკრებილ ფანებს ექვსივე ფილმს უჩვენებენ. პრემიერას დაესწრება თავად ჯორჯ ლუკასიც. კინომარათონის პარალელურად კი სამეფო ფილარმონიის ორკესტრი შეასრულებს მუსიკას ფილმების თანხმლები ალბომებიდან.

ცხადია, ეს ცნობა "ვარსკვლავეთის ომების" გულშემატკივრებში დიდ აჟიოტაჟს იწვევს. ამიტომაც ბილეთები მარათონზე დასასწრებად წინასწარ იყიდება. 25 აპრილიდან ლესტერ სკვერში მოხვედრის მსურველები 50 გირვანქა სტერლინგს გადაიხდიან და ღია ცის ქვეშ მოწყობილ ლუკასის სამყაროში აღმოჩნდებიან. ისინი კი ვინც "გალაქტიკის პასპორტს" მოიპოვებენ, შეძლებენ "ეპიზოდი 3" სითის შურისძიების" პირველ ჩვენებასაც დაესწრონ. პროდიუსერი რიკ მაქკალემი აცხადებს: "ეს ეპიზოდი ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში თავმოყრილია ყველა ის თვისება, რაც "ვარსკვლავეთის ომებს" უნიკალურს ხდის".

თვითონ ახალი ფილმის პრემიერა კი ოდეონის კინოთეატრში გაიმართება. ლუკასთან ერთად ჩვენებას ჰეიდენ კრისტენსენი, ენტონი დენიელსი და პიტერ მეიჰიუც დაესწრებიან.

ერთი სიტყვით, 16 მაისი ლუკასის ბრიტანული ზეიმი იქნება. პროდიუსერის თქმით, "ვარსკვლავეთის ომებს" დიდ ბრიტანეთთან ძალიან ბევრი აქვს საერთო და ამიტომაც ამ უნიკალური ღონისძიების ლონდონში გამართვა აბსოლუტურად ლოგიკურია.

რაც შეეხება ლესტერ სკვერს, ის ბრიტანული კინოინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ადგილად ითვლება. მთავარი პრემიერები, როგორც ჰოლივუდური, ისე ბრიტანული ფილმების, ხომ სწორედ იქ იმართება.



# „ბედის ირონია" 30 წლის შემდეგ

## "ღამის გუშაგის" რეჟისორი ელდარ რიაზანოვის ისტორიას აგრძელებს



საბჭოთა ეპოქის შვილისთვის ძნელი წარმოსადგენია ახალი წელი საცივის, გოჭისა და "ბედის ირონიის" გარეშე. ელდარ რიაზანოვის ქრესტომათიულად ქცეული ფილმი უკვე 30 წელია საახალწლო სუფრის ერთგვარი გარნირის ფუნქციასაც ითავსებს და ხანდახან სენტიმენტალურ დიასახლისებს ოლივიეში ბარდის ჩაყრასაც ავიწყებს. ცოლების უყურადღებობით შეწუხებულ ქმრებს მალე ახალი თავსატეხი გაუჩნდებათ - რუსეთში ფილმის გაგრძელებას იღებენ.

ახალ "ბედის ირონიას" ბოლო დროს ლამის რუსული კინემატოგრაფის სპილბერგად შერაცხული თემურ ბეკმამბეტოვი გადაიღებს. შეგახსენებთ, რომ სწორედ, ის გახლავთ გახმაურებული "ღამის გუშაგის" რეჟისორი, ამიტომ ცოტა გაუგებარია, რატომ დაინტერესდა ამ თემით. გარდა ამისა, ბეკმამბეტოვს ელდარ რიაზანოვის ჩრდილისგან გათავისუფლება და უკეთესი თუ არა, არანაკლებ საინტერესო სურათის გადაღება მოუწევს. ეს კი მისი ცნობილი ფილმის სპეცეფექტებზე ძნელი გასაკეთებელია.

ფილმის შემკვეთი "ღამის გუშაგის" მსგავსად ტელეკომპანია "პირველი არხია". ჯერჯერობით ოფიციალურ განცხადებას გადამღები ჯგუფის არც ერთი წევრი არ აკეთებს, მაგრამ უკვე ცნობილია ახალი ფილმის სიუჟეტიც და მთავარი როლების შემსრულებელთა ვინაობაც.

პირველი "ბედის ირონიის" შემდეგ 30 წელი გავიდა. ექიმ ლუკაშინსა და მასწავლებელ ნადიას ვაჟიშვილი ჰყავთ, რომელიც მამის მსგავსად ექიმია. ახალი წლის წინა დღეს მამის მოსახელე ახლაგაზრდა ჟენიას სანკტ-პეტერბურგში კონფერენციაზე აგზავნიან, რის შემდეგ გამართული ბანკეტი მის ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდება. ერთი სიტყვით, ჟენია იმდენად დათვრება, რომ ავიწყდება, რომელ ქალაქში იმყოფება და ტაქსის მძღოლს საკუთარი სახლის მისამართს აძლევს: " მშენებელთა მესამე ქუჩა, სახლი № 25, ბინა № 12". სახლში მისული მაშინვე ლოგინში ჩაწვება და მამის მსგავსად უდარდელ ხვრინვას ამოუშვებს.

მთავარი მაშინ იწყება, როდესაც სახლში ნადია ბრუნდება რომელიც, ბედის ირონიით, იპოლიტის ქალიშვილია და მამამ თურმე ძველი სიყვარულის სახელი დაარქვა. შინ დაბრუნებული ნადია გალეწილ ჟენიას საშინელ სკანდალს მოუწყობს და ამ დროს ასპარეზზე მისი საქმრო, წარმატებული ფინანსური კონსულტანტი ირაკლი გამოდის. ამ უკანასკნელს ვერც კარგი მატერიალური მდგომარეობა შველის და ვერც ქართული ტემპერამენტი - ნადიას და ჟენიას ერთმანეთი შეუყვარდებათ. მათ რომანზე საშინელი რეაქცია აქვს იპოლიტს, რასაც ლუკაშინების ისტერიკაც ემატება.

"ბედის ირონია 2-ში" ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად ანდრეი მიაგკოვი, ბარბარა ბრილსკა, ალექსანდრე შირვინდტი და ლია ახიჯაკოვაც თამაშობენ. ფილმში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა იური იაკოვლევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალმა სცენარმა მასზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.


### განცხადება:
### სს ნავთობის ეროვნული კომპანია "ს ა ქ ნ ა ვ თ ო ბ ი" აცხადებს კონკურსს

კომპანიის ემბლემის (ლოგოს) შემუშავების მიზნით.
კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდება თანხით 1000 ლარის ოდენობით. ესკიზის მიღების ბოლო ვადაა 25 აპრილი. საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.კოსტავას N65 სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი"; საკონტაქტო პირი: ანტონ მძინარიშვილი
TEL: 33-04-11 (899 28-87-29), noc@saknavtobi.ge.
















### წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.